


52/
989/2

ქოჩოხი

№ 1

თ. მ. (15)



1989 1

ქოჩოხი

გამოცემის

31-მ

წელი

652/1989/2

პროცესი
ნიშლითა

ნ 1

დემოკრატიულ-მშაბვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

15

საერთაშორისო მშაბვრული კავშირისა და აზარის განყოფილების ორგანო

II ს.

შენიერი ზღა გეჟეს, აჟარა
მნავალი, ძვირფასი ზღდიო...
ქი — ჩენი ქეჟენის ფანჯარა
საჟლეითი და დასაჟლეითი.

გ. იაჟიძე

შ ი ნ ბ ა რ ს ი

კოჟენია, კროჟა

ფრიდონ სალუგაში — აჟარას (ლეჟსი)	3
ჯანგულ ჯიქიძე — კაკუნი (მო- თხრობა)	6
ქსენია შჟავია — ლეჟსები	15
ჯეჟალ ჯაჟელი — ჩემი ალვის ზე (მოთხრობა)	19
იაკობ გელია — ლეჟსები	27

ასალი თარგმანები

ვლადიმერ ვისოცკი — რომანი გო- გოებზე. მოთხრობის ფრაგმენ- ტი. თარგმნა ჯარინე ზოლქვაძემ	30
ნატალია კრიმოვა — პოეტის პროზა	34

ჩენი პუბლიკაცია

გიორგი სალუქვაძე — ჩემი სიმ- ღერა ასე დასრულდა (ლეჟსები)	36
---	----

გ ა თ ე მ ი

არის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა



მომზადებულია ფურცლები

ილია რურუა — პოეტის ელჩობა 40

ჯაჯილი

ემზარ კვიტაიშვილი — თედო პაპას
ნაამბობი (პოემა) 48

წერილები

ამირან კახიძე, ნოდარ კახიძე — კოლ-
ხეთის სამეურნეო იარაღების
ისტორიიდან (წალდი) 54
ჟუჟუნა ხაჯიშვილი — თედორე 60
მიხეილ მშვიდლობაძე — უკეთ, ალ-
ბათ, ვერავინ 64

ხელოვნება

ლალო შარაშიძე — მხატვრის გზა 67

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შოთა ქურიძე — ხასიათის შესახებ 71
რაფიელ შამელაშვილი — ენათ-
მეცნიერება ქართულ საბჭო-
თა ენციკლოპედიაში
იური ბიბილეიშვილი — მოვა-
ლეობის ესთეტიკა 86
ზურაბ სურმაჩიძე — პიპსის
„დღიური“
გასული ორ თვეში 90
93

მთავარი რედაქტორი

ალექსანდრე სამსონია
სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგოლაძე,
მამია ვარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ზოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით ხახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 24. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 2.12.88, ზღმ-
წერილია დასაბეჭდად 2.1.89, საფ-
მომცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის
№ 2878, გმ 01601, ქალაქის ზოი
60X90¹/₁₆, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის ს-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, გორკის, 91.

Государственный комитет Грузии
ской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР
Батуми, ул. Горького, 91

ფრიდონ ხალვაში

აჭარას

19084
ვლოცავ ბალახს, ქვას, ფუძეს,
ნანგრევ-ნამუსრს, რაც კია,
ციხე-ტაძრებს ძველისძველთ,
კოშკები რომ აღარ აქვს,
რასაც ჩვენი სისხლი და
ჩვენი ცრემლი აცხია, —
დედა-საქართველოსთან
დაბრუნებულ აჭარას.

ხსნა არ მოდის იოლად...
აქ მრავალმა იომა,
აქ ილიამ იომა,
ტიციანმა, პაოლომ,
გოგლამ, გალაკტიონმა
ლექსის ოდა გაუღეს
და სინათლის ფანჯარა —
დედა-საქართველოსთან
დაბრუნებულ აჭარას.

ვეელაფერი მთელდება,
ვეელაფერი ბრუნდება,
მჯერა სხალთა-კვირიკე
უფრო ავუგუნდება.

მზე ნატრული პატრონობს,
მზე, რომელიც არ ჩავა,
დედა-საქართველოსთან
დაბრუნებულ აჭარას,
ვიცი, ვიცი, იმედო, —

საქართველოვ, დედაო,
პაპამ თავი იმეტა,
შენ ვერ გაგიმეტაო.



ისე მენდე, მშობელო,
ვიდრე ვსუნთქავ, ვიდრე ვარ,
ქართველობის მტკიცება
ქართველს ნუ დამჭირდება.

ახლა კია აღვილი
თქმა მართლის და ნამდვილის,
მაგრამ ზოგი ლანძღვით და
განქიქებით ერთობა,
თუ ბოღმა და ჭირია,
სწორედ უფრო გჭირია,
საქართველოვ, ერთობა,
კაცობა და ღმერთობა.

კარგად იცი, ვინ არი
აგი თვალთ მზირალი...
ზოგი „მოძმე“ ხანდახან
ფლიდობს, განა აჭარბებს, —
შეეგინა სუფრაც ვი,
რომ ასვი და აჭამე,
ხან შენგან აცალკავებს
სვანს, მეგრელს თუ აჭარელს.
არ გაუვა არაკაცს
ამნაირი ფანდები,
თუ მაჰმადმა ვერ დაგვეყო,
ახლა დავიფანტებით?!

ზიზღი, ღვარძლი, ცილობა,
ვინ მოთუალოს ენითა...
მაგრამ თუ დაცხოვილა
ჭადი ღედის ხელითა,
ჯვარი, როგორც ჭრილობა,
ჭადზეც კი დატყობილა.

ნურავის ნუ ვონია
რამე წახდა, გაჭირდა,
ვინმემ ბოროტს დაუთმო
ანდა თავი დახარა.
ღმერთმა ნუ ქნას, მეორე
დაბრუნება დასჭირდეს
ღვდა-საქართველოსთან
დაბრუნებულ აჭარას!



კ ა კ უ ნ ი

პარასკევს ღ. ღ-ს დანაპირები შეუსრულეს. მასაც, რა თქმა უნდა, ახალ სამსახურზე უარი არ უთქვამს. ეგ კი არა-და, ისე გაეხარდა, თითქოს დაეწინაურებინოთ.

უფროსის კაბინეტიდან ფრთებაფარფატებული დაბრუნდა, მიუხედავად თავის სამუშაო მაგიდას, სუფთა ფურცელს და საწერ-კალამს დაუწყო ძებნა. ყურებში ისევ ის სიტყვები ესმოდა, უფროსმა რომ გამოსვლისას დაადევნა, ორშაბათამდე მოიფიქრე და თუ თანახმა იქნები, საბუთები გააშენადი.

მაგას რა ფიქრი უნდაო, — ფიქრობდა ღ. ღ., — ახლავე გააშენშალებ ავტობიოგრაფიასო და ეძებდა საწერ-კალამ-ფურცელს.

ნახა.

დაიწყო „გაშენშალება“.

„მე, ღ. ღ. დავიბადე...“ ისეთი ფაცი-ფუცით წერდა, თითქოს ვინმე აიძულებდა, — ჩქარა, ჩქარაო.

„...სამუშალო სკოლის დამთავრების შემდეგ...“ ღ. ღ. კრუტუნებდა, თავს იფხანდა, პირს აწკლავუნებდა, ისე მაგრად ჩაებლუჯა ავტოკალამი, რომ ფრჩხილები გათეთრებოდა.

„...სამხედრო სამსახურის შემდეგ...“ გამალებული წერდა და ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ.


ღ. ღ-მ საგულდაგულოდ „გააშენშალა“ ნახევარი გვერდი, ხელი მოაწერა, დასვა თარიღი და წერტილი. ავტოკალამი მაგიდაზე დააგდო, სკამის საზურგეზე გადაწვა, ხელები კეფაზე შემოიწყო, ფეხები გაწვართა და თვალები დახუჭა. მოეჩვენა, რომ „გაშენშალებამ“ დაღალა, თუმცა ორი წუთიც არ დასჭირვებია თავისი ბიოგრაფიის გამოსამხეურებლად.

მოღუნდა. რამდენიმე წუთს გარინდებული იყო. თითქოს ფიქრობდა და არც ფიქრობდა.

ზანტად გააჩილა თვალები, ხელები კეფიდან ჩამოიღო და იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო. დაიხარა „ავტობიოგრაფიისაკენ“, ლამის ცხვირით დაეჭინა ფურცელს. თვალში მოხვდა სიტყვა „მე“... უხერხულად შეიშმუშნა.

„მე“, — თქვა, — „ჰმ“...

ნელ-ნელა დაიწყო კითხვა. ისე ფრთხილად და ცნობისმოყვარეობით კითხულობდა, თითქოს „ავტობიოგრაფია“ ვიდაცის ყოფილიყო...



წაიკითხა და ხასიათი წაუხდა. ისე წაუხდა ხასიათი, რომ ლამის აზ-
ლუქუნდა.

ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.
ოთახში არავინ იყო (უფრო სწორად, მის გარდა არავინ იყო).
დ. ლ. პირისპირ იყო თავის „ავტობიოგრაფიასთან“, ნირწამხდარი და
ფრთხილად მოყრდნობდა. გონებაში კი ზმნების აურზაური იდგა — დავიბადე, ვიმ-
სახურე, ვისწავლე, დავექორწინდი, განვექორწინდი, ვმუშაობდი, ვმუშაობ
და ა. შ.

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი „გაშანშალებულს“ და მთლად მოტ-
ყდა. მოეჩვენა, რომ „ავტობიოგრაფია“ სულ არ გავდა იმას, ვისაც ეკუთ-
ვნოდა. ზუსტად ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო მრავალი ათასი, მრავალი
მილიონიც კი.

„მშრალია“, — თქვა. მიიხედ-მოიხედა. ნათქვამი თავისმართლებად
გამოადგა. „მშრალია“, — დაასკვნა.

ექვემოთ ახალ ფურცელს და საწერ-კალამს.
დაიწყო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!.. ლამის ხანძარი გააჩინა თავისი შემარ-
თებით. სანამ სიგარეტს მოუკიდებდა, ერთი გვერდი „გააშანშალა“, სანამ
მოწვედა და ნამწვს ჩააქრობდა — მეორე.

დაამთავრა. ოფლით დაცვარული შუბლი ხელისგულს შეაწმინდა.
ერთი ფურცელი ეყო.

ეცოტავა.
დაიწყო თავიდან, — „მე“... ჩაფიქრებული ჰქონდა, ყველაფერს დაე-
წერ, რაც მახსოვსო, მაგრამ „დავიბადე“-ს დაწერა ძლივს შეძლო. დაბა-
დების თარიღის დაბოლოება უაზრობად ჩათვალა. ფიქრა, რომ სიზუსტეს
სულაც არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მიაჩნდა თავი „ავტობიოგ-
რაფიას“ და დაემხო მაგიდაზე.

რამდენიმე წუთს თავაუღებლად დუმდა.
იმ რამდენიმე წუთის გასვლამდე ვიღაცამ შემოიხედა ოთახში და
დ. ლ.-ს შემოსძახა, — გეყოფა ძილი, შინ წასვლის დროაო.

ადგა და მიადგა ფანჯარას.
ფარდა გადასწია და გაიხედა.

ფანჯრიდან ჩანდა სხვა სახლების სატელევიზიო ანტენებით დაზუნ-
ძული სველი სახურავები. საღამო იდგა — მრუმე და ნოემბრისპირული.
დ. ლ.-ს სევდა მოეძალა. ანგარიშმიუცემლად ამოუტივტივდა გონებაში
სხვისი აზრი, შემოღამებისას ყველა წესიერ კაცს მელანქოლია შემოაწვე-
ბაო, და გაელიმა. მერე წარბები შეჭმუხნა, ლამის საკუთარ წესიერებაში
შეიტანა ეჭვი. სასწრაფოდ მოიძია ჯიბეში სიგარეტი, მოუკიდა და პირვე-

ლივე ნაფაზს ამოაყოლა, — ტყუილს იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი სიმაღლით სხვას დამატებითი საზრუნავი არ გაუუჩინო. ზოგი კი კეთილშობილურად მსხვერპლის გაღების ნიშნად მსაყვედურობს, რატომ გვერიდება მოდიო, შემაწუხეო... შემაწუხეო... მოდექი და „შეაწუხე“ ამის შემდეგ, ჰმ! „ხათრიანი არ უნდა იყოო...“ უცბად ანეკდოტი გაახსენდა ხათრიან კაცზე, რომელსაც სადალაქოში ყური წაათაღეს, და გაიცინა. ისე გულიანად გაიცინა, რომ თვითონაც კი გაუკვირდა.

„ეექვ!“ — ჩაიქნია ხელი. შუქი ჩააქრო, გამოკეტა კარი და კიბეს დაუყვია.

ჩამოიარა მეოთხე სართული, მესამე სართული, მეორეზე შედგა. გაიფიქრა, — „ავდგები და“... მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვინმეს, რომ დაენახა, შერუხვდებოდა ჩანაფიქრს. — „რომ მკითხავენ, როგორა ხარო, ავდგები და მეც მოუყვები, „როგორა ვარ“... მოკლედ — „შევაწუხებ“...“

„ჰიჰ!“ — ჩაიქირქილა. ჩავიდა ფოიეში, მეგარდობებს საწვიმარი ლაბადა გამოართვა, სამი „ჰო“ და ერთი „არა“ უთხრა, ჩაიცვა, დაემშვიდობა და ქუჩაში ამოყო თავი.

ცრიდა.

დ. ლ-მ ქოლგა ინატრა; საყელო აიწია და შივ ჩაიყურსა. გადაწვეიტა ფეხით ევლო და „ათას წვრილმანთან“ მისვლამდე მარშრუტიც დაგეგმა.

გასტრონომთან ნაცნობს შეხვდა და ჩვეულებრივ საღამოზე საღმით უპასუხა, შეკითხვაზე, როგორა ხარო, — კარგადო. თავად როგორ ბრძანდებითო. ნაცნობმაც პასუხი დაუბრუნა, — კარგადო და გზა განაგრძო.

დ. ლ-ს დაავიწყდა „შეწუხება“ და როცა გაახსენდა — გვიანი იყო, ნაცნობმა შენობის კუთხესთან შეუხვია და თვალს მიეფარა.

დ. ლ-მ გული არ გაიტეხა, ნაცნობებს რა გამოღვესო, იფიქრა, სხვას „შევაწუხებო“ და სვლა გააგრძელა.

ქუჩაში არ იყო ხალხმრავლობა, მანქანების ნაკადი კი უწყვეტად მიედინებოდა და მოედინებოდა... წვიმამ მოუხშირა და ფეხითმოსიარულეების რიცხვი კიდევ უფრო შემცირდა.

იარა.

მთელი კილომეტრი ისე გალია, ერთი ნაცნობიც არ შეხვედრია, თითქოს ჯიბრზე. დ. ლ-მ თავი იმართლა, — ალბათ, შემხვდა და ვერ ვიცანიო. ცოტა ხანში ჩამობნელდა კიდეც.

იმედი არ გადაიწურა მაინც. ქუჩაში თუ არა, ლუდხანაში ან კინოთეატრში ან ეზოში გადავეყრები ვინმეს და მოუყვები ჩემს წარსულს, რომელიც სულაც არ არის „მშრალი“ როგორც „ავტობიოგრაფიაო“, — იფიქრა; თუმცა „მარშრუტი“ მალევე შეამოკლა — უქოლგოს წვიმა მოერია. იარა.

ლუდხანას ჩაუარა გვერდით. იყოფმანა ერთხანს. შესვლა ვერ გაბედა, ყოფმანისას ავტობუსი წამოეწია. გაჩერებასთან მიუსწრო. ვიღაცას ახვლა-ში მიეხმარა, ვიღაცას აასწრო უკანა კარში. ასვლისთანავე ვიღაცას მონუ-ტა გადააწოდა და ბილეთის ნახვევისათვის მადლობა უთხრა.

ავტობუსი გატენილი იყო მგზავრებით და ფეხზე მდგომები ერთმანეთს მიჭყლეთოდნენ. შოფერი უსმენდა „პიკის საათს“ და ყველას ასმენინებდა.

დ. ლ. რკინიგზის სადგურამდე გაჰყვა ავტობუსს და თავისი „მარშ-რუტი“ სულაც მიივიწყა.

სადგურის მაღალჭერიანი მოსაცდელი დარბაზი გუგუნებდა. თითქოს მთელი მსოფლიო აბარგებულყო.

დ. ლ. გალუმპულიყო და ამცივნებდა. უცბად ვერ მოისაზრა, მაგრამ როცა მოისაზრა, მაშინვე მიაკითხა ზუფეტს და ცხელი ყავა და ფუნთუშები შეუკვეთა.

დაიწყო ხერება.

შიგანი გაითბო თუ არა, მომსვლელ-წამსვლელის თვალიერება დაიწყო და დაასკვნა, მართლა მთელი მსოფლიო აბარგებულაო. ნაცნობებსაც მოჰკრა თვალი, მაგრამ „შეწუხების“ ხასიათზე აღარ იყო. თანაგრძნობას არ ვეძებო, — უთხრა ფუნთუშას და ჩაბიჩა. ყავა გამოწირუბა, მეორე ფუნთუშა დაიწუნა და დატოვა ობლად.

გამოვიდა სადგურიდან, ჩაიყურსა საყელოში, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გაუყვა სველ ქუჩას. გზად წარსულზე ფიქრები აედევნენ. „ავტობიოგრაფიაც“ გაიხსენა. ცდილობდა საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ ის თარიღები, რომელიც „ავტობიოგრაფიაში“ მოიხსენია, მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმდენად, რომ წაიკითხო და მიხედვ, ვისთანა გაქვს საქმე. უნდოდა შეევესო მოხსენიებულ თარიღებს შორის შუალედები, მაგრამ ტყუილად აწვალა მეხსიერება. გაიხსენა „ღირსშესანიშნავი“ თარიღები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის დღე იყო, როცა ცურვა ისწავლა; ის დღე, როცა პირველი სიგარეტი მოწია და ღებინებისაგან ლამის გულ-მუცელი ამოიბრუნა; ის დღე, როცა მისთვის პირველი ქალი ყველაზე უკეთესი ვგონა მსოფლიოში; ის დღე, როცა შინმისულს ცარიელი გარდერობი და ცოლისაგან დატოვებული მოკლე და ამომწურავი შინაარსის ბარათი დახვდა სამზარეულოს მაგიდაზე ვახშმის ნაცვლად; ეს დღე, როცა ამაზე ფიქრობდა, მაგრამ არ იცოდა, რატომ მიეხეტებოდა ავდარში თუ დამეში...

ცრიდა.

ნელი აბიჯით მიუახლოვდა ხიდს. ხიდზე ქარი ქროდა; ლამის გათოშა და ნაბიჯი ააჩქარებინა. ცირკთან მისვლამდე მოეჩვენა, რომ ცუდად შე-

იქნა. ყავას დააბრალა. საკუთარ თავს გაუბრაზდა, — როდის იყო, ყავას ვსვამდი და ისიც — სადგურშიო. ცირკთან მისული მართლა ცუდად შემიძინა. გულმა რეჩხი უყო და ისე შეშინდა, ლამის საშველად მოვხვედნიყენ მესთვის.

გმირთა მოედანზე გაჩერებასთან საცირკო წარმოდგენანანახები იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად.

ღ. ღ. ხალხს შეერია, განათების ბოძს მიეყრდნო ზურგიით და პულისის თვლა დაიწყო. ხშირი და სუსტი ეჩვენა მაჯისცემა და სულ წაუზნდა ნირი. წუთნახევარ-ორ წუთში ნაცნობიც გამოეცხადა — ორმოცდაათსმიკაკუნებულ, ცოლ-შვილით.

დაღვრემილმა ღ. ღ-მ „არა, ვერა ვარ კარგადო“, — უპასუხა და შერცხვა. ორმოცდაათსმიკაკუნებულმა მხარზე დაუტყაპუნა ხელი და ბოლომდე შეარცხვინა, — აბა, ეგ რამ გათქმევინა. კარგად უნდა იყო, კარგადო, დაემშვიდობა და გაუძღვა თავის სამწყსოს. ათიოდე ნაბიჯი ექნებოდა გავლილი, მობრუნდა და დასტეკა, — ცოლი შეირთე, ცოლი!.. ჰო-და, მთლად კარგად იქნებოი. მერე ხელის აწევით, დიდის ამბით განმეორებით დაემშვიდობა.

ღ. ღ-მ მაჯისცემის შემოწმებას თავი ანება, მიბრუნდა, კიბე ჩაიარა და მიწისქვეშა გასასვლელში ჩავიდა. აქ რა მინდაო, — შეკითხვა კი მისცა თავს, მაგრამ უკან მობრუნება არც უფიქრია, გაცუხცუხდა. ნატრობდა, ნეტავ ნაცნობი არ გადამეყრებოდესო. ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდა შინამდე.

ჯიბრზე, მიწისქვეშა ამოსასვლელთან კიბეზე ორმოცსმიკაკუნებულს გადაეყარა და ლამის მაშინვე დაწყევლა თავისი დაბადების საათი.

ორმოცსმიკაკუნებული ნასვამი ჩანდა და სალაში არც უთქვამს ღ. ღ-თვის, ეცა ყვირილით, — როგორა ხარ, როგორა ხარო... გადაეხვია, ჩაბღუჯა და შიგ ყურში ჩასძახა, — „როგორა ხარ, ბიჭო, ჰა?.. ასე უნდა?.. როგორა ხარ?..“

ღ. ღ. დაბნეული, დაღვრემილი, ყურებჩამოყრილი აპირებდა თქმას, რომ ცუდად იყო, მაგრამ ვინ აცალა. ნასვამი თანატოლი ანჯღრევდა, ჩაპყვიროდა ახალ-ახალ ამბებს და შიგადაშიგ კითხვის ნიშანივით ჩაურთავდა, — „როგორა ხარ, ჰა?.. როგორა ხარ?“ აკრიტიკებდა, არცხვენდა ღ. ღ-ს, რომ „ასე არ შეიძლება“, რომ „სასწავლებლის თანაკურსელები ერთხელ მაინც უნდა მოინახულოს ორ წელიწადში“, რომ...

„როგორა ხარ?.. ჰა, როგორა ხარ“.. ორმოცსმიკაკუნებული უკვე დამცხრალიყო და სათქმელიც გამოლეოდა, ეტყობოდა.

ღ. ღ-მ თავი დაიძვრინა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოიკრიბა და ყოფილ თანაკურსელს შეჰქანავლა, — ცუდად ვარო...

„რატომ მერე?“ — ისევ ეცა ყელში ორმოცსმიკაკუნებული ცუდად-
მყოფს.

ლ. ღ-ს ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა, კიბის მოაჯირს მიეყუდა, ჩაიკეცა და ორმოცსმიკაკუნებულიც თან წაიყოლა.

ჯერ „ჩაწვნენ“, მერე დასხდნენ კიბის საფეხურზე. ქმინავდნენ.

ლ. ღ-მ საკინძე შეიხსნა და თევზივით გააღო პირი. ორმოცსმიკაკუნებულიც დააბოცინა და ბოცინს შეკითხვა ამოაყოლა,

— „სად ხარ და საერთოდ რას გავს ეს?“...

ლ. ღ-მ იცოდა, სადაც იყო, მაგრამ ეს რას ნიშნავდა, ნამდვილად არ იცოდა. „არ ვიცი“, — ამოიქმინა და თავი ჩაქინდრა.

„არასოდეს არ ვარგოდი არაფერში“, — დაუსვა დიაგნოზი ყოფილმა თანაკურსელმა, წამოდგა და გადააწიტა, — „წტ!“... მიბრუნდა და აუყვა კიბეს.

ლ. ღ-მ ძალ-ღონე მოიკრიბა, ხელი წაატანა პალტოში და დაებლაუჭა, — „მოიცა!...“ მიაკნავლა. ორმოცსმიკაკუნებულმა გაიწია. ღ. ღ-მ არ გაუშვა, — „მოიცა, მათქმევინე როგორა ვარ!“...

ორმოცსმიკაკუნებული მიბრუნდა, გადააწიტა ზედიზედ ორჯერ, — „წტ — წტ!“... და უთხრა, — „არასოდეს არ ვარგოდი არაფერში“. დაიხარა, მოქანა პალტო თავისკენ, ღ. ღ-ს ხელი გააშვებინა და უკან აღარ მოუხედავს ისე აიარა კიბე.

ღ. ღ-ს უნდოდა ეყვრა, წამოიწია კიდეც, მაგრამ თავბრუ დაეხვია, წონასწორობა დაკარგა და დაგორდა კიბეზე. გონს მოსვლა ვერ მოახწრო, ალალ-ბედზე ეჭიდებოდა საფეხურებს ხელ-ფეხით... ვერ მოახერხა...

დაგორდა და გაჩერდა ბოლო საფეხურზე. ერთიანად დაჟეჟილიყო და მოთხუპნულიყო.

იწვა კარგა ხანს.

მერე ვიღაცა ღვთისნიერმა წამოდგომაში უშველა, ურჩია, იმდენი უნდა დალიო, რომ მერე სახლის მიგნება შეგეძლოსო, და წავიდა.

ღ. ღ-ს გმირთა მოედნიდან „ენძელამდე“ ასვლა გმირობას გავდა. „ენძელადან“ საავადმყოფოში მიღწევა კი ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო.

ღ. ღ-მ შეაღო საავადმყოფოს კარი, თქვა, — „ცუდად ვარ, ზალზო!“ და ჩაჯდა იქვე კართან დაჟეჟილი და ტალახიანი.

აიტაცეს, საკაცეზე დაწვინეს, ციმ-ციმ წაიყვანეს, გასინჯეს, დაბანეს და ქათქათა პალატაში ქათქათა ლოგინში დააწვინეს.

ღ. ღ-ს ხმა აღარ გაუღია. იწვა გულადმა და ჭერს მიშტერებოდა.

მიართვეს ვახშამი. სასთუმალთან მიართვეს და შესთავაზეს.

იუარა.

უარი თავბატიყში ჩაუთვალეს და დაავადებულეს, ეჭამა.
იუარა.

მოუგზავნეს ავადმყოფებს შორის უხუცესი — ოთხმოცსმიაკუნებულ
და ხელაზლა დაავადებულეს, — ევასშმა.

დ. ღ-მ კიდევ ერთხელ იუარა და ამოდერლა, — „ვაცხადებ შიმშილო-
ბას“.

დ. ღ-ს ნათქვამზე ყველას გაეცინა, ვინც კი სიცილის ხასიათზე იყო.
მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. იწვა და მიშტერებოდა ჭერს.
მთელი ღამე სინჯავდნენ და თათბირობდნენ თეთრხალათიანები მის სას-
თუმალთან. დაასკვნეს, ელენთა არ იყო გამსკდარი.

დილით დ. ღ-მ საუზმეზეც თქვა უარი. ამოდ ეცადა ოთხმოცსმიაკუ-
ნებული, დაემტკიცებინა მისთვის, რომ საავადმყოფოს საუზმე ზედმიწე-
ნით გემრიელი და კალორიულია. არაფერმა გაჭრა...

დ. ღ-მ არ ისაღილა. იწვა გულაღმა და თვალსაც არ ახამხამებდა.

ნასადილევს სასთუმალთან დაუჯდა დაფანჯულწარბებიანი, ზორბა და
ჭალარა, ასე სამოცსმიაკუნებული ნევროპათოლოგი.

ექიმი დადიოდა ყოველდღე ნასადილევს და ესაუბრებოდა დ. ღ-ს...
თუმცა ამას საუბარიც არ ეთქმოდა — სამოცსმიაკუნებული ლაპარაკობდა,
დ. ღ. კი ხან უსმენდა, ხან — არა...

ექთნები გულმოდგინედ ასრულებდნენ ექიმების დანიშნულებას:
ჩხვლეტდნენ დ. ღ-ს ვენებს, მკლავებს, ღუნდულოებს. შეჰყავდათ მის ორ-
განიზმში სხვისი სისხლი და წამლები, რათა „საწყალს“ (როგორც გან-
ყოფილებაში შეარქვეს დ. ღ-ს) სული არ ამოხდენოდა.

შიმშილობის მესამე დღეს დ. ღ-მ, რომელიც ზედმიწევნით მოსმენის
ხასიათზე იყო იმჟამად, გაიგო, რომ შიმშილობის უფლება არა აქვს და
რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა დაანებოს თავი. რომ ეს „აქტი“ (ზუს-
ტად ასე თქვა სამოცსმიაკუნებულმა) უნდა ხორციელდებოდეს ექიმის მეთ-
ვალყურეობის ქვეშ და მაშინვე უნდა შეწყდეს, როცა ეს უკანასკნელი
დაასკვნის, რომ შიმშილობამ სიცოცხლისათვის საშიში შედეგი შეიძლება
მოიტანოს.

შიმშილობის მეოთხე ღამეს ჩამომხმარი და თვალეზრაცვენილი,
პირგაუპარსავი დ. ღ. დიდი ინტერესით ელოდა ნევროპათოლოგის გამოჩე-
ნას. იმ ღამეს ავადმყოფის მდგომარეობით შეწუხებულმა ექიმმა მართლაც
მოინახულა დ. ღ.

შედგა საუბარი.

დ. ღ-მ განახორციელა დიდი ხნის ნანატრი „შეწუხება“ — ყვებოდა
თავის ამბავს მიკნავლებული ხმით, წვრილად, დეტალურად და სულს ძლივ
ითქვამდა შიმშილობისაგან ფერმიხდილი.

სამოცსმიკაკუნებული უსმენდა მოთმინებით, ღიმილით, წარბშეჭმუნებით, თავის კანტურით.
დასასრულს, ღ. ღ-მ ჰკითხა, — რატომ მომისმინეთო და ცოტა ხანს იყოს დააბნია კიდეც ნევროპათოლოგი თავისი შეკითხვით. ექიმმა მხოლოდ მოუყარა თავი სიტყვებს და უპასუხა, — ვალდებული ვარ და გისმენო.
ღ. ღ-მ მისი ნათქვამი ისე იწყინა, რომ კინაღამ მოკვდა.
სასწრაფოდ დაუჩხვლიტეს ნემსებით ორივე ღუნდულო და ცალი მკლავი.

როცა ავადმყოფმა მოიხედა, შენიშნა, რომ სამოცსმიკაკუნებული ისევ უჯდა სასთუმალთან და თვლემდა უძილობისაგან დაოსებული.
ღ. ღ-ს შეეცოდა ექიმი, შეაფხიზლა და უთხრა, — ნუ წუსდებით, მიბრძანდით და დაიძინეთო.

ნევროპათოლოგმა შეიცხადა, — რა დამაძინებსო.
ღ. ღ-მ ძალიან-ძალიან სთხოვა, — ჩემს გამო ძილს ნუ გაიტყუებო.
ექიმმა ისევ შეიცხადა და დაამთქნარა, მერე ხელი ჩაიქნია, თუ წესიერად მოიქცევი, წავალ და დავიძინებო.

ღ. ღ. დათანხმდა.

სამოცსმიკაკუნებულს მისი თანხმობა გაუკვირდა, მაგრამ არ შეიმჩნია. მერე მეორე პირობა ჩამოართვა ავადმყოფს, რომ რასაც ეტყოდა, ერთი ყურიდან მეორეში არ გაეშვა და ისეთი რამეები უთხრა, ისეთი რამეები უთხრა, რომ გადასარევი...

შენო, — უთხრა, — ჩემო ღ. ღ. დღე წლით უმცროსი ხარ ჩემზე და უნდა დამიჯერო. პირველ რიგში ცოლი უნდა შეირთო...

(აქ ღ. ღ. ისევ შეუძლოდ შეიქნა, მაგრამ ჩხვლეტები აღარ დასჭირვებია, ნიშადურით მოაბრუნეს):

მერეო, — განაგრძობდა სამოცსმიკაკუნებული, — უნდა ეცადო, როცა ცოლი გეტყვის, ცუდად ვარო, რომ შეძლო მოსმენა, გაგება და დახმარება. მერეო...

(აქ ღ. ღ-ს უკიდურესად დაჭირდა გონების დამაბუჯი).

...მერეო, — განაგრძობდა ექიმი, — თუ შენი ძალები საამისოდ გეყოფა, ასევე მოუსმინე და დაეხმარე ნათესაებს და მეგობრებს, როცა ისინი შემოგჩივლებენ (ანდა შეიძლება არც შემოგჩივლონ, მაგრამ შენ უნდა მიხვდეო). მერეო...

(აქ დაშინათვე ღ. ღ-ს ძილი მოერიო და ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა ნევროპათოლოგი).

...მერეო, — არ ცხრებოდა ექიმი, — თუ ამდენსაც შეძლებ, ყველას დაეხმარე ნაცნობსაც და უცნობსაცო. მაგრამ სანამ ამდენს ვერ შეძლებ,

ნურც მოითხოვ სხვისგან, შენი წუწუნი ისმინოს და ნურც იფიქრებ, რომ
შემშილობის გამოცხადებით ეშველება რამეს. ბოლოსდაბოლოს...
(აქ ღ. ღ-მ პირველ სიზმარს გაუღო კარი).

...ბოლოსდაბოლოს შენ შეიძლება სხვამაც მოგბამოს და ვინც ცუდ
ხასიათზეა, ყველამ რომ შემშილობა გამოაცხადოს, მაშინ მთელი თუ არა,
ნახევარი მსოფლიო მაინც იშემშილებსო და...

(აქ ღ. ღ-მ ზვრინვა ამოუშვა).

ღ. ღ-ს დაძინებამ ისე გაახარა, ისეთი აღტაცება მოჰგვარა სამოცსმი-
კაკუნებულს, რომ ტაშიც კი შემოჰკრა და ადგომისას სკამი გადაუყირავდა.

ხმაურზე მორიგე ექთანი შემოაჯდა პალატაში. რა მოხდაო, —
იკითხა...

სამოცსმიკაკუნებულმა ხალათი გაიხადა, ექთანს მიაჩეჩა და პალატი-
დან გამოსვლისას საჩვენებელი თითის და წარბების ზევით აწევით, ზემ-
თავონებული ხმით თქვა, — „მოვა დრო და დამაფასებთ. ახლა კი ნახვამ-
დის!“

მორიგე ექთანმა მხრები აიჩეჩა, „საწყალს“ სასთუმალი გაუსწორა,
გადაყირავებული სკამი წამოაყენა და შუქი ჩააქრო...

დილით ადრე შემზარავმა ყვირილმა შესძრა მთელი განყოფილება.
თთხმოცსმიკაკუნებული გამოსაჯანმრთელებელი დერეფანში მიაგელვებდა
მოსუფთავებულ თევშს და ცარიელ ჭიქას და მთელი ხმით გაჰკიოდა, —
„ღ. ღ-მ ისაუზმა ხალხო, ღ. ღ-მ ისაუზმა!“...



აჭარის ხიდი

აჭარა რქმევია ლეჩხუმში სოფელს და
 ლაჯანურზე, სოფელ ალბანაში, ხიდს ეს
 სახელი დღესაც შემორჩა

აღარ დავეძებ შედეგს და მიზეზს,
 დრომ ეს სახელი რად მიუჩინა.
 მე ვდგავარ ახლა აჭარის ხიდზე
 და მიხარია, რომ ლეჩხუმში ვარ.
 ხიდს სხვა სახელად ჰქვია მშვიდობა,
 გულთა კავშირი, რწმენა, შენება;
 ხიდმაც კაცივით იცის მინდობა
 და განსაცდელში შემოშველება.
 ხიდმა ძმობა და გატანაც იცის,
 არ ეპუება წარღვნას საშინელს;
 აქ ერთგულების შეუკრავთ ფიცი
 ფრუიძეებს და ხიმშიაშვილებს.
 რა მშობლიური თვალებით მიმზერს,
 თითქოს მიცნობდეს დიდი ხანია...
 ვდგავარ ლეჩხუმში
 აჭარის ხიდზე,
 შეამაყება და მიხარია.

ნ ა ტ ა

ნატა, ყვავილთა თეთრო დობილო,
 მზით რომ ივსები და იბადრები,
 გეალერსება „ბოლია ბაბუ“
 და „მელი ბებო“ გართობს ზღაპრებით.
 შეხედე, მთებიც ფეხზე ამდგარან,
 ქარიც შემოგხვდა თამაშ-თამაშით,
 აი ალბანა,
 შენი ალბანა —

გახსოვს? ეძახდი შარშან „აპაჩიჩს“.
შენს მამა-პაპათ მარჯვეთ უგლიათ,
არ უძებნიათ გზები იოლი.
სულ ოც ნაბიჯზე ლაჯანურია
და თაებირს იმტვრევს ქვებზე რიონი.
წინაპრის ხელით ნასათუთარი
მწიფს ხეხილი და ხარობს ვენახი,
მარანი, ქვეერი, ძველი ბუხარი—
შენ ბურატინოს სახლს რომ ეძახი.
შენთვის იმზეოს,
შენთვის იდაროს,
შენთვის ჰყვოდეს ყველა კუნჭული,
როგორ უხდება ამ კარმიდამოს
შენი კისკისი, შენი ჟღურტული!
აქვეა ბაბუ, მამა და დედაც,
(არც მოგკლავდნენ ქვეყნად არავინ)
და დიდი პაპაც ჩარჩოდან გხედავს —
გამრჯე და სინდისშეუბღალავი.
ისევ ფიცხდება მზეზე სორბალი,
მაღლი შენ, მშობელ მიწის ნაჭერო!
და ბრუნავს წუთისოფლის ბორბალი,
უკვდავებაში რომ დამაჯეროს.

ორბელი

რად ჰქვია ამ სოფელს ორბელი, ნეტავ,
მშვენიერს, მოსატულს ჯადოსნურ მთებით!
იქნებ აქ ორ-ორ ბელს იჭერდნენ ერთად
კაპიტონ მინდაძე და მისი ძმები?
იქნებ დაეძებდნენ დევთა მისამართებს,
მათ სამოსახლოებს ზეერავდნენ ჩუმად,
მერე კი ფიცხელი ომები გამართეს,
სულაც დაურბიეს ბუნაგი მსუნავთ.
იქნებ ჩაუვლიათ ორბელიანებსაც,
მზეჭაბუკ რაინდებს,
ტანკენარ ასულებს,

მთამ რომ ღიმილი და სითბო მიაგება,
მათაც სიდიადე მაღლად დაასხურეს.
თანაც ყველაფერი ისე ნაცნობია,
თითქოს ხინოში ვარ ან მთა მტირალაზე.
ვარდებს ნეტარებით ბაგე გაპობიათ,
ჩემი ნატალიაც ტკბება სილამაზით.



შენი სიკვდილი არ სჯერა

19 წლის ბენიაზინ ფრუიძემ ომში წას-
ვლისას სიმინდის სავესე ტარო დაჰკიდა
თავისი სახლის კედელზე. ჰაბუკი ომი-
დან არ დაბრუნებულა. მარცვლებდაც-
ვენილი ტარო დღესაც იქვე ჰკიდია.

მინდა, რომ ვარსკვლავს გადარო
სამარადღუამოდ ანთებულს,
თქვი, რა ჩაუთქვი ამ ტაროს —
გათქვირულ-გაქათქათებულს,
გულს, ოცნებებით მოფენილს,
რა ცეცხლმა გადაუარა:

დედა, ცრემლშეუშრობელი,
ისევ გნახავდა თუ არა?
იქნებ, შმაგსა და ღელვიანს
რიონს გაანდე ფიქრები?
გელიან, დღესაც გელიან
სტუდბილეთი და წიგნები.
ნიავი გიქებს მარჯვენას,
შენს სიჩაუქეს დალოცავს,
შენი სიკვდილი არ სჯერა
ობლად დარჩენილ ტაროსაც.

ყაყაჩოთა ელვარება

ამ მხარეში

(არვინ მკითხავს — რადო?)

მე ვიცოდი ბარდნალა და ლადო.

ლადო, — ცისკრის გალობა და კვნესა,

სანთელივით დაღვენთილი ლექსად,
დაფერფლილი, წამომდგარი მკვდრეთით,
პოეტების სალოცავი ღმერთი.
ასე იყო, ასე იყო დღემდე,
ყველგან მისი სტრიქონები მღევდნენ...
ლადო, აქაც შენზე ფიქრით ვთბები,
ლამის გულში ჩავიხუტო გზები,
შენი დიდი ნაფეხური ვიცნო,
და ვინც შემხვდა —
ირაკლი თუ ციცო,
მირზა, მაგდა, ალეკო თუ გელა,
შენი ლექსით თავს იწონებს ყველა.
და შენს სახელს წარმოთქვამენ კრძალვით,
ღმერთმა ნუ ქნას, რომ დასჭირდეს კრწანისს,
რომ დასჭირდეს ამ დალოცვილ მთაველს,
„სალაღობოს“ შეძახილით წაეღენ...
და რამდენმაც იბოხოქროს რისხვით,
ყაყაჩოთა ელვარება გვიხსნის.



ჩემი ალვის ხე

ზღვისპირა პარკის კაფეტერიაში ნაყინს შევეცემოდი.

ყველა მაგიდა დაკავებული იყო.

ერთი შეთმინანი, საკმაოდ შეწინიერებული მამაკაცი მოვიდა, შეიძლება თუ არა, თქვენს მაგიდასთან ჩამოჯდომას, იკითხა და სანამ ბოლო სიტყვას დამთავრებდა, კიდევ მოიკალათა. ეტყობა ზრდილობისათვის იკითხა, თორემ დიდად არ ეპიტნავებოდა ჩემი თანხმობა ჩემს მაგიდასთან ჩამოჯდომაზე.

მე მისთვის არც კი შემინდებია. ვიწროდ გაკეცილი გაზეთი შედო და თან ნაყინს შევეცემოდი, თანაც იმ დღის „შავ“ განცხადებებს თვალს ვადევნებდი. ვერც მაინცდამაინც კარგ წასიათზე ვიყავი.

— რაო, რას წერენ? — მცირე ხნის შემდეგ მომესმა უცნობის ხმა.

— რა გაინტერესებთ? — ვიკითხე საკმაოდ გულგრილად, შეუფერხებლად.

— ვინ მიღის, ვინ მოღის, ვინ იღებს, ვინ აგებს...

— ერთნი. — მოკლედ მოვკვირე, რადგან არ მიყვარს უცნობებთან ბაასი.

— არა, ვინ იმარჯვებს-მეთქი...

— პატოსანი და ნებისყოფიანი. — სხვათაშორის ვთქვი.

ასეარად დავინახე, პასუხი არ მოეწონა.

— თქვენ ჯედი ბრძანდებით! — ისე მიხრა, თითქმის რამე ეპოვოს!

— კი, კაიხანაა ჯედი „ბრძანდები“... თქვენ?

— ფარხადი მქვია. რამეს გეუბნება ეს სხელი?

— არაფერს.

— ესე იგი, არ მიცნობთ! — თქვა ნიშნისმოგებით.

— წარმიდგინეთ, არა. ეკარგავ კი ამით რამეს? — ვამედიმე.

— ეს ვინ იცის, მე კი თქვენს შესახებ უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თვითონ თქვენ — თავისთავის შესახებ. — თქვა და ნაყინით დაორთქილი თასი კიდევ უფრო ახლოს მიიჩინა.

— მაღლობის მეტი რა მეოქმის. მითუმეტეს, თავაზიანად შელაპარაკებით, — თქვენობით.

მიხვდა, რაღაც არ გამოუვიდა და ექიდურად დაიწყო:

— ნიშები, სალონავები და ტაძრები ყოველთვის მთებზე, ბორცვებსა და შემაღლებულ ადგილებზე შენდებოდა, რომ მრევლისათვის შემოდას დაეხედა, სიმაღლე ეგრძნობინებინა და მის სულს დაუფლებოდა. ამჯერად კი მოხდა პირიქით, — შენი სახლი უფრო მაღალზე დგას, ვიდრე გაბრიელ მთავარანგელოზის ნაში. ეს კიდევ არაფერია, მთავარი და აუტანელი ისაა, რომ შენი ელის ალვის სის წარდილი დილით ამ ნიშს ეცემა, მზის ჩასვლისას კი — ჩემს სარკმელს, საიდანაც მე ჰორიზონტს ვუყურებ. მე ვფიქრობ, ყველაფერი ეს განგებ გააკეთა, რომ დაგეცინა გაბრიელ მთავარანგელოზის ნიშისა და ჩემი სარკმლისათვის.

— მე ამაზე არასოდეს მიფიქრია, — თქვი გულწრფელად.

— აი, თურმე რა ყოფილა. — დამცინავად მომიგო მან.

— თუ დამიჯერებთ, არ მიფიქრია. ალვის ხე მისით ამოვიდა ჩემს ეზოში და ამ მოკლე დროში ტანი ისე აიყარა, ღამის ცას მიწვდეს. დილით და საღამოთი ჩრდილები საპირისპირო მიმართულებით გრძელდებიან. ჩემი ალვის ხე ისევე, როგორც ყოველი ხე, ემორჩილება მოძრაობისა და განვითარების შეუქცევად კანონებს: მზის ამოსვლისას ჩრდილი დასავლეთითაა მიქცეული, ხოლო ჩასვლისას — აღმოსავლეთით. ეს არავის მოგონილი არაა, ეს ჭეშმარიტი კანონზომიერებაა.

— კანონზომიერება რა შუაშია? — თქვა ბატონმა ფარხადმა.

— ჩრდილის მოძრაობა მზის ბრუნვას ემორჩილება.

— მაშ ის ფაქტი, რომ შენი ალვის ხის ჩრდილი გაბრიელ მთავარანგელოზის ნიშნეცემა, ეს კანონზომიერებაა?

— არა, ეს კი არაა კანონზომიერება, კანონზომიერება ისაა, რომ მზე მოძრაობს ამის კვალობაზე ჩრდილებიც ხან აქეთ ისრებიან, ხან იქით. ეს ფაქტია და მას ვერაფერ ვერ გავქცევთ.

— მაშ, ასეა, არა?

— ასე გამოდის.

— კეთილი, ბატონო, ასე იყო. — თქვა უფრო დამუქრების, ვიდრე განაწყენების ნიშნით.

— მე არაფერი ისეთი არ მითქვამს... ეს ისევე ძველი ჭეშმარიტებაა, როგორც... როგორ გითხრათ, ვთქვათ — სიძულვილი დამსმენის მიმართ. დასმენა და სიძულვილი დამსმენის მიმართ ყველა დროში იყო.

— კეთილი, ბატონო. — თქვა უცნაურ კილოზე და ნაყინიანი თასი გვერდით მიიჩია. სახეზე მეტისმეტი სიცხადით გამოესატა დამცინავი, ბოროტების ჭავლებში გამჭოლი ღიმილი და წამოდგა. აშკარად ეტყობოდა, რაღაცნაირი, სხვათათვის წარმოუდგენელი და მიუწვდენი შურისძიებისა და სამაგიეროს გადახდის კონკრეტული გეგმა ჩაიფიქრა. რა საფუძველი ჰქონდა შურისძიებისა? რა შუაში ვარ მე, თუკი ჩემი ხატლი გაბრიელ მთავარანგელოზის ნიშნე მაღლა დგას? ან რა შუაშია ჩემი ალვის ხე, რომელიც თურმე ჩრდილს აყენებს ნიშის სვეტსა და... ნუ იკითხავთ, ფარხადის სარკმელს? მაშ როგორ მოიქცეს ალვის ხე, არ დაემორჩილოს მზის მოძრაობას? ან — შეუძლია კი მას ეს? მე მაინც ვერ გავიგე, ვის და რას ემართლება ეს პატივცემული ფარხადი? რა დაუშავა ალვამ? არა, მას მეტისმეტი ავადმყოფური თავმოყვარეობა და პირველობის მანია ალაპარაკებს, თორემ როდის იყო, რომ სამლოცველო ნიშზე სწუხდა? ააა, ახლა გავიგე. ფარხადი სამლოცველო ნიშს იმიტომ ამხედრებს ჩემი ალვის ხის წინააღმდეგ, რომ ამით თავისი საქმე გაიკეთოს, — თავის სარკმელს მოაცილოს ჩემი ალვის ხის ჩრდილი, თორემ ეგ ისეთი კაცი ჩანს, ნიში კი არა, ტაძარიც არაფრად ეპიტანავება. თავისი ინტერესებისათვის დაამხობს და განწირავს, უფრო მეტიც, ვფიქრობ, ცოლ-შვილსაც კი არ დაინდობს...

ფარხადი წავიდა.

განწყობილება გამიფუჭდა.

არა, მაინც რას ხედავენ ასეთ საინტერესოს ბოროტების ქმნაში?

მაინც ვინ არის ეგ ფარხადი?

მეორეჯერ რომ შემხედვს, ალბათ ვერც კი ვიცნობ, რადგან მის უცნაურ კითხვებზე თავაუღებლად ვპასუხობდი და წესიერად არც კი დავკვირვებოვარ მის გარეგნობას. მხოლოდ ის ვიცი, რომ იყო გამხდარი, მომეტებულიად შავგვრემანი, მოგრძო პირისხასი, საკმაოდ სუსტი, აქა-იქ შეჭაღარავებული შავი თმებითა და ცბიერი გამოსხედვით.

ასე დამამახსოვრდა ეს კაცი.

ერთხელ მზისა და ჩრდილის ზღვარზე დავინახე იგი. სახის ერთი მხარე მომეტე-
ბული, თვალის მომჭრელი სხივებით ჰქონდა განათებული, მეორე მხარე დამაბრმავე-
ბელი სიბნელით ჰქონდა მოცული. გეგონებოდათ, მთელი მისი გაორებული ბუნება და-
სახიათი ამით იყო გამოხატული. სასიათის ნათელი მხარე ასახავდა მის მცდელობას
სახელ-დიდებისა და ქონების უაღრესად და უსახელოდ მოხვეჭისათვის, ბნელი მხარე
კი — მცდელობას, ყველასათვის გაესწორებინა ანგარიში, ვისაც ათვალწუნებდა ან —
ვინც კი მას აჯობებდა, ყოფილიყო ეს თუნდაც ნიჭით, თუნდაც ვაჟკაცობით.

იმ დღეს სახლში გვიან მოვედი.

უხასიათოდ ვიყავი და დივანზე წამოვწევი.

ძილისპირ გამახსენდა ზღაპარი, ერთხელ რომ „ძილისპირულში“ მოვისმინე. აი,
ეს ზღაპარიც:

„მიტოვებულ ნიშს ეშმაკები შეესიენ. ანგელოზების ფრთების დასაჭრელად გამო-
აგზავნეს სიკვდილის ანუ გაბრიელ მთავარანგელოზის ნათლული სახელად ოზია. იგი
მეტად ნატიფი და საინტერესო ვინმე იყო, მაგრამ როგორც სიკვდილის ანგელოზის
ნათლულს, არ შეეძლო ყოფილიყო კეთილი.

ოზია მალე ჩამოფრინდა სხენიდან და მისი ადგილი დაიკავა სიკვდილის ანგელო-
ზის მეორე ნათლულმა, სიტყვაძვირმა და უკუდო ამპარტავანმა ვინმე ჩუბამ. ამანაც
თავის მხრივ გულმოდგინედ ააცილა ფრთები სიკეთის ანგელოზს და თბილ ქვეყანაში
გაფრინდა. კვლად ამისა მოფრინდა გაბრიელის უკანონო ნათლული არზონი, მეტად
ლუყე ვინმე, საქმებორძიკა ნაკაცარი.

რატომ ხართ ასეთნო, — შებრალებითა და თანაგრძნობით კითხეს თურმე სიკვ-
დილის მთავარანგელოზის ნათლულებს. უპასუხეს, — ეს იმიტომ, რომ გაბრიელის
ნათლულები ვართო, იგი სიკვდილის ანგელოზი, სულის ამრთმევია და ჩვენ რა
უფლება გვაქვს ვიფიქროთ ადამიანის სულის აღორძინებაზეო“...

მოულოდნელად ტელეფონზე დარეკეს.

გამოვფხიზლდი, ყურმილი ავიღე და მოვუხსმინე.

შმა არ გამცეს.

ვინ იყო? ალბათ, ფარხადი.

მაინც რატომაა, რომ ეს კაცი უდიდეს ბედნიერებას გრძნობს სხვის დაგესვლაში?
ეს ჩემთვის თითქმის დღესაც გამოცანად რჩება.

ფარხად ხანაშვილი მეტად შეწუხებული იყო იმით, რომ ჩემი ამაყი და ტანსაცხე
აღვის ზე მზის ჩასვლისას ჩრდილს აყენებს მის სარკმელს, საიდანაც ის თურმე
შორეულ ჰორიზონტებს უმზერს. ამ მიზეზით იგი დაუკავშირდა სიკვდილის მთავარ-
ანგელოზის ნათლულს და თავგამოდებით დაარწმუნა, აქაოდა, ჯედიმ ნიშის აბუჩად
აგდების მიზნით თავის ეზოში განზრახ დარგო აღვის ზე, რომ მისმა ჩრდილმა დაფაროს
ეს ნიშო.

გაბრიელებული ნათლული გაცხარდა, როგორ თუ ასეო ეს. როგორ თუ აღვის
ზემ ჩრდილი მიაყენა სამლოცველოსო.

დაწყვი იდუმალი გამოძიება, — მართლა განგებ დარგო და მართლა აბუჩად აიგ-
დო სამლოცველო თუ აღვის ზე მისით ამოვიდა და აქ ჯედი არაფერ შუაშიაო. სიმა-
რთლის დასადგენად გამოიძახა ყველა, ვინც მე მიცნობდა. დაკითხა ისინი და დარწ-
მუნდა, რომ ჩემს ეზოში მოშრიალე ტანმაღალი აღვის ზე, რომლის ჩრდილიც მოუ-
ცილებელ ლაქად ადევს დილით სამლოცველოს, ხოლო საღამოთი ფარხადის სარკმელს,
განზრახ დარგული კი არა, ბუნებისაგან მოვლინებულია. მაშინვე შეატყობინა მის
მრჩეველ ფარხადს, რომ აქ არავითარ ანგარებას ადგილი არა აქვს.

ამ ჭიუტმა სიმაართელმ ფარხადი მტისმეტად შეაწუსა. მან გაბრეცის ნათქვამს ურჩია, სული ეშმაკისათვის მიეყიდა, ანუ ყველა ღონე ეხმარა ალვის ხის გასახმობად. ამანაც არ აცია და არ აცხელა, დემონური სულით აივსო და მოიწვია მისი ხალხი, რომლებმაც ამ ალვის ხის შესახებ რაიმე იცოდა. დარბაზის ერთ კუთხეში მდებარე მაგიდაზე დადგა მოქაღობული ბროლის ვაზა მიმოზის ტოტით. ამ მოქაღობული ვაზის დანიშნულება ის იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ ტყუილი და ცილისწამება შეეწუხებინა, სიმაართლე კი სასტიკად უარეყო და სიმაართლის მთქმელის დასჯა ეკარნახებინა.

დარბაზი ქვესკნელს ჰგავდა. საიდანაც აფთრის თვალივით ანათებდა სინათლის ჭავლი და ისიც მხოლოდ ამ მოქაღობულ ვაზას ეცემოდა. მოდარბაზენი სიბნელეში ვერაფერს ვერ ხედავდნენ, გარდა ამ ბროლის ვაზისა. ჩაბნელებული დარბაზის ხიდ-რემეში მოულოდნელად გაისმა ამოწრენი და მეტად არასიმბატიური ბოხი ხმა. ვიღაც „შავი მშრპანტელი“ ხალხს მუქარასავით მიმართავდა:

„ვინც სიმაართლეს იტყის, დასტურად ვაზაში მიმოზა შეიმართება და გაიშლება. ვინც ტყუილს იტყის, მიმოზა მოიწყენს და გადმოეცემა. გირჩევთ სიმაართლის თქმას და უმეცარების სასჯელის აცილებას. ტყუილის მთქმელს მკლავებს გადაუგრებენ და ზეგნებადში ხადგისს შეარჭობენ“.

ხალხი შეიშოშოვნა და გადაწყვიტა, თქვას „სიმაართლე“. მთავარია მის სიტყვებში მიმოზამ არ მოიწყენოს და არ გადმოეცოდეს.

მცირე და საკმაოდ აუტანელი ღუმილის შემდეგ ისევ გაისმა მქისე და მოუხუდიველი ხმა:

„ვინ სხედს დარბაზის პირველ, მეორე და მესამე რიგებში?“

— ჯეღის ძმები! — იყო პასუხი.

„გეკითხებით, ალვის ხე ჯეღიმ განზრახ დარგო თუ მისით ამოიწარდა?“

— მისით ამოიწარდა! — თქვეს ძმებმა სრული სიმაართლე, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ეს მართლაც ასე იყო.

„თქვენ ტყუილს ამბობთ! — გაისმა იგივე ხმა. — აბა, შეხედეთ, თქვენს ტყუილზე მიმოზამ მოიწყინა და ვაზაზე გადმოეცა“.

— არა, არა, განზრახ დარგო ჯეღი! — თქვეს აუტანელი სიცრუე შეშინებულმა, საკმაოდ უბირო და ღიაჩარმა ძმებმა.

„ყოჩად. ახლა სწორს ამბობთ. ამის დასტურად მიმოზა შეიმართა და გაიშალა-ყოჩად!“

ძმებმა თავი დახარეს და ერთმანეთს პირი აარიდეს ამ აუტანელი ტყუილის გამო. ღმერთმა შეუწდოთ!

დარბაზში კვლავ გაისმა იგივე ხმა:

„ვინ სხედს დარბაზის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე რიგებში?“

— ჯეღის ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები! — იყო ხმა.

„გეკითხებით, ალვის ხე ჯეღიმ განზრახ დარგო თუ მისით ამოიწარდა?“

— სიმაართლე თუ გნებავთ, მისით ამოიწარდა!

„აბა შეხედეთ, მიმოზამ მოიწყინა და გადმოეცა. თქვენ ტყუილს ამბობთ და ამისათვის სასტიკად დაისჯებით“.

— არა, არა, განზრახ დარგო ჯეღი! — თქვეს აუტანელი სიცრუე ბიძაშვილებმა, მამიდაშვილებმა და დეიდაშვილებმა.

მიმოზა შეიმართა და გასწორდა.

„ვინ სხედს მომდევნო რიგებში?“

— ჯეღის ახლო მეგობრები! — იყო პასუხი.

„გეკითხებით ალვის ხე ჯეღიმ განზრახ დარგო თუ მისით ამოიწარდა?“

— მისით ამოიწარდა.

„აბა, შეხედეთ, მიმოწამ მოიწყინა და გადმოეკიდა“.

— არა, არა, განწარხ ღარგო! — თქვენ აუტანელი ტყუილი.

მიმოწა შეიმართა და გაიშალა.

„ვინ სხედს მომდევნო რიგებში?“

— ახლო მეზობლები! — იყო პასუხი.

„თქვენ რას იტყვით, ალვის ზე მისით ამოიწარდა თუ...“

— მისით, მისით! — დაიძახეს სმამალა.

„აბა, შეხედეთ, მიმოწამ მოიწყინა და გადმოეკიდა“.

— არა, ღმერთმანი, არა! მიმოწა ჯედიმ განგებ ღარგო, რომ მისი ჩრდილი დილით

სამლოცველოს დასცემოდა და საღამოს — ჩვენი დიდებული ფარხადის სარკმელს.

„ყოჩაღ, მართალს ამბობთ. ამის დასტურია მიმოწა. აი, შეხედეთ, როგორ ხალი-
სიანად შეიმართა და გაიშალა! ყოჩაღ, მოდარბაზენო! აი, თქვენ ყველამ ადირეთ ჭეშ-
მარტება, რომ ჯედიმ ალვის ზე განწარხ ღარგო. აბა, თუ მიხედებით, რაა საჭირო ან
თავხედობის სამაგიეროდ?“

— ალვის ხის მოჭრა! — გაისმა საიდანაც!

— მოჭრა ეს მეტად თვალსაჩინო ფაქტია. საჭიროა მისი საიდუმლოდ მოკვდინება! ლოში ისე უნდა მოგუდო, რომ ბეწვიც არ გადაუღრიკო. აი, ესაა საქმე. დიახ, ჩვენი ვალია მოგვკვდინოთ ჩვენი მტერი, ჩვენი მასხრად ამგდები და შეურაცხყოფელი.

— ესე იგი, საიდუმლოდ უნდა გავახმოოთ ალვის ზე.

— დიახ, დიახ! მტერს რომ მოერიო, ზუსტად უნდა იცოდეს მისი შესაძლებლობები. საჭიროა ზუსტად შევისწავლოთ ალვის ხის განფხევიანება, მიწიდან ამოდებული მაცო-
ცხლებელი მადლის გასაგლიანობა მერქანში და ხის საერთო განტოტება. ზუსტად უნდა
ვიცოდეთ, ფესვებს რამდენი ტოტა აქვს სარჩენი, ტოტებზე რამდენი ფოთოლი შრია-
ლებს, რა რაოდენობის ქლოროფილისაგან შედგება ის და მიწიდან წყლის მოწოდების
დღეღამურ ციკლში რა შეფერხება მოაკვდინებს მას. ეს და მრავალი სხვა სიზუსტენი
იმისათვის არის საჭირო, რომ ზუსტად გავიანგარიშოთ, რამდენი წვეთი საწამლავის
მოაკვდინებს მას. მოგმართავთ თქვენ, მოდარბაზენო, ვისაც ესოდენ სუფთა ხელები
და მგზნებარე გული გაქვთ, სათითაოდ შეისწავლოთ ყველაფერი, რაც ალვის ხის ირგ-
ვლივ შეიძლება არსებობდეს და მომასხენეთ. მუშაობას უნდა შევუდგეთ დღესვე. ყვე-
ლაფერში ზუსტნი, ოპერატუვნი და ჟრინარნი უნდა ვიყოთ. ისიც ზუსტად უნდა ვი-
ცოდეთ, თუ ალვის ხის ტოტზე დღეში რამდენი და რა ჯიშის ჩიტები ჩამოსხდებიან.
რატომ და საიდან მოფრინდნენ და რატომ და ხად გაფრინდნენ, რა პანგებზე იჟღურ-
ტულეს და, საერთოდ, ჩიტებს რა საერთო აქვთ ხესთან.

სათანადოდ შეიქმნა ჯგუფები. ფესვებს შეისწავლის ის ჯგუფი, რომელიც კარგად
ხედავს, თუ რა ხდება მიწის ქვეშ. ღეროს, მის გამტარიანობას და მერქნის სასიცოც-
ხლო ძალებს შეისწავლის ის ჯგუფი, რომელიც კარგად ხედავს მოლეკულების მოძრა-
ობას, ტოტების და ფოთლების ურთიერთ მიმართებას შეისწავლის ის ჯგუფი, ვისაც
ხელეწიფება მოსმენა თუნდაც მეთასხედი ჩქამისა ყოველგვარი ფონენდოსკოპის გარე-
შე. დავალება გასაგებია?“

— გასაგებია. — იყო პასუხი.

„მაშ, შეუდევით საქმეს. ბრძოლის წაგება სიკვდილს ნიშნავს. ღრმად ჩაიხედეთ
რა ხდება მიწის ქვეშ. ღრმად ჩაიხედეთ, რა ხდება უჯრედებსა და მოლეკულებში
ღრმად ჩაიხედეთ ყოველგვარი ჩქამის საიდუმლოში. შეისწავლეთ ალვის ხის გამძლეო-
ბა, და ის, თუ რამდენი წვეთი საწამლავი არის საჭირო მის გასახმობად. გახმობისათვი-
ოპერაცია უნდა მიმდინარეობდეს მაღალკვალიფიციურად. არ დატოვოთ საწინააღმდე-

გო შტაციებისა და ექვის რეციდივიზი, მოწინააღმდეგე, ანუ იგივე ალფონს სე, რომელიც ასე ამაყად შრიალებს და მისი არსებობით გვაყენებს ჩრდოლს, უნდა მოისპოს. ჯგუფებს გული ეტკინათ ამ გადაწყვეტილებით, მაგრამ მაინც შეუდგნენ მუშაობას. გაბრიელის უკანონო ნათლულს უოველდღე მისდიოდა ცნობები ფესვების, ღერო-სა და ფოთლების შემსწავლელი ჯგუფებიდან.

ეს იყო მეტად სერიოზული საქმიანობის პირველი წელი.

ჯგუფებს ამ საქმის მოგვარებისათვის მიეცათ გარკვეული დრო.

გავიდა მეტად დაძაბული მუშაობის ბურუსიანი წლები.

იმ ჯგუფმა, რომელიც კარგად ხედავს, რა ხდება მიწის ქვეშ, ღრმად და ამომ-წურავად შეისწავლა განფესვიანება, მისი სიჭანსაღე და განფესვიანების პარამეტრები. ვერავითარი განსხვავება სხვა კეთილშობილი ხის ფესვებსა და ალვის ხის ფესვებს შო-რის ვერ ნახა. აქედან გამომდინარე, ვერც ალვის ხის განშობის საბაზი იპოვა. ფარხადმა მას სასტიკად უსაყვედურა, ვის გაუგონია ასეთი გულმოწყალებაო.

„მიუკერძოებელმა ხმამ“ ფარხადის შენიშვნის შემდეგ ამ ჯგუფს თავში ჩაარტყა კვერთხი, — ცუდად მუშაობთო. ამ ჯგუფის მესვეურნი მიმოდგნენ მშიერ კატებად, მეტად საბრალო, მაგრამ მათთვის უვარგისი სიმართლე სადღაც მიაგდეს და ტყუილი იკადრეს: — ალვის ხეს ფესვებზე საექვო კოჭრები აქვსო. მას შეუძლია გაავრცელოს ისეთი ვირუსი, მთელი ფლორა დაღუპოსო. შეუქცევადმა ხმამ მოუწონა ამ ჯგუფს ეს „აღმოჩენა“ და წახალისა კიდევ.

ჭერი მიდგა მეორე ჯგუფზე, რომელსაც უნდა შეესწავლა ღეროს გამტარიანობა და მოლეკულების მოძრაობა. ჯგუფმა მოახსენა „შეუქცევად ხმას“, რომ ალვის ხის ღეროს მოლეკულური შემადგენლობა, ფესვებიდან მიღებული მიწის მადლის გამტარ-უნარიანობა და ბევრი რამ, არაფრით განსხვავდება სხვა ხეებისაგან და მასში საექვო არაფერი არ არისო.

ეს გაიგო ფარხადმა და გაბრიელის ნათლულს ურჩია, სასტიკად დაესაჯა ასეთი გულმოწყალები. მიღებულ იქნა რა რჩევა ფარხადისა, „შეუქცევადი ხმის“ შიერ სას-ტიკად დაისაჯა ჯგუფი. პასუხად ამ ჯგუფის წევრები მიმოდგნენ მშიერ კატებად. მეტად საბრალო და მათთვის უვარგისი სიმართლე სადღაც მიაგდეს და აუტანელი ტყუილი იკადრეს. „შეუქცევადმა ხმამ“ მოუწონა მათ ეს დიდი „სიმართლე“ და კიდევ შეაქო.

ჭერი მიდგა მესამე ჯგუფზე, რომელიც სწავლობს ფოთლებს, მათს ურთიერთმი-მართებას. შრიალის ინტენსივობას და მეთასხე ჩქამსაც კი.

ამ ჯგუფმა მოახსენა „შეუქცევად ხმას“ რომ აქ ვერაფერი განმასხვავებელი ნაშა-ნი ვერ იპოვეს სხვა ხეებთან შედარებით და ვერც ვერავითარი საბაზი ვერ იპოვეს მისი განშობისათვის.

ფარხადმა ეს „აღმაშფოთებელი“ ამბავიც გაიგო და რჩევა შეიტანა სადაც ჭერ არს, სასტიკად დაესაჯათ და გადაეხალისებინათ ეს ჯგუფი. მათში შეეყვანათ ფილოსო-ფოსები, ფსიქოლოგები, ბიოლოგები და სხვანი. „ხმამ“ მომაკვდინებელი კვერთხი ჩაარტყა ჯგუფს თავში და უთხრა: — „ბოლო იმედს თქვენზე ვამყარებდი, თქვენ კი გააწყალებითო გული...“

პასუხად ამ ჯგუფის წევრები მიმოდგნენ მშიერ კატებად, მეტად ყერიბი და უმაქ-ნისი სიმართლე სადღაც მიაგდეს და თქვეს:

— ფოთლები გაუგებარ რასმე შრიალეებენ, ჩიტებიც მაცნებლურ და ჩვენთვის შეუსაბამო ენაზე უღურტულებენ და ქმნიან მეტად საექვო ვითარებას. არის უდიდესი საბაზი ხის განშობისა. მისი სიცოცხლისუნარიანობა მეტად დიდია. საჭიროა შემ-ზადდეს ძლიერი კონცენტრირებული ფესვების მოსაკლავად.

ასე დაიწყო ყოველდღიური მოწამლვა ალვის ხისა. პირველ ჯგუფს სრულიად შემოჩნევალად და საიდუმლოდ მოქონდა თითო წვეთი საწამლავისა და ყოველდღე ნელ-ნელა წამლავდა უნიკალურ ალვის ხეს.

ალვის ხე პირველ ხანებში ჯიუტად იტანდა საწამლავს, მაგრამ მერე და მერე საწამლავი გრძნობლად შეირყა მისი ჯანმრთელობა. იგი ხშირად ავადმყოფობდა. უმეტესად გულს უჩიოდა, არ იცოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ვერ წარმოედგინა, რომ მისი უწყინარი და ლამაზი არსებობა ვინმეს უშლიდა. ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ ხეს, მეტადრე ასეთ ლამაზს წვეთწვეთობით მოწამლავდნენ. ვერაფრით გაეგო, რას ემართლებოდნენ. იმას კი ვერ მიმსჯდარიყო, რომ ყველაფრის მიზეზი მისი სულისა და ბუნების მშვენიერება იყო.

ყოველდღე თითო წვეთი საწამლავისა...

ყოველდღე...

ალვის ხე მაინც იღვა და შრიალებდა. მისდაუნებურად, მზის ამოსვლისა და ქვეყნის წალმა ტრიალის კანონების შესაბამისად დილით ჩრდილს ნიშნს სცემდა და საღამოთი ფარხადის იმ სარკმელს, რომლიდანაც იგი სამყაროს უმზერდა. ღიახ, მისდაუნებურად ჩრდილს აყენებდა, მაგრამ ეს მისი ბრალი სრულებითაც არ იყო. სხვა ხეებისაგან განსხვავებით მას ერთს შეეძლო განა არ დამორჩილებოდა მზის ბრუნვას და საერთო ორომტრიალს? რა თქმა უნდა, არა! მაინც მტრობდნენ, მტრობდნენ...

რაკი ნახეს, თითო წვეთი საწამლავისა ხეს ვერ კლავდა, გადაწყვიტეს მეტი ქმედითობა და აქტიობა გამოეჩინათ. ჯერ იყო და კონცენტრატი გააძლიერეს აუტანელი შხამ-ქიმიკატებით, ამასთანავე, მოწამვლის პერიოდულობა გაზარდეს. აქამდე მხოლოდ დიდიდილობით თუ წამლავდნენ, ახლა პროცედურა შუადღეზეც დაუნიშნეს. ამითაც რომ ვერაფერს გახდნენ, ღოზა კიდევ უფრო გააძლიერეს და საღამოთი, ძილის-წინაც დაუნიშნეს. ასე რომ ალვის ხე დღეში სამჯერ იღებდა აუტანელ საწამლავს, თუმცა მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. იცოდა მხოლოდ ის, რომ ფესვები ტკივოდა და გული ეღვოდა. ნატრობდა წვიმას, როგორც მომავლადი წვეთ წყალს, რომ ფესვებზე შემოხვეული სიკვდილის ბანგი ჩამოერეცხა. წვიმა ხშირად იგვიანებდა და სულს უხუთავდა. ზოგჯერ კი ისეთი თავსხმა მოვიდოდა, ფესვებს უშიშვლებდა და სიკვდილის ბანგს თუ მოაცილებდა, სამაგიეროდ მიწასაც მოაცილებდა და გადარეცხავდა. გამოდარების შემდეგ კი მზე ისე დააცხუნებდა, რომ მოაღწობდა და სიკვდილის კარს მიაგდებდა. ცის ნაში, მზის სხივი და საწამლავი ერთმანეთში აერია, გაბრუვდა და გაიხსუსა. ისე ათრთოლდა, როგორც მეტისმეტად ნერვებდაჭიმული ადამიანი. მოიწყინა. ვეღარც ფრთოსნები ხიბლავდნენ და ვეღარც მათი საამო გაღობა. აღარც გუბის სარკეში იყურებოდა თავის მოსაწონებლად. ფესვები ატკივდა, გული ატკივდა, ტოტები ატკივდა და ფოთლებიც ლამის დაუტყნა. სული კბილით ეჭირა. მაინც გადარჩა!

გადარჩენა მასე არ უნდაო, თქვა „შეუქცევადმა ხმამ“ და ფარხადის რჩევით წამებით აღსრულების ასალი საოცრება მოიგონა.

„შემოკრბით!“ — გასცა ბრძანება და შემოკრბა „მრევლი“. მათ შორის ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა დარბაზის პირველ, მეორე და მესამე რიგის წარმომადგენლებზე. არც სხვა რიგისა და ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ მოკლებული ამ პატივს.

„შეუქცევადმა ხმამ“ გასცა განკარგულება ალვის ხეში წრიულად და მიჯრით ჟანგიანი ლურსმნები ჩაერკოთ.

ეს ოპერაცია შესრულდა დიდი წარმატებით. ისე ჩაასვეს სისხლის მომწამლავი ჟანგიანი ლურსმნები, კაკუნი არავის გაუგონია.

სასიკვდილოდ ალვის ასეთი გამეტება ქვეყნად ჯერ არავის სმენია. ეს იყო ბოროტების ყველაზე არაადამიანური გამოვლინება.

ჟანგმა გულისაყენ რომ გაჟონა, ალვას მომავლადივით გააუტოლა. ცოტაც და
თვალთ დაუბნელდა, შეტოკდა და ლამის ზეწეურად გახმა, მაგრამ... მოხდა საოცრება
და. ეს რომ გაიგო „შეუქცევადმა ხმამ“, ბრძანა ალვისათვის ყველა სასიცოცხლო ნერ-
ვწმენა მოერია ძარღვებში შემოკიდებულ ჟანგიან სიკვდილს და თვალბში გამოიჩე-
და. ეს რომ გაიგო „შეუქცევადმა ხმამ“, ბრძანა ალვისათვის ყველა სასიცოცხლო ნერ-
ვის გადაჭრა. სამისოდ დაავალა ყოვლად შეუბრალებელ ძალებს ალვის ხისათვის
ირგვლივ კანი შემოეცალათ. ასეც მოიქცნენ. ეს იყო მათი გამარჯვების უკანახედი
შანსი. ალვის ზე ამასაც თუ გადაურჩებოდა, მისი განწირვა შეუძლებელი იქნებოდა.
ასეც მოხდა. რა გაწევით, გატანით, რწმენით და იმედით გადარჩა, ეს არავინ არ იცოდა.
გადარჩა!

ოდნავ შესამჩნევად იწყო მომჭობინება.

მომჭობინდა და ფეხებში ჩაიხედა. ახლა გაიგო, რომ მას თურმე წლების განმავ-
ლობაში ბოროტი ძალები წამლავდნენ. ვინ იყვნენ ესენი? — ვინც იხედებოდა მიწის
ქვეშ, იხედებოდა მოღვულებების სამყაროში და იხედებოდა ფოთლების მეთათხედი
ჩქამის სინაზეში. რად სჭირდებოდათ ეს? ეს სჭირდებოდათ ჩინ-მეღვლების მისაღებად,
ბოროტი გულის მოსაგანებლად და, ბოლოსდაბოლოს, იმად, რომ ეს მათ ეგონათ ნამ-
დვილი სამსახური. ზოლო ვისაც სწავთა ფაქიში სულის მოწამლვა, აბურად აგდება და
დაცინვა ჭეშმარიტ სამსახურად მიაჩნია, იმისათვის სიკვდილთ დასჯა ძალიან ცოტაა.

გადარჩა ალვის ზე. ვერ გადარჩნენ ისინი, რომლებიც „მოკლავდნენ ვაზას“ ჭაუხს.
აჭყვენ. მწარედ ინანეს, რატომ სიმათლეს არ შეეცნირეთო. არადა შეეძლოთ ყოფილი-
ყვენ სულით რაინდები და ღმრთებელ დარჩნენ. ყველას თავისი მიეწლო. ოდონდ ესა,
ალვის ზეს მარადიულ კითხვად დარჩა: „რატომ“?

ვაი, შე მიამიტო ალვის ზე! როგორ თუ რატომ? მაშინ ზომ მართალის, მშვენიერ-
ის და თავისუფლების განწირვა სასახლო საქმედ ითვლებოდა და ჯილდოს იმსახუ-
რებდა.

შრილებს ალვის ზე, როგორც იმედის, რწმენის, გამარჯვების, თავისუფლების
მშვენიერება.

იშრიადოს...

იშრიადოს...

იშრიადოს...



ჩემო პატარა მდინარე!

ჩემო პატარა მდინარე,
 ჩემო პატარა ღელე,
 თუმცა არავინ არ გიცნობს,
 ჩაედინები ველებს.
 შენ ფიქრს არავინ არ ისმენს,
 ყურს არავინ უგდებს შენ თქმას,
 ვერ გრძნობენ მწვანე ჯეჯილში,
 შენი სიცოცხლის ფეთქვას.
 რომ ატრიალებ ჭალაში.
 ჩემი წისქვილის ბორბალს.
 და სარეკელა ღამეში
 ჩემს ტკბილ მოზღაპრეს მოჰგავს.
 ვდგავარ და ფიქრში გიგონებ,
 თითქოს ბაღლი ვარ ჩვილი.
 ნიავის ალერსს მიგზავნის
 შენი ძეწნების ჩრდილი.
 დიდ მდინარისებრ არ სჩანხარ.
 მაგრამ არ გახრჩობს შური.
 შენ ისიც გყოფნის, ჩემს გულში
 რაკი ხარ აღნიშნული...

გადავიცევი ენარად

ხანდახან ვფიქრობ: არ ღირს,
 ჩემი სიცოცხლე ასე,
 თუ კაცის ცრემლს და ღიმილს
 არავინ დააფასებს.
 უცებ თვალისწინ ჩნდება:
 ჩემი „ჩეგოლა“, ჩემი.

წამომეზრდება ფრთებად
ალავერდი და გრემი.
თვალს გადავაულებ გელათს,
თითქოს მოფრენილს ციდან,
და ამღერდება ხელად
ჩუქურთმით ნიკორწმინდა.
მტკვარს შემოვირტყამ ქამრად,
როგორც ვარსკვლავთა ციმციმს,
გადავიქცევი ქნარად, —
წუხილი აღარ მიმძიმს.

წყაროსთან

ტანწერწეტა და
თვალეზხატულა,
წყაროსთან დგას და
წყალს ეწაფება.
ვამჩნევ, რომ მიხმობს
საოცარ ნატვრით,
მიხმობს და პერე
კელავ მეგრძალებს.
ივსება სურა
ყელმოღერილი, —
ღუმელში ჩუმად
მძიმდება წამი...
და ამ ლამაზი
ასულის დღეღვით
სურიდან თითქოს
იღვრება წყალი.

* * *

წარსულით გეამაყება
და წინაპრებით გიხარის, —
დროუჟამს შენი რა მიჰყვება,
რა ემატება, მითხარი.

ჩვენი ღღეები სიცოცხლის
მთავრდება, ასე სრულდება,
აწმყო თუ არ გაქვს ამ ქვეყნად,—
ნეტავ რა გეწარსულება?!

სივლერა

ოვალს იტაცებს სიტურფე
ულამაზეს ალაზნის,
ორწონებში უეცრად
ავარდნილი გავაზი.
მზე ოქროსფერ სარკმლიდან
პირმდიმარი მცქერალი,
ასვეტილი კლდეები,
ჩანჩქერების ჩქერალი.
უსიერ ტყის ღუმილში,
ნაკადულის ლიკლიკი,
ვინმე მგზავრი გვიანი —
ჩაკიდული ბილიკით.
მაღალ მთის ფერდობებზე,
სადაც კალთა ცას ფარავს,
სალამურის ჰანგებით
მწყემსი მწყემსავს ცხვრის ფარას.
მოლივლივე ლურჯ ტბაში,
განა ცეცხლი ანთია?
ბროწეულის არილი
დაისს ჩაუხატია.
მოდი, მწყემსო, გვითხარი
ლექსი ჯერაც არ თქმული, —
ამ ბუნებას როგორ ჰგავს:
ხასიათი ქართული.



ვლადიმერ ვისოცკი

1989

რომანი გოგოვზე

ფრაგმენტი

...ძლივს ააღწია მესამე სართულზე ტამარკამ.

„ნეტავ კი მამა სახლში არ დამხვდებოდეს“ — გაიფიქრა და კარი შე-
აღო.

მოულოდნელად — ნიკოლაი...

— გამარჯობა. — ამბობს იგი.

— გაგიფიცოს. — უპასუხა ტამარკამ და სინუშე ჩამოწვა უსაშველო,
დავარდნილი გიტარის ჟღარუნი არღვევდა ღუმილს. მშობელი, უკვე გვა-
რიანად ჩაბუჭებული, ცნობისმოყვარედ იფურებოდა, რა მოხდებოდა,
მავრამ მესამე კაცი, ოთახში რომ იმყოფებოდა, წამოდგა და შესთავაზა:

— წავედით, მაქსიმ გრიგორიჩი, — სასმელი დაემატოთ, ამას უკვე
ფსკერი მოუჩანს, — მაქსიმ გრიგორიჩმაც იკადრა წამოდგომა, ტოლიკას
გაჰყვა. გვარი არ ჰქონდა ტოლიკას, კოლკას მეგობარს. სამაგიეროდ პრო-
ფესია ჰქონდა უცნაური და იშვიათი — მოგზაური.

— ტა-მარ-კა, ტოო-მა-ჩკა, — წაიმღერა ნიკოლაიმ, — ოქრო გოგოვ, —
ამოთქვა მძიმედ, მძიმედვე მოითქვა სული. მერე ერთბაშად ამოისროლა,
— ვზივარ აქ, გელოდები... დამაწყდა ნერვები... ჯობია, სასმელმა დამაბრ-
ჩოს, ვიდრე ბოლმამ-მეთქი. — გაიხუმრა და კვლავ შეჩერდა, ყელი დაეზმო.
— შეცვლილხარ, გოგო, ოღონდ ჩემთვის არა, ჩემთვის თითქოს არც ყო-
ფილა ეს სამი წელი. ისეთივედ დამჩნი, როგორც დაგტოვე. ნუ მელი-მეთქი,
გითხარი მაშინ.

— არც ვაპირებდი. — უმიზეზოდ ჩაურთო სიტყვა.

— ჯერ მე მაცალე, გოგო, ტამარკა, შენ შენი მერე თქვი. სამი წლის
ნაგროვები ამომათქმევინე. შენს ნატვრაში ეს სამი წელი სამასად მეჩვენა,
ცხადში რომ თვალწინ მყავდი, სიზმარშიც შენ გეხვეოდი. წერილებიც,
სიმღერებიც — შენი იყო მხოლოდ. სადაც ვიყავი, ყველგან თან მახლდი,
თვალს დავხუჭავდი, მიცინოდი ხესმოფარებული, ჩემს ჩურჩულს უსმენ-

ლი წერილს ბევრს გწერდი, გწერდი და ვხევდი. არაა საჭირო გახსენება, დაუ, იფრინოს-მეთქი, უჩემოდ. ვცადე, ვერ შევძელი ხსოვნის ამოშლა. მაგრამ დამდადე, რკინის შანთებით. ყველგან გვერდით მყავდი, მყავდი და გეხვეოდ, კიდეც და კიდეც... ასჯერ, ათასჯერ... ახლოს მოიწიე რაღაც უღგებარ, გოგონი.

— გეყოფა, კოლია — ტამარკა შეაცბუნა ბიჭის სიტყვებმა, დაულაგებელმა და მართალმა. ცოტა არ იყოს, არტისტულმა სიტყვებმა. შენთვის ეს სამი წელი ვითომაც არ ყოფილა, ჩემთვის კი იყო და მერე რა იყო. შენი თავი არა მაქვს, დავიღალე, წადი რა, კოლია!

არა, ნიკოლაი სვიატენკოს მოშორება აღვილი არ იყო. თუ რამე არ გამოსდიოდა, მოკვდებოდა და თავისას მაინც გაიტანდა — ხასიათი დაჰყვა ასეთი.

— ეხ, ტომკა, ტომკა, რაო, გავიზარდენითო, დავსერიოზულდითო? — უკვე ნაცნობ ჰანგზე ამღერდა ბიჭი, — სიტყვაში გამოსვლა არ მოგვეწონაო, სახლიდან მიბრძანდითო. ვაჰ, მართლა ფიქრობ, კარს გავიზურავ? ეგ რამ გაფიქრებინა, ღმერთმა დამიფაროს, სამი წელია, გოგო, სამი წელია ამ წუთებს ველი და ახლა ავღვე და წავიდე? აბა, ახლოს მოიწი, მომიახლოვდი. აი, ასე... მომეხვეე, ჩამეკარი, ვითომ მელოდი, ვითომ გული გელოდა, ამოიტირე, როგორც წესია, „დღე და ღამე შენზე ფიქრში არ მეძინა, ბიჭო, ნიკოლაი, შენ კი წერილიც არ მაღირსე. მხეცო, უგულოვ. შენზე ღარდმა ჩამომასხმო და დამანელა“.

— კოლია, მორჩი, არც მიღარდია, არც ჩამოვმხმარვარ, კიდეცაც მიცხოვრია და თითქმის არც გამხსენებინარ.

— „თითქმისო?“ — ყოჩაღ, გოგონი. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. გამოდის, იშვიათად, ათასში ერთხელ მაინც გახსენდებოდი, ზომ? მე ესეც მეყოფა. — კოლია ამ ერთმა სიტყვამ ისე გაახარა, თითქოს გოგო სიყვარულში გამოტყდომოდეს.

— დამშვიდდი, კოლია, დაჯექი, ილაპარაკე, თუნდაც იმღერე, რამე, მსიარულდი...

შემდეგ კოლიამ შეისვენა და გიტარა აიღო. გული ცოფიანივით უხტოდა, სიმღერამ წყურვილივით მოუარა, მისმა კი არა, სხვისმა სიმღერამ, თავისად რომ თვლიდა ისეთმა:

მორიგ მსჯავრამდე ვზივარ, ვოცნებობ,
გაქცევა... დევნა... და ისევ — მახე,
თქვენს ცხოვრებაზე მომწერეთ, ძმებო,
რა ამბავია, რა ხდება მაქეთ.

გიტარა ღალატობდა, დაცემისაგან სიმშერყეული მისი გიტარა. ააწ-

ყო, გააგრძელა. გაოცება, გოგოს თვალებში ჩაბუდებული, შეუმჩნეველი დარჩა.

აქ ზამთარ-ზაფხულ თოვს და გვათრთოლებს,
(არც გადაიღებს, ისე გაერთო...)
სუყველადერი მომწერეთ, თორემ
აქ არაფერი ხდება საერთოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბალი, ჩამწყდარი ზმით მღეროდა ნიკოლაი, თითქოს არც მღეროდა, რეჩიტატივით გაჰქონდა მარტივი მელოდია.

რითი თვრებით და რითი სეირობთ,
ჩვენ ბოლმა გვათრობს, სმაზე — უარი...
რას იქმს ტამარკა, ვისთან სეირნობს,
მანაც მომწეროს, მარტო თუ არი.

წესით ნადიუშაზე უნდა ემღერა, განგებ შეცვალა სახელი.

იმედის ძაფი გადარჩენილი,
გამიადვილებს ყოფას საძნელოს...
ეგებ არც მომცენ თქვენი წერილი,
მაგრამ თქვენ მაინც მომწერეთ, ძმებო.

დასრულდა და გიტარას ყელზე თითები მოუჭირა. ბგერამ გრძლად ამოიკენესა. ნაღვლიანი სიმღერა კიდევ უფრო დანაღვლიანდა. თავადაც თვალდახუჭული იჯდა, სასოწარკვეთას, ვედრებას, თხოვნას ერთად მოეყარა თავი ბიჭის სახეზე.

— ეს სიმღერა შენთან საიდანაო? — შეეკითხა ტამარკა, როცა ნიკოლაიმ, ბოლოს და ბოლოს, თვალი გაახილა და მას შეხედა.

— ბიჭებმა შემოიტანეს ბანაკში. ვილაც ყოფილა, კულეშოვი, ალექსანდრე, უბადრაგონი ფულს ოხრად ჰყრიდნენ მის სიმღერებში. ძველი ფირები იყო, ათასჯერ გადაშლილი და გადაწერილი. კიდევ ათასჯერ ვისმენდით, სიტყვებს ვარჩევდით. მერე ვწერდით, ჩუმად ვინახავდით. ყველა გიჟდებოდა, ყველა ჭკუას კარგავდა. ჩხრეკისას უფროსობა ფურცლებს გვაწერდა. უხ, ჩვენ ბოდიში, გვართმევდა, მინდოდა-მეთქვა. ამბობენ, ზის თურმე სადღაც, მგონი მოკლეს კიდევაც ეგ ბიჭი. თუმცა ზუსტად არ ვიცი. ბანაკში რას არ გაიგებ. ათასგვარ ისტორიებს აცხობდნენ, ათას რამეს ლაყობდნენ. იგონებდნენ, ალბათ. მოგეწონა?

— მომეწონა, კი. — ჩაილაპარაკა ხმადაბლა, მერე შეეხვეწა:

— კიდევ იმღერე რა, კოლენკა!

— მერე იყოს, — მიუჩოჩდა, გიტარა განზე გადადო, მუდარაგარეული შეკითხვა დაუსვა: — იქნებ გეკოცნა მაინც, გოგო, ტამარკა?!

პასუხი არ იყო არავითარი, მაშინ კოლკა ისე მოიქცა, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა — კარი გამოაღო და ჰივანს გადაეწყო, მერე კი, ჰაერში გამოკიდებულმა, მოაჯირს ჩაბლაუჭებულმა კატეგორიულად მოითხოვა. — მაკოცე, თორემ გადავხტები! ეს ისე გააკეთა, ისუძრა ვითომ ღამბაულობის შესანელებლად. არც კი ელოდა, თხოვნას თუ შეუსრულებდნენ. არც გოგო ელოდა იმას, რაც შემდეგ მოხდა — ბიჭთან მივიდა და აკოცა. კოცნა იყო არანაუცხათევი, საგულდაგულო. ვნება კი აკლდა, მაგრამ მხურვალეობა ერია ბლომად. გოგოს გონებაში ელვასავით გაკრთა ფიქრი. აი, ასე, სწორედ ასე ვიძიებ შურს საშკაზე.

წამიც და კოლკა უკანვე გადმოაფრინდა მოაჯირს. გოგოს უკვე თავად ჰკოცნიდა და ისუტებდა. მოშეებული მგლის სიხარბე, ყელგამშრალი კაცის მწყურვალეობა იგრძნობოდა ბიჭის ალერსში.

— კარები გადაკეტე, ცოფიანო, მალე მობრუნდებიან!

გოგო ხელში აიყვანა, ძვირფასი ტვირთით მივიდა კარებთან და გადაარაზა. საზეიმოდ მიუახლოვდა დივანს.

— აქ არა, ჩემს ოთახში.

გალიაში გამომწყვდეული ლომივით ბორგავდა ბიჭის გული, მხურვალე სუნთქვა სახეს უშანთავდა და აღელვებდა ტამარკას. მალე გოგოსაც ეწია სურვილი, ისიც მოეხვია, მანაც მიიზიდა. ცნობის დაკარგვას ჰგავდა ბიჭის ამოკვნესა: ტამარკა, ტო...მკა... ტუჩებით სხეულს დაეკონა, მისი სურნელით გაიჟღინთა, მასში გაითქვიფა. იგრძნო ცხელ, მკვრივ სიბნელეში იძირებოდა ნელ-ნელა, ნება-ნება... ბოლოს ფსკერს უწია და უღონოდ გაეხვია ვნებაცხრომის სქელ სურნელოვან ნადულ-ნარევში. აღარ ახსოვდა არაფერი. ფიქრისა და განსჯისთვის აღარ დარჩა მასში ადგილი. გოგოს სიტყვებმა გამოაფხიზლეს.

— ახლა კი, კოლია, მართლა წადი და ნულარ მობრუნდები. გესმის, კოლია? თუ გიყვარვარ, ასე უნდა მოიქცე. ახლავე წადი, ამ წუთში მართლობა მჭირდება. ცუდად ნუ გამიგებ, შენგან არაფერი მწყენია, შენ არაფერ შუაში ხარ.

— ვერ მოგშორდები, ახლა რომც წავიდე, ხვალ მაინც მოვალ. სხვას შენს თავს ვერ დაუთმობ. ზომ იცი, კოლკა კოლეგას მარწუხებს ვერ გაექცევი, არც ეცადო.

— გაგექცევი, კოლია, გაგექცევი. ახლა მე ძლიერი ვარ. გაჭირვება ღონეს მატებს ადამიანს.

— ვინ შეგაწუხა, ყელს გამოვლადრავ!

— ეგლა გაკლია, ყელს გამოვლადრავ! შენგან სხვას რას უნდა ელოდოს კაცი. ნეტა კი იცოდე, ვისაა, ყელის გამოჭრას რომ უპირებ.

— მაინც ვისაო?

— მე, კოლია, უკვე სამი წელია საშკასთან ვარ, სწორედ მაგ შენს კულემოვთან, ვის სიმღერებსაც მიმღეროდი, ვისაც მისტიროდი, არც მოკლულია თქვენი მომღერალი — თეატრში მუშაობს. ზოგჯერ ხანს ვერ აეწყო ჩვენი საქმე. გაიგე?!

ყველაფერზე მოძებნიდა პასუხს კოლია, ყველაფერს შემოუვლიდა — ამის გარდა. ბანაკში შეიყვარა ეს ბიჭი. არ ენახა და ეგონა, რომ შეხვედროდა, ათას კაცში გამოარჩევედა, რომ შეხვედროდა, პირველ დღეებზე დაძმაკაცდებოდნენ, მაშინვე გაუგებდნენ ერთმანეთს. იმიტომ, რომ სიმღერები მოსწონდა უსაზღვროდ. ეგონა, თავადაც თავის სიმღერებს ჰგავდა ტყუპის-ცალივით. ან კი სხვანაირად როგორ იქნებოდა. მარტივ კოლკა ზომ არ ეიჟდებოდა, მთელი ბანაკი იმას ნატრობდა, ნეტა ჩვენთან გადმოიყვანდნენო. ნეტა თვალი მოგვაკერევიანო. დალაპარაკებასა და ხელის შეხებაზე იტყუებოდნენ. მაშ, რა გამოდის?!

ყველაფერს გაუძლებდა, ყველაფერს მოინელებდა ამის გარდა. გაშეშდა ბიჭი. აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ექნა. ადგა და უსიტყვოდ გამოიხურა კარი. თავისი ძმაკაცი და მაქსიმ გრიგორიევიჩი არც გაზსენებია, ისე გამოიხურა კარი.

თარგმან მარინე ბოლშევაკოვა.

პოპმის პროზა

ვისოცკი-პოეტი ბევრზე წინ იდგა უთუოდ და ამის ახსნა არ არის ძნელი. მას არც დუმილი ემარჯვებოდა, არც თვალთმაქცობა. ვისოცკის შეიძლება ჰქონდეს სტროფი ძლიერი და სტროფი სუსტი, მაგრამ მასთან ვერ ნახავთ სტროფს — გაყალბებულს. უცხოა მისთვის ორაზროვნება, ცრუ იდეები, მიყბა-მოყბება. დედაბუნებას მოგვაგონებს მისი ნადეაწი. ბუნებასავით მარტივია, მასავით უბრალო და მაღლიერი, ბუნებასავით მოითხოვს ზრუნვასა და გაფრთხილებას.

ბევრია მის ცხოვრებაში გაუგებარიც, გასაოცარიც... თუმცადა სწორედ ამით დასტურდება ცნობილი ჭეშმარიტება — ყოველი დიდი შემოქმედი თავისებურად, ჩვენთვის ძნელად გასაგებად აღიქვამს სამყაროს და ადამიანებს, თანამედროვეობას და მომავალს, სიცოცხლესა და სიკვდილს.

ახლა რამდენიმე სიტყვა მოთხრობაზე, რომლის ნაწყვეტსაც გთავაზობთ. მისი თაყვანისმცემლებისათვის, მისი შემოქმედების მკვლევარებისათვის იგი მოულოდნელობა იქნება უთუოდ. უეჭველია ისიც, რომ ეს დაუმთავრებელი ნაწყვეტი დიდი პროზისა ასევე დიდ სმაურს და კამათს გამოიწვევს მკითხველებში.

ფართო აუდიტორია მიეჩნია ვისოცკისეულ სიმღერებს, ვისოცკისეულ ხმას. იმდენად პოპულარულია ვისოცკი-მომღერალი, რომ ამავე აუდიტორიას უჭირს სიმღერების ტექსტის აღქმა, როცა იგი ლექსადაა დახეჭდილი. აქ კი, ამ ნაწყვეტში, არც გიტარის

კენსა, არც საყვარელი ხმა, არც მართალი პოეზია, მხოლოდ პროზაა, თავიდან ბოლომდე ცხოვრებისეული პროზა...

„რომანი გოგოებს“ იწყება ფრაზით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინააღმდეგობაშია გადამოწმებული: „გოგოებს უცხოელები მოსწონდათ“... მაინც რომელ გოგონებს მოსწონდათ უცხოელები? რატომ მაინცდამაინც უცხოელები და არა ჩვენი, საბჭოთა ქაბუტები? რა, გაუჭირდათ პოვნა? ან რატომ ირჩია ავტორმა ასეთი, გაცვეთილი ეპითეტი რომ მოეშველიოთ, „ნეგატიური“ მოვლენა და, თუ აირჩია, რატომ არ უტევს, რატომ არ აკრიტიკებს ამ ნეგატივიზმს.

სულაც არ ვიზიარებ აზრს, რომ ამ ყაიდის შეკითხვებში თავისი დრო მოჰამა, მაგრამ ამჟამად მე ვისოცის პროზის განხილვას არ ვაპირებ. ერთს კი ვიტყვი — დიას, იგი არც თავს ესხმის, არც აკრიტიკებს, იგი — იკვლევს. ეს კი შეტისმეტად მნიშვნელოვანია.

არაა გასაკვირი, რომ ვერავენ შესძლო მისი გადარწმუნება — ბოლომდე სჯეროდა ასეთი გოგონების ფსიქოლოგიის შესწავლა. დიასაც, მწერლის ცალი რომ იყო. თავისი საქმე სხვაზე უკეთ უწყობდა და გზაბილიკის ბოლოში გასულმა კიდევაც თქვა სათქმელი, თქვა ძალზე გასაგებად და მტკიცედ...

ამრიგად ვისოც-მწერალმა მიზანს მიაღწია — დაგვიხატა ჩვენი ყოფის ის მხარე, რომელიც მას, როგორც იტყვიან სოლმე. „შემოქმედების ადრეულ ეტაპზე“ აინტერესებდა და ეს მოხდა, კვლავ ვიმეორებთ, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, თითქოსდა განგებ მოითქვა ბოლოსათვის, თითქოსდა შეეშინდა, მისი განვლილი გზა არ შეეფასებინათ შაბლონური გაცვეთილი საზომით: აი, სომ სედავთ, სიყმაწვილეში ვისოცის ქუჩური, ვულგარული სიმღერები იზიდავდა, სიმწიფეში შესულმა კი სერიოზულ, სამოქალაქო თემებს მოჰყიდა სელიო. თუმცა, ნურც იმას დავაფიქსებთ, რომ მწერლისათვის „რომანი გოგოებს“ სწორედაც სამოქალაქო თემაზე შექმნილი ნაწარმოებია. იგი იმას, რასაც თავისი ადრინდელი სიმღერების სიუჟეტებად თვლიდა, რასაც ოფიციალურობისაგან დევნილს, ფრინველივით სულში მალავდა, ყოველთვის მეტად სერიოზულად ეკიდებოდა და სწორედ ამ სერიოზულობის შედეგია მისი დიდი ტკივილი, მისი ქუჩის სიმღერების სედა-ნადგელი, ახალი ძალით აუღერებულო, ფერებით მოხატული — „რომანი გოგოებს“ და ისე ცინცხალია ეს ფერები და ისე მსუბუქია ყალბი, რომ გაგიჭირდება გარჩევა — მთელი სიცოცხლე პროზას მიუძღვნა ვისოციმ თუ სიმღერებს.

ქედს ვიხრე იმათ წინაშე, ვისაც შეუძლია ასე ბოლომდე, ასე ხმამაღლა თქვას სათქმელი — სწორედ ვისოცისა და მსგავსთა მისთა უჭირავთ მხრებით რწმენის კედელი, კედელი, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, კვლავაც დგას.

ნატალია კრიმინა

„რეპობლიკა“, № 1, 1988.





ჩემი სიმღერა ასე დასრულდა

კველი დარღები

ძველი დარღები გამაქრობინე,
თეთრი ფიქრების დაიწყოს თოვა.
ბათუმის ქუჩებს ია მოფინეს,
ჩანს, გაზაფხული სულ მალე მოვა.

უკვალავ თოვლზე

უკვალავ თოვლზე შენი ჩრდილია,
ახლა შენი ხმაც მესმის.
შენი ბილიკი დათოვლილია,
დათოვლილია ლექსიც.

ასლაც

ეზოს გადაღმა — იელი,
ვაშლის ყვავილთა ნამქერი.
ერთ გოგოს ახლაც მიელის,
გზას მოუთმენლად გაცქერის.

უნდა გახარო

დგება ღღეები სანიაღვარო,
იის სურნელით მალე დავთვრები
და გაზაფხული უნდა გახარო
ახლად გაშლილი ყოჩივარდებით.

შენი თითები

სახლში ვერ იცდი,
ქუჩას მიჰყვები.
გარეთ ქარია,
თანაც გარეთ თოვს.
შენი თითები,
ციცქნა ჩიტებო
ნეტავი ჩემი უბით გამეთბო.

შენ კი რა გენადვლება?

შენი თბილი ღიმილი
სიკვდილამდე გამყვება.
მე სიცოცხლედ მეყოფა,
შენ კი რა გენადვლება?

ტელეფონის ზარი

რეკავს, რეკავს, რეკავს
ტელეფონის ზარი.
თვალწინ აირეკლა
შუქი საოცარი.
თითქოს ვიგრძენ კიდევ
სუნთქვა სანუკვარი.
ატმის ხანძარს მინთებს
შენი საუბარი.
მენატრება კიდევ
ზარი, შენი ზარი.

ეს დღეს

დილით ფოთლები ისევ სველია.
უნდა გავლიო ეს დღეს
წვლებით...

თუ ღამინდობენ,
თუ მიშველიან,
ისევ და ისევ
შენი თვალები.

ვარდის ბაღი

წარბი გახსენ და ღრუბლიდან
გამოერთა შუქი უცები —
თვალებით ია მაჩუქე
და ვარდის ბაღი — ტუჩებით.

იმიტაცია

გუშინ მე შენზე ფიქრი მათობდა,
ცამ გაზაფხულის ფარდა ასწია,
დილით აღუჩის ტოტებს ათოვდა,
ვით ყვავილცვენის
იმიტაცია.

ისევ ვიგონებ

ისევ ვიგონებ იების მოსვლას,
ისევ ვიგონებ იმ პირველ თოვას,
ისევ ვიგონებ იმ საღამოსაც,
აღარასოდეს რომ აღარ მოვა.

თუ ვერ გხედავ

მახსოვს, ჩვენი სიხარული
ახარებდა ზეთაც,
ბრმა არისო სიყვარული,
ჰო, შენ თუ ვერ გხედავ.

თავიდან

მეგონა —
ყველა ვადა გავიდა,
მეგონა —
უკვე გადამივიწყე,
მაგრამ გნახე და,
ახლა თავიდან,
ახლა ყველაფერს თავიდან
ვიწყებთ.

დღესაც რომ მიყვარს

სანატრელი ხარ პირველი
ხილვით,
სანატრელი ხარ ზამთრის
მზესავით.
სანატრელია შენი დიმილი,
დღესაც რომ მიყვარს
სიცოცხლესავით.

წყურპილი

ერთ დროს გულით რომ მსურდი,
ისეთივედ თუ რჩები?
მე კი ისევ მომწყურდი,
გამშრალი მაქვს ტუჩები.



არაჲინ მკითხავს

ეს ღამე ფიქრებს აგიწრიალებს
და გათენებას ნატრობ.
ჩემს გულში ისევ ცეცხლი
ბრიალებს —
არაჲინ მკითხავს — რატომ.

ღღის გათენება

აღბათ არასდროს
მომესვენება —
სულის სიმშვიდეს
მართმევ
და მიხარია
ღღის გათენება —
ეგებ შემომხვედ
სადმე.

ასე უშენოდ

იას მიგზავნი,
იას მიგზავნი
ფაქიზად შეკრულს ცისფერ
კონებად.
თეთრი ტყეების ღურჯი ზიზანი,
ვით გაზაფხულის გამოქროლება
მომივა ღურჯი სველი თვალებით,
თუ შენს სუნთქვას და ღიმილს
მომიტანს
და მეც გაზაფხულს მივესალმები
ასე უშენოდ,
ასე შორიდან.

წვეთი

ზმას არა მცემდი,
არაფერს მწერდი.

ვიყავ დაღვენთილ
სანთელის მსგავსი.
აჲა, დაეცა ის ერთი წვეთიც
და მოთმინების აივსო თავი
მე ზომ შენს იქით
ვედარსად წაუღ,
აღარ ბიბინებს ოცნების ველი.
თვითონ არ ვიცი,
ვინა ვარ, რა ვარ.
მოესულვარ შენთან და პასუხს
ველი.

როგორ მტკიოდი

იმედი?
არა, არავითარი.
მაშ, რად ეჩქარობდი,
სად მოვდიოდი?
ვერ გეცყოდი და
ვერცა გითხარი —
როგორ მტკიოდი,
როგორ მტკიოდი.

ღრო

როგორც თეთრ ღრუბლებს,
ქარი წაიღებს
წერილებს,
ნაწერს ღამით.
დღეთა მორევი
წაშლის თარიღებს,
და ღრო გაქრება
ვით ეროი წამი.

არაჲინს მკითხოვ

მე შენგან ახლა
არაფერს ვითხოვ,
მეყოფა თვალის.

ერთი შეგვლება,
მაგრამ ერთხელაც
რომ დამივიწყო,
რა შეგვლება!...

წარსული

გაბუტული
ვოგო-ბიჭი
სდუმან,
მზე კი ჩასულია.
ეთხოვება
სხივებს ფიჭვი —
ეს ხომ ჩვენი წარსულია.

თოვლი მოვიდა

ო, შენი ნახვა როგორ მომინდა...
წამით იელვებ
და კვლავ მიქრები.
თოვლი მოვიდა,
თოვლი მოვიდა
და გამითეთრა შავი ფიქრები.

როგორ მტკიოდა

იმედი?
არა, არავითარი.
სად მივდიოდი?
მაშ, რად ვჩქარობდი,
ვერ გეტყვოდი და
ვერცა ვითხარი —
როგორ მტკიოდა,
როგორ მტკიოდა!

ჩიორა

ეს წლევანდელი ზამთარიც
მიდის,
აღარ აყრია თოვლი

ბილიკებს,
ტოტზე შემჯდარა
ჩიორა ჩიტი
და გაზაფხულის
მზეს შესჭიკჭიკებს.
ჰა, დავწყრე და გიგზავნი
სიტყვამ სათქმელმა მაწვალა
დიდხანს.
რაც დამიმაღავს, რაც
დამიფარავს,
დღეს მინდა ვითხრა.

ერთი ლექსი

ერთ ქალზე ერთი ლექსი დარჩება

ბ. ტაბიძე

მე ბედნიერად
ვთვლი ჩემს არჩევანს —
ოცნების ფრთები
ვიპოვე შენში.
ერთ ქალზე ერთი ლექსი
დარჩება —
შენ ხარ ის ქალი,
ის ერთი ლექსიც.

ასე დასრულდა

გულმა რამდენჯერ
ჯაფრით იმგერა,
რამდენჯერ
მოსკდა წვიმა დვარული...
ჩემი სიმღერა.
ასე დასრულდა,
ასე დასრულდა
ეს სიყვარულიც.



ილია რუხუა

პოეტის ელჩობა

(წიგნიდან „ჩვენი ზღვისპირეთის მესიტყვანი“)

ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმს ინკოგნიტოდ ეწვია ორმოცდაათოთხმეტი წლის სექტემბრის ბოლოს.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა „ინტურისტის“ მმართველმა შინ დამირეკა, ცოტა არ იყოს აღელვებულად.

დიდი თურქი პოეტის სტუმრობა რამდენად მოულოდნელი იყო, იმდენად სასიხარულო აღმოჩნდა. იმ ხანად უკვე საკმაოდ შეჩვეული ვიყავით მწერლების მიღებას ჩვენს ქართულ ზღვისპირა ქალაქში. იქაურმა ლიტერატორებმა ზედიზედ ვუმასპინძლეთ ჯერ რუმინელი მწერლების ჯგუფს, შემდეგ შვედ არტურ ლუნდავისტს, ფრანგ ვერკორსა და სხვებს. თუ ამ მწერლების არსებობაზე მანამდე თითქმის არაფერი გაგვეგონა, ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიას, ასე თუ ისე, მაინც ვიცნობდით. მისი პიროვნებისა და შემოქმედებითი თავისებურების შეცნობის სავიზიტო ბარათი გამოდგა ომის მიწურულს ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი ილია ერენბურგისა. რამდენიმე დამოწმებული ნიმუშის მიხედვითაც ცხადი იყო, რომ ჩვენს სულიერ ცხოვრებაში შემოვიდა მეტად მნიშვნელოვანი, დიდი მასშტაბის პოეტი. შემდეგ და შემდეგ, როცა მსოფლიოს პროგრესული მოღვაწეები დაირაზმნენ თურქი რევოლუციონერი პოეტის ციხიდან გამოხსნისათვის, როცა ჟურნალ-გაზეთებში შეგვეჩვიეთ მისი პორტრეტების ხილვას და ორიგინალობით აღბეჭდილი შთამბეჭდავი ლექსების კითხვას, ნაზიმ ჰიქმეთის სახელი უკვე ახლობელიც გახდა ჩვენთვის.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბურსას ციხეში გადაღებული ერთი სურათი: საკნის გისოსებიან ფანჯარას მომდგარი პატიმარი პოეტი თავაწეული შემოგვეცქერის ნაღვლიანი, მაგრამ თამამი მზერით. მაღალი შუბლი გამოკვეთილად უბრწყინავს, საღდაც შორს გაჰყურებს. მთელი მისი იერი მეტყველებს შინაგან ღირსებაზე, დაუმორჩილებლობასა და დამაბულ მოლოდინზე. არადა, სულ რაღაც ორმოცი წლის კაცს ხვედრად რგებია ნა-

ხეყარი სიცოცხლის სატუსალოს ჯურღმულში ჯდომა. და რაც უფრო მეტად გასაოცარია, ამგვარ ყოფაშიც იგი ერთი დღითაც არ გამოთიშვია გარე სამყაროს, ბობოქარ საზოგადოებრივ მოვლენებს. თავისი მეამბოხე სულის ყივილი, თურმე, მიუწვდენია ფაშიზმთან პირველად შებმული ესპანელი რესპუბლიკელებისათვის, უმშვენიერესი რუსი პარტიზანი ქალიშვილის ზოია კოსმოდემიანსკაიას თავდადებაც განუდიდება, მრავალ ადამიანურ საზრუნავ-სატკივარს შეხმიანებია, თავისი საბრძოლო სულისკვეთება და ადამიანების სიკეთისათვის თავის ზვარაკად გამეტების სურვილი პოეზიის ფარზე აუზიდია მოწოდებად:

„მე თუ არ დავიწვი,
შენ თუ არ დავიწვი,
ჩვენ თუ არ დავიწვით,
ბნელს რა გაანათებს“...

სასტუმროში მისულს, ნაზიმ ჰიქმეთი ადგილზე არ დამხვდა. უთქვამს — ვიდრე ნომერს მომიმზადებენ, ცოტა ხნით ჰაერზე გავისეირნებო და თანმხლებ ექიმ ქალთან ერთად ქალაქში გასულა.

გრიგოლ ჯაველიძეს კი ჯერაც არ განელებოდა უხერხულობის გრძნობა, რომელშიც მორიგე ადმინისტრატორს ჩაეგდო სასტუმროს კოლექტივი.

— მე ვარ ნაზიმ ჰიქმეთი... გთხოვთ მომცეთ ოროთახიანი ნომერი!

ადმინისტრატორს ერთი კი შეუთვალევია ტანმაღალი, მოღიმარი სიმპათიური კაცი, მაგრამ მაშინვე ცივად მოუჭრია—თავისუფალი ნომერი არა გვაქვსო. დიდად არც გაემტყუნება ადამიანს, თუ მის სმენამდე კიდევ არ მიუღწევია უცხო პოეტის სახელს. ესეც არ იყოს, „ინტურისტში“, ჩვეულებრივ, წესადაა მიღებული — საზღვარგარეთელ სტუმარს შეზღუდნენ წინასწარი ინფორმირების და მომზადების შემდეგ...

— რა უნდა მექნა, — ღიმილით იხსენებს ამ ამბავს მაღლე მობრუნებული ნაზიმ ჰიქმეთი. — ისევ პროფესიულმა მიხვედრილობამ გამომიფანა მდგომარეობიდან. ვიფიქრე, ვიფიქრე, თუ ვის შეეძლო აღმოეჩინა შემწეობა წინდაუხედავი პოეტისათვის ღამის ქალაქში?.. და მომაგონდა ჩემი ძველი თანამდგომეები — ჟურნალისტები, ღამის ეს ვრთვული გუშაგები... რედაქციაც აქვე ახლოს ყოფილა...

გამოცა მისმა ახალგაზრდულმა იერმა და ხალისიანობამ. ზორცშესხმულად ნანახი ნაკლებად ჰგავდა ფოტოსურათების მიხედვით შექმნილ წარმოდგენას. შაქრისფერ, რამდენამდე ფერმკრალ მარილიან სახეს მეტ მიმზიდველობას მატებდა სხივიანი ცისფერი თვალები, თითქმის შეუთვლავი ოქროსფერი, ოღნავ შეტალღებული თმა. რომ არა საფეთქელთან გამოჩენილი კადარა და შუბლზე დამსხდარი ნაოჭები, ვერც დაიჯერებდით,

რომ ამ ადამიანს ნახევარი სიცოცხლე ციხეში ჰქონდა გატარებული და რომ ვაჟკაცურად ფართო მკერდექვეშ ავადმყოფი გული უფეთქავდა. მანც იმ ლექსიდან ვიცოდით, ნაინფარქტალ თავის გულს რომ უძღვნიდა. რად ამ გულის ფეთქვას დარავლობდა ნაზიმ ჰიქმეთის გვერდით მდგომი ტანმორჩილი, მაგრამ მოხდენილი ექიმი ქალი ვერა ტულიაკოვა, რომელიც შემდეგ თურქი პოეტის ცხოვრების თანამგზავრიც გახდა...

თავისი ერთგვირბიანი სტუმრობა ნაზიმ ჰიქმეთმა, ცხადია, მიხთვის ნაცნობი ქალაქის შემოვლა-დათვალიერებით დაიწყო. ნაცნობი-მეტეი იმიტომ ვამბობ, რომ იგი ბათუმში ადრეც აღმოჩნდა ნამყოფი და თანაც რამდენჯერმე.

— ნუ დაგავიწყდებათ, ჩემს ძარღვებში ცოტა ქართული სისხლიც რომ დის, — ამ სიტყვებით შეგვეცება სტუმარი მეორე დღით. — ახალი, საბჭოების ქვეყნის. მიწაზე პირველად აქ შემოდგა ფეხი 19 წლის მეოცნებე თურქმა ჭაბუკმა, რომელსაც დღეს ნაზიმ ჰიქმეთის სახელით იცნობთ... ბათუმიდან გავემგზავრე მოსკოვს, გავხდი აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის მსმენელი, კომუნისტი. — შემდეგ სიცილით დაუმატა. — მაშინ არალეგალურად გესტუმრეთ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს ჩვეულება აქამდე ვერ მოვიშალე...

თუმც მკაცრი სამედიცინო რეჟიმის დაცვა მართებდა, გაღალღაზე ერთხელაც არ დაუჩივლია. პირიქით, თვითონ ესწრაფებდა ადამიანებთან შეხვედრებს და გულდია საუბრებს. ასედაც უნდა იყოს, მე ზომ ჩემი სიტუაციის ქალაქში ვიმყოფები, თანამოაზრე თანამომძმეთა შორისო. პოეტის მახვილი თვალი ეხმარებოდა უტყუვრად შეემჩნია კარგი და ცუდი. ქებას იტყოდა თუ შენიშნას, ყველაფერს ამბობდა მიუკ-მოუკიბავად, შინაურულად. გასარებული იყო, დიდი ხნის უნასავი ქალაქი ესოდენ გაზრდილ-გამშვენიერებული რომ დახვდა.

— ყველაფერი ეს ნამდვილად კარგია, მეგობრებო, მაგრამ ჩინებულად მოკირწყლული ქუჩების ასფალტით დაფარვა რამ გაფიქრებინათ, ქალაქს ერთბაშად დააკლდა განუმეორებლობა და ხიბლი... სხვა თუ არაფერი, დატბორვა მაინც არ შეგაწუხებდათ...

განსაკუთრებით მოეწონა ზღვისპირა პარკის საზაფხულო თეატრის შენობა, მაგრამ არ მორიდებია დირექციის წარმომადგენლისათვის დაენახვებინა სადგბავით დაუდევრად შეთხუპნული ფანჯარა. დიახ, ნამდვილი ჭირისუფლის, გულშემატკივრის თვალით შეჰყურებდა და აფასებდა ყველაფერს.

გულის სიღრმეში შორეული სიტუბუკიდან შემორჩენილი სანუკვარი მოგონებაც გაგვანდო ერთხელ, პიონერთა პარკის მონახულებისას, შევატყვეთ, რატომღაც ქუჩისპირა ხეივანი რომ ამოიჩემა სასეირნოდ. გაღმა მხა-

რეზე ჩაწკრივებულ ძველებურ სჯულებს აკვირდებოდა ყუჩადღებთ. ბო-
ლოს მწვანე ბორდიურის ერთ ადგილთან შედგა, წვიმით გაღუმებული და-
ძიმებული კრიბტომერიის ტოტები მისწია-მოსწია და ორსართულიან კოშკში
აივნიან სახლზე მიგვიდითა — ადრე მას იასამანი ხომ არ ეპურა? **სიხლირთა**
როცა დავუდასტურეთ, სახე ერთბაშად გაუნათდა:

— მაშასადამე, ის სახლია... კი, ნამდვილად!.. სწორედ ამ აივანზე შეე-
ნიშნე პირველად... ულამაზესი ქალიშვილი იყო... სახელიც როგორი ჰქო-
ნდა — ფერიდე!.. ჩემი ჭაბუკური გული ერთბაშად დაიმონა, მაგრამ სიყვა-
რულის გამჟღავნებას ვით გაეუბედავდი საიდანღაც შემოხეტებული ბიჭი...
ვინ იცის, შემდეგაც რამდენჯერ გამხსენებია... ნეტავ ვიცოდე, ცოცხალია
თუ არა...

საამოდ აღელვებული, სულაც არ ჩქარობდა წასვლას, მიუხედავად
იმისა, რომ ძვალ-რბილში გამტანად ცრიდა. როცა ვერა დაჟინებით ჩააცი-
ვდა — გაცივლები, ქუდი მაინც დაიხურეო, ექიმ ქალს მკლავები ნაზად
მოხვია, გამჭვირვალე, ფართო კალთებიანი საწვიმარი ლაბადის ქვეშ მოი-
ქცია და ზუმრობით უსაყვედურა — პოეტს რომანტიკულ მოგონებებს ნუ
უფრთხობო. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა სიცილით — ამ პატარა ქალს რა-
მოდენა გულადობა უნდა ჰქონდეს, რომ თურქი მამაკაცის მკაცრ რეჟიმში
ჩაყენებას ბედავსო.

ამ ზუმრობაში უთუოდ იყო სიმართლე — ნაზიმ ჰიქმეთისათვის პოე-
ტის გულის კარნახით მოქმედება ცხოვრების წესი გახლდათ. ამას ნათლად
გვიდასტურებს კიდევ ერთი ფაქტი, რომლის უშუალო მოწმეც იმ დღეებში
გავხდით. ერთხელ თურქ პოეტს სასტუმროში ეახლნენ ბათუმის პედაგო-
გიური ინსტიტუტის ლექტორები თამარ მახარაძე და ელისო აბრამიშვი-
ლი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლის რექტორატისა და სტუდენტე-
ბის სახელით იგი სტუმრად მიიწვიეს ინსტიტუტში. ნაზიმ ჰიქმეთი სიზა-
რულით დათანხმდა... მაგრამ წასვლის დრო რომ მოახლოვდა, როგორც
იტყვიან ხოლმე, ცა პირდაპირ ჩამოიქცა. ბათუმელებსაც კი არ გვახსოვდა
ამგვარი თავსმა — ქუჩები აბობოქრებული მდინარეებისა და ღელეების
კალაპოტებად იქცა. ყველაზე მეტად ვერა ტულიაკოვა ღელავდა. როცა
გადაღების ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა, გვთხოვა ინსტიტუტში ტე-
ლეფონით დაგვერეკა და შესვედრა სხვა დროისათვის გადაგვედო. მაგრამ
ნაზიმ ჰიქმეთი კატეგორიულად წინ აღუდგა:

— არავითარ შემთხვევაში!.. განა პოეტს ეპატიება გააწბილოს ორი
უმშვენიერესი ქართველი ქალი, მოლოდინი გაუცრუოს ახალგაზრდებს?!

მანქანით, რომელსაც „ინტურისტის“ ყველაზე გამოცდილი შოფერი
მართავდა, ძლივს მივაღწიეთ ინსტიტუტამდე, მაგრამ მთავარ შესასვლელს
მაინც ვერ მივუდექით. აბობოქრებული ზღვის ტალღები ზედ შენობის

კელეებს ეხეთქებოდნენ. ეზოდან მოეუარეთ, რომელიც ერთიან ტბად ქცეულიყო. კიბეებამდე რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი, რომ მოტყორჩი ჩაგვიქრა. ამის დანახვაზე, ხალხით სავსე დერეფნიდან გამოჭრილი რომელიმე ახალგაზრდა პირდაპირ წყალში გადმოეშვა მისაშველებლად, მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: ნაზიმ ჰიქმეთმა მანქანის კარი გააღო, ქვევით ჩახტა, შესაგებებლად ხელები გაშალა და მუხლამდე წყალში თამამად გატოპა... ექიმ ქალს, ამის დანახვაზე, ლამის გული შეუღონდა, მაგრამ რაღას გააწყობდა, ჩვენც საპატიო სტუმარს მივეყვით, დამხვედურთა ყიფილით გამხსნეებულნი...

საღამო მეტად საინტერესო და თბილი გამოვიდა. თურქი პოეტის ცნობრებასა და შემოქმედებაზე მოკლედ, მაგრამ შთაბეჭდავად ილაპარაკა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ელისო აბრამიშვილმა, რასაც მოჰყვა იმპროვიზირებული გამოსვლები ლექტორებისა და სტუდენტებისა... შიგადაშიგ შესრულდა ქართული სიმღერები და ცეკვები...

ცრემლმორევაზე აღელვებულმა სტუმარმა ჭეშმარიტად შთაგონებული სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა. მისი ჩაწერა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, მაგრამ დედააზრი მაინც მკაფიოდ დამამახსოვრდა:

თქვენს შორის გატარებულმა ამ დაუფიწყარმა საღამომ, თქვა ნაზიმ ჰიქმეთმა, კიდევ უფრო გამიღვივა იმის იმედი, რომ თურქეთის ახალგაზრდობასაც გაუთენდება ისეთი დღე, როცა შესძლებს თქვენსავით იცხოვროს და ისწავლოს, მეტი რწმენით აღივსოს მომავლისადმი. არ ვიცი, მოვესწრები თუ არა ამას, მაგრამ თუ მანამდე სიკვდილმა მიწია, ვისურვებდი მოგკედე ამ სამოთხისებურ მიწაზე, სადაც ამდენი სიმშვენიერება, სადაც ამდენი კარგი ადამიანია, სადაც ასე გატაცებით, წარმტაცად მღერიან და ცეკვავენ. ჩემი თქვენდამი თხოვნა კი ერთი იქნება: ჩემი უსიცოცხლო სხეული თქვენ აიტაცეთ და გადააბარეთ თქვენს თურქ თანატოლებს, რათა სიცოცხლეში დევნილს სიკვდილის შემდეგ მაინც მომენიჭოს ბედნიერება მშობელ მიწაში უშფოთველად ძილისა... ასე იქნება თუ ისე, მე ამ დარბაზიდან მიმეყვება იმის ღრმა რწმენა, რომ ჩვენი ხალხები მომავალში მაინც იცხოვრებენ მშვიდობიანად და სრული ურთიერთგაგებით, რაკი ისტორიამ ერთმანეთის მეზობლებად გავაჩინა...

დღე არ გავიდოდა, ნაზიმ ჰიქმეთი არ შეჩებოდა ჩვენს ისტორიულ ურთიერთობას. ობიექტურად და საღად მოაზროვნე ადამიანი წარსულის შელამაზებისაგან შორს იდგა, მაგრამ თავისთავად მრავლისმეტყველად მიიჩნევდა, იმ მტრულ ხანებშიც, ორი ხალხის შვილთა პოლიტიკური თუ კულტურული თანამშრომლობის მრავალი ფაქტის არსებობას. იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა — ჩვენი ხალხის ისტორიის დამამაშველებელი მრავალი პოლიტიკური მოღვაწე, სარდალი თუ ამირბარი, ძირითადად, ტრაპეზუნ-

დის მხარიდან იყვნენ წარმოშობითო. ამას ყურმოკრულად კი არ გეუბნებო-
ბით, საკუთარი თვალთ წამიკითხავს ისტორიულ ანალებსა და ენციკლო-
პედიებშიო. ბოლოს კიდევ ერთხელ დასძენდა: დედაჩემის წინაპრები ქართ-
ველები ყოფილან. ბავშვობაში, რომელიც სალონიაკში გავატარე ოსმალ-
ეთის ერთ-ერთი ცნობილი მმართველის ნაზიმ-ფაშას სასახლეში, ზმირად
ვისმენდი კაეშნითა და დარდით სავსე უცნაურ სიმღერებს, რომლებიც ქა-
რთული აღმოჩნდა, ქართველი ქალების მოტანილი ჩვენს მხარეში. და არა
მარტო სიმღერები.... ჩვენი დიდი ოჯახის წმინდად თურქულ ცხოვრების
წესს ახლდა სხვაც, ასევე დედაჩემის წინაპრების მიერ მოტანილი და და-
წერვილი... ქართველი ქალი!.. მისი განსაკუთრებული ისტორიული როლი
ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ალბათ, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ
შესწავლილი...

ნაზიმ ჰიქმეთს არ სწყინდებოდა საუბარი ქართული სიმღერის ფენო-
მენზე, ფიროსმანის მხატვრობაზე, მის ცალკეულ ქმნილებებზე, რომლებიც
მეგობარი მოსკოველი მწერლების ოჯახებში პირველად ენახა. დიდად კმა-
ყოფილი იყო, თავისი პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“ ქართული თეატრის
სცენაზე რომ იხილა თბილისსა და ბათუმში. განსაკუთრებულად აღფრთოვა-
ნებული იყო დოდო ჭიჭინაძის თამაშით: ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგე-
ნდი, ჩემს შორინს სცენაზე ასეთი განსაცვიფრებელი სილამაზის ქალი თუ
შეასხამდა ხორცსო...

ფართო სულიერი ინტერესების ადამიანი, ცხადია, უპირველესად დღე-
ვანდელი საფიქრალით სულდგმულობდა. არ გვიმაღავდა გულისტკივილს
იმის გამო რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას შემოპარვოდა სოცია-
ლიზმის იდეებისათვის შეუფერებელი გადახრები და დეფორმაციის ნიშნე-
ბი. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება და აღშფოთება, როცა პირველად მოგკა-
რი ყური სიტყვა „ზოზიანის“, რომლითაც თურმე თქვენში თითქმის ჩვე-
ულებრივ მიმართავენ ხელქვეითები უფროსებსო. აბა ეს რასა ჰგავს!... შე-
იძლება თქვენ იმდენად შეეჩვიეთ, რომ წვრილმანად თვლით, მაგრამ ერთი
მე მკითხეთ, თურქ კომუნისტსო!.. ასე მგონია, რაღაც აუცილებელი, მნი-
შვნელოვანი გარდაქმნების, საზოგადოების გადახლისება-გაახალგაზრდა-
ვების აუცილებლობის წინაშე დგახართო.

ცხადია, მისი უპირველესი საფიქრალი მაინც სამშობლოს უტრიალე-
ბდა, თუმცა თავისი ხალხის ცხოვრებას გარედან ადევნებდა თვალ-ყურს.
გულმხურვალე პატრიოტი ამ შემთხვევაშიც ბოლომდე პირდაპირი და გუ-
ლაზდილი იყო, ზოგჯერ რთულ საკითხებზე მსჯელობასაც არ არიდებდა
თავს. ამ მხრივ მეტად სიმპტომატურად მეჩვენა ნაზიმ ჰიქმეთის საუბარი

ცნობილ სომეხ პროზაიკოსთან გარეგინ სევუნტთან, რომელიც სწორედ ამ
დღეებში გვესტუმრა ბათუმში. მოხუცი სულ ტყუილად განაწყენებულია ჩე-
მზე, მისი დიდი პოეტური სახელისაღმი ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხე-
დავად, ვთხოვთ პირდაპირ გადასცეთ რომ მეც ჩემი ხალხის შვილი ვარ
და მეუაღება თბილისტურად ვიღვე მისი ინტერესების სადარაჯოზეო. ცხა-
ლია, თავს უფლებას ვერ მივცემდი ჩაგვიბოდი ამ საუბრის არსს, მაგრამ
ის კი გავიგე, „მოხუცში“ ავეტიქ ისააკიანი რომ იგულისხმებოდა...

სულით ძლიერი პოეტი არავის აწუხებდა თავის ავადმყოფობაზე სიტყ-
ვის ჩამოვლებით, მაგრამ იმას კი აშკარად ვერძნობდი, როგორ უფროსი-
ლდებოდა ნაინფარქტალ გულს: გადაჭრით და მტკიცედ ამბობდა უარს
მრავალ ადამიანურ სურვილზე: არ იკარებდა სასმელს, არ იკარებდა თამ-
ბაკოს... მაგრამ მერე რა! სამაგიეროდ არ გრიდებოდა სიცოცხლის განცდას
— სულიერ შემართებლობას, ბრძოლას, შემოქმედებით წვას...

იმ ერთი კვირის მანძილზე იმდენად დაგვიახლოვდა და შეგვეტებო,
განშორება ემძიმებოდა. ბოლოს მაინც წამოცდა — იქნებ უკანასკნელად
ვარ სტუმრად ჩემი სიჭაბუკის ქალაქშიო. გამგზავრების წინა დღით ბო-
ტანიკური პაღიც მოინაშულა. როცა დაღლა შევატყვეთ, შევთავაზეთ ჩა-
მომგდარიყო ჩრდილით დაბურულ ფანჯარაში გადართულ ბამბუკის
გრძელ სკამზე. აქედან ზღვა და მის სიღურავეში ზომადივით შეცურე-
ბული ბათუმი თვალის დამატყვევებლად ჩანდა. ნაზიმ ჰიქმეთი კარვასანს
გარინდებული, ფიქრმორეული ვასცქეროდა ჩამავალი მზით განათებულ
დასალიერს და ბოლოს, ყველასათვის მოულოდნელად, ჯავვა მოგვთხოვა.
რომ არავის აღმოგვანდა, ვერას ხელჩანთაში რაღაც წვეტიანი საგანი,
მგონი გულქანდა, მოაძებნინა და ონავრული ღიმილით შეგვათვალერა.
შემდეგ ჩაცუცქდა და წარწერებით ერთიანად გადაჭრელებულ სკამზე თა-
ვისი სახელის ამოგაწერას შეუდგა. როცა საქმეს მორჩა, კმაყოფილმა
გადმოგვხედა და გვკითხა — ხომ კარგი სახელი მქვიაო. ჩვენთვის მანამდე
ნათქვამი ჰქონდა, რომ „ნაზიმი“, რომელიც ლექსის მოხზველს ნიშნავს,
მისთვის სახელოვანი პაპის პატივსაცემად შეურქმევიათ...

უხმაუროდ ჩამოსული სტუმარი ბათუმმა საზეიმოდ ვააცილა.

ვერ მოვახსენებთ, როგორ და რანაირად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმა-
ვე ვემით საღღაც მიემგზავრებოდა თურქეთის კონსულიც. ქვემოდან სულ
რამდენიმე ადამიანი უქნევდა ხელს.

ნაზიმ ჰიქმეთს კი ზღვა ხალხი, ბათუმის საზოგადოებრიობის ფართო
წარმომადგენლობა აცილებდა. გემბანისაკენ დაუსრულებლად გასროლილ
ყვავილებს მიჰყვებოდა სიყვარულით გამთბარი ძახილი:

— ნაზიმ!

— ნაზიმ!..

ტანმაღალი, ელეგანტური კაციც ზელებს გვიქნევდა, ღიმილიანად მოსაუბრედ.
ხით ჰაეროვან კოცნას გვიგზავნიდა და ხმამაღლა გვპირდებოდა, რომ
კვლავ გვეწვეოდა...

სამწუხაროდ, ამ სურვილს აზღომა არ ეწერა.

კარგა ხანია დაცხრა ნაზიმ პიქმეთის მგზნებარე, მოუსვენარი გული,
მაგრამ აღამიანთა კეთილ ხსოვნაში ცოცხლობს მისი ღამაში სახელი და
უპკნობი პოეტური ქმნილებები.



მეზარ კვიტაიშვილი

თედო კაკას ნაქმობი

I

ზღაპარს გავდა ის ზამთარი.
ზვადიერლად თოვდა გარეთ...
უფროსებმაც,
პატარებმაც,
თავი სახლში მოვიყარეთ.
კვახს ეხარშავდით,
შავ ბუხარში
ტკაცუნობდა წიფლის კუნძი...
თუმც ვიცოდით, პაპაჩვენი
რომ არ იყო სიტყვაძუნწი —
მაგრამ მაინც ვერ ვიხსენებ
მოსასმენად უფრო ამოს,
უფრო ღამაზ თავშესაქცევს,
რაც მოგვიყვია იმ საღამოს.
ასე გვითხრა: მსურს გიამბოთ
ერთი თავგადასავალი;
თავად მე ვარ მონაწილე,
რა მაქვს თქვენთან დასამალი.
კარგად მახსოვს, საუკუნის
ნახევარზე არის მეტი
იქ დროიდან, მარჯვე თუ ხარ,
ვერ დაგაკლებს ვერას ბედი.
ვიწყებ ამბავს ცამეტი წლის
კოხტა, გამრჯე გოგონასი...
თავსაფარში ორი კვირის
მთვარესავით იყო ნაზი.
ერთი ნახვით მოგხიბლავდა

მისი ჭკუა,
სილამაზე...
ემეგობრობდით, მე უფროსი
ორიოდ წლით გახლდით მასზე.
ერთმანეთის გვერდით გვექონდა
ორ მეზობელს ბალ-ვენახი...
მწყემსი ვიყავ,
ტყვის ნაპირას
ვამოვებდი სოფლის ნახირს.
გავწეებოდი მუხის ჩრდილში,
ერთი აბჯა მედო თავთით
და მისმენდა ის გოგონა,
მე სალამურს რომ უუკრავდი.
სიცხე იყო იმ დღეს დიდი,
ხვატისაგან დაჭკნა ყანა,
გადავწყვიტე, საქონელი
მდინარეზე ჩამეყვანა.
მეც გავვრილდი,
ამოვბრუნდი,
დავარწყულე ჯოგი როცა,
აღარ დამხვდა გოგო, ამან
შემაშფოთა, გამაოცა.
ვის არ ვკითხე,
სად არ ეძებნე,
კვალს ვერა და ვერ მივაგენ...
ღალვრემილი, დაბნეული,
მოვდიოდი შინისაკენ.
ჩემს ყრმობაში სოფელს ჩვენსას
გვერდით დიდი ტყე ებურა.

რა არ იყო უღრან ტყეში —
 ღაღი, მგელი...
 მელა, ტურა...
 ვწახდი, ვაჰ თუ ამაოა
 ჩემი წვალება და გარჯა,
 და იმედად ერაოდერთად,
 მივხვდი ბოლოს, ტყვედა დარჩა.
 ფიქრმა ფიქრი მოიყოლა,
 მომაგონდა ამის გარდა,
 ჩემს მეზობელს მარწყვისა და
 სოკოს კრეფა რომ უყვარდა.

II

გავიქეცი,
 ვინახულე
 მეწისქვილე — ძია მისო,
 ღმერთი იმის სულს აცხონებს,
 რა სიკეთეც იმან მიყო.
 კაცი იყო გამჭრიახი,
 მოქნილი და ტანად ჩია,
 ყველაფერი მან მასწავლა,
 ყველაფერი მან პირჩია.
 ჭკუას ყველა მას კითხავდა
 და უჭრიდა კიდეც ენა,
 რა მოხდა და როგორ მოხდა,
 ხელად თვალწინ დამიყენა.
 მითხრა: გვმართებს სამზადისი,
 აზრი არ აქვს უქმად ლოდინს.
 მეზობელის საბოვნელად
 დღესვე წახვალ, საღამოთი.
 ის გოგონა ერთ კუდიანს
 ჩაუვარდა, ვამბობ ნამდვილს...
 გზადაბნეულ ბავშვებს ეძებს,
 ავი ზრახვით ტყეში დადის.
 დიდი ხნის წინ მეც მინახავს
 ის სულძალი დედაბერი,
 თმა კვამლივით ადევს თავზე,
 უჩანს სახე ბურისფერი.

უცნაურად იწყებს ცაბცახს
 ნიკაბი წინ გამონრილი,
 გაიცინებს, წვეტიანი
 გაიღვლებს ორი კბილი.
 თავს გაცოდებს: მომეშველე,
 მარჩენალი მყავდა თხაო,
 წელან რაღაც მოელანდა,
 ის წვეული დამიფრთხაო.
 ტკბილი ენით ღოცავს შემხვდურს,
 გადმოკაკლულ თვალეებს წკურავს
 და დაბნეულს თხის საძებრად
 გაიყოლებს თვალთმაქცურად.
 მალე კიდეც ჯაგნარებში
 მოისმება თხის კიკინი,
 ბებრისაგან მოტყუებულს
 მისი პოვნის იპყრობს უინი.
 შუა ტყეში მინდორია
 და დედაბერს, ოთხად მოხრილს,
 ეზო შემოუღობია,
 იმ ეზოში უდგას ქოხი.
 წინ მიდიან.
 ისევ ისმის
 თხის პეტელი შორიახლო,
 გამოჩნდება ბოლოს ეზო,
 ის მზაკვარი სადაც სახლობს.
 შეიცხადებს, თითქოს უკვირს:
 უი, თვალი დამიდგაო,
 მარტო დაბრუნებულა და
 ნეკერსა ჭამს ჩემი თხაო.
 მსხვერპლს ცბიერად დაუყვავებს,
 ემატება ხმაში ჯადო:
 შინ შემომყევ, რომ სიკეთე
 სიკეთითვე ვადვიხადო,
 ქოხში შეჰყავს უბედური,
 მის გამომცხვარს აჭმევს ქადას,
 თვით შეასმევს წვეწვან ბანგიანს,
 მყის მოგვაროს ძილი რათა.
 ტყვე ველარსად ვერ წაუვა,
 გააბრუებს სამ დღეს ასე,

მახსოვრობას ართმევს საწყალს
 და ჰყავს მერე მის ნებაზე.
 ყური მივდე!
 რასაც ვამბობ,
 ზღაპრებზე არ ამიგია,
 ზოგი ვიცი, ზოგი რამეც
 სხვებისაგან გამიგია.
 ღამღამობით ქოხს გარშემო
 დათვი უკლის ლიფლიფითო
 და მოისმის იმ ქოხიდან
 აღქაჯების დიპლიზიტო.
 დღისით იმ ქოხს იხა დარაჯობს.
 გაიძვერა და ეშმაკო,
 იმას ვერვინ ვერ შეადგენს,
 დათვი გიჯობს ასევე შმაგი.
 ძღვნად თუ თაფლი მოუტანა,
 ხელიც თუ მოუთათუნა
 ვინმემ, გაიტრუნება და
 კაცს არ ერჩის ის დათუნა.
 ესეც მითხრეს, სხვაზე მეტად
 თაფლი უყვარს ივლისო, —
 ველური და მათრობელა
 უფრო იმ თაფლს მიეღისო.
 დარდი ნუ გაქვს, აქ გავაჩენ
 და გაუვსე მთელი გეჯა;
 აისრულებ შენს საწადელს,
 ძღვენს ბაჯბაჯა სანამ შეჭამს.
 ფრთხილად იყავ!
 არ გეგონოს —
 ხელს კიდეებზე საქმეს ადვილს;
 თაფლი უნდა მიაგებო,
 რომ წამოვა შენსკენ დათვი.
 მთავარია, მომტაცებელს
 თავს დაატყდე უცაბედად,
 განძრევაც კი ვერ მოასწროს,
 დაემართოს შიშით ბნელად.

დახრა აღარ დააცადო,
 დასტეკე, რომ დარჩეს სახტად;
 ველარ ჩაძვრეს ფარულ ხვრელში,

ვერ მოასწროს ხუფის ახლა.
 მია მიხო წავიდა და
 მოიტანა თაფლი გუდბუღლირთა
 მოვიკიდე ზურგზე, ნაღდად
 იქნებოდა ორი ფუთი.
 საგზადიც მან გამიმზადა,
 მონადირის მომცა დანა,
 მომცა თოკი,
 გვესაბვდი,
 გვარიც ბლომად გამატანა.
 გასწი! ყოჩად ბიჭად გიცნობ,
 გზა არ გიყვარს, ვიცი, მრუდე,
 ბოროტების,
 ოვლთმაქცების
 ამოაგდო უნდა ბუდე.
 სადაც თრიმლის ბუჩქებია,
 გადიარე ვიწრო ბეჭი,
 ციხის ნაშალს რომ გასცდები,
 გზას პირდაპირ დაადექი.
 არ შეშინდე,
 არ დაიბნე,
 დღეც არ არი უამინდო.
 ივლი, ივლი, ივლი, ივლი —
 მიაღებები მცირე მინდორს.
 დაბნეულდება — კვარს აანთებ...
 ცეცხლი აფრთხობს ტყიურს
 ნადირს...

ველურ ტყეს არ შეეჩეხო,
 თუ გაჭირდეს — ხეზე ადი.
 როგორ უნდა იმოქმედო,
 თავად იცი დანარჩენი;
 ღონეს ხერხი მიაშველე,
 გამოგაჩენს საქმე შენი.

III

დაწვრილებით არ ავიწერთ
 იმ მგზავრობას, ძნელს და საშინლს,
 აღარ ვიტყვი, თუ რამდენჯერ

აგერიდეს ზიფათს გზაში.
თფლი ღვარად დამდიოდა,
ტვირთის თრევიტ გამძვრა სიქა,
ვიქცეოდი ისე, როგორც
მეწისქვილემ დამარიგა.
ბინდორი რომ ახლოს იყო,
ის გუმანით ვივრძენ მწყემსმა,
გავინაბე, ზორბა დათვის
ბურტყუნი რომ შემომესმა.
ჩემკენ როცა წამოვიდა,
თავი მოვზსენ თაფლის გუდას,
ლაიბინდა, სიამისგან
ლამის სული შეეხუთა.
არ მიმზერდა დრუნა მტრულად.
ცმუკავდა და მადგა თავზე,
მორი გულამოქუთნული
სანამ თაფლით არ ავაფსე.
მსუნავეურად გატრუნულმა,
ლოდზე დასდო მყის ლიფლიფა,
თათი გაითავისუფლა,
თაფლი მარჯვედ რომ ესვლიდა.
ქოხის ღია სარკმელიდან
(გაარჩევდა კაცის ყური),
გადაბმულად მოისმოდა
ხან ჭყვიტინი, ხან ჭუჭყური.
დათვს მოვშორდი, წინ გადავდგი
ნაბიჯები — ფრთხილი, ფართე
და ვაჭვარტლულ ქოხისაკენ
ფეხსაკრეფით გავემართე.
ზღურბლზე გადავალაჯე და
ის-ის იყო, გავცდი წინწყარს,
გრძელცხვირა და აწოწილი,
გვერდზე გახტა უცებ ჭინკა.
დანის წვერი აკვარ საკეტს,
ქოხში ჯიქურ შევიჭერი
და დედაბერს შევუძახე:
ბილწო, დადგა შენი ჯვრი!..
წინასწარვე გაკეანძული,
თავზე ყულფი ჩამოვაცვი,

ბევრი რომ არ ეხტუნავა,
მივაკარი ბოძზე ნაძვის.
გუთხარ: ასე დაისჯება
შენნაირი როკაპიო,
ემმაგი რომ გიზის ტანში,
თოკიც მიტომ მოგაბიო.
აცასცაზდა. ამბობს: „ერთი
ბებერი ვარ უთვისტომო,
ბაღას-ბულაზს ვაგროვებ და
წამლებს ვზარმაფ. ჩუმად ვშრომობ.
მარტოკა ვარ. სტუმრისათვის
მუდამა მაქვს კარი ღია.
იმ გოგონას თუ დაეძებ,
აგერ არის, თვით მეწვია...“
ეგებ არცკი დაიჯეროთ,
საყვარელნო,
დასაფიცნო,
გოგო ისე მოენუსხა
იმ სატანას, ძლივსღა მიცნო.
ხელი ბებერს მიაშვირა
ბოლოს, როცა გონს მოეგო,
ჩემსაგით არ გაგაბრუოს,
ჯადოქარი არი ეგო.
მივეფერე ჩემს მეგობარს,
დავაწყნარე,
დავამშვიდე...
ბოლომდე რომ დამერბია,
მიეუბრუნდი როკაპს კიდეც:
„კარგად ვიცი, რა ჩიტიც ხარ,
ხმა გაკმინდე, კუდიანო, —
შევუბღვირე, — ალქაფები
ქოხში ვის დაუდიანო.
მესმის, სხვენზე ახლაც მათი
წკუმუტუნი და გნიასია...
ტყეში ბავშვებს რომ იტაცებ,
პირველი თუ მეასეა.
თავგზას უბნევ საცოდავებს,
ჯერ დამალავ,
მერე ყიდი...“

დაფლითოს და დაწვას უნდა
 კაცმა შენნაირი ფლიდი...“
 ბოძს მიბმული დედაბერი
 რომ იშვერდა ჩემკენ ხელებს, —
 შევცდი, ნულარ გამწირავო, —
 არც ვაცივე, არც ვაცხელე —
 შავ შუშებში ჯადოქრული
 მზა წამლები დავამტვრიე,
 ლაწა-ლუწით გადმოვყარე,
 დაბლა დადგა ტბორი მღვრიე.
 ჯოხი დავკარ, თაროზე რომ
 ბანგიანი იდგა კოკა,
 შუა გასკდა, დედაბერმა
 სიმწრით სახე დაიხოკა.
 შევძარ სხვენი, იმ აღჭაჯებს
 აუწყენე პარტყა-პურტყე,
 დავიჭირე სათითაოდ
 და კომპალი თავში ვურტყე.
 თვალნი წითლად შეღავდათ
 და თათები ჰქონდათ მწვანე,
 მივდექ ბრჭყალებდალესილებს,
 წამიც აღარ დავახანე.
 მერე რქებით და კუდებით
 ერთმანეთზე გადავაბი,
 მოვისროლე,
 შუაცეცხლზე
 თუხთუხებდა დიდი ქვაბი.
 ამას უკვე ვერ გაუძლო.
 ერთი კი თქვა: „ვაჰ, ჩემს დღესა...“
 გაღუვარდა გვერდზე თავი,
 კუდიანის მიწყდა კვნესა.
 ზმუილი რომ გავიგონე,
 გოგოს მკლავში ხელი ვტაცე,
 გამოვყარდი — აქეთ მოდიხ
 მთვრალი დათვი, მოხარბაცე.
 დასცხო ტორი, დათვმა ქოხი
 მოანგრია,
 მიანგრია...
 ირგვლივ ტყემატ ბანი მისცა

კედლების და ჭერის გრიალს,
 ამ ხმაურზე თხამ გრძნეულმა
 რქით გამოსხნა ბაკის წარმოქმნილი
 გადაეწო შქერის ღრუბელი
 და გაეარდა, როგორც ქარი.
 ეშმაკების მოვსპეთ კერა,
 კმაყოფილნი ჩვენი ბედით
 გამოვეყვით გზას გაკვალულს
 შინისაკენ წამოვედით.
 განა ქოხი უბადრუკი,
 თვით ქაჯეთის მძლავრი ციხე,
 სამფლობელო ბნელეთისა,
 მეგონა, რომ მე ავიდე.
 აი, უკვე ირიჟრაჟა
 და მშობლიურს ვხედავთ სოფელს,
 ტოროლასაც მივესალმეთ —
 განთიადის მახარობელს.

IV

აღბათ მისვდით, ის გოგონა
 მე რომ მაშინ დავიხსენი,
 არც მეტი და არც ნაკლები,
 ბებო არის ახლა თქვენნი.
 ქადა-ნაზუქებს რომ გიცხოვრებთ,
 გულკეთილი ანა ბებო,
 მთელი სოფლის მოამაგე,
 ქალი მართლაც სანაქებო.
 გაეღიმა ანა ბებოს,
 ქსოვას თავი მიანება...
 ხელს გადისვამს ჭადარაზე,
 ტკბილად შეგვეხმიანება:
 „პაპათქვენს სომ სუფევლაფრის
 უყვარს გადასხვაფერება,
 თავიდანვე ასე იყო,
 ვერ უშველა დაბერება.
 ვერ ღალატობს ჩვეულებას,
 ურევს ტყუილსა და მართალს,
 გოცდები ხოლმე, ნამდვილს

მოგონილთან ისე ზღართავს.
 თუმც ყველანი ყურს უგდებდით
 და ამბავიც იყო მწყობრი, —
 რაც თქვენ ასლა მოისმინეთ,
 მართალია ნაწილობრივ.
 დღმა ხანმა გაიარა,
 გოგო ვიყავ მაშინ წრიბა;
 ტყეში შეველ ხელკალათით,
 სოკო უნდა დამეკრიფა.
 იქით „ნიყვი“, აქეთ — „მჭადა“,
 არ დაგტოვე, ვნახე საცა...
 ველარ ვიცან ადგილები,
 ძეხვამ ისე გაშიტაცა.
 ხას ტკაცუნა მაკრთობს ფიჩხის,
 ხან მაფუთებს გროვა შეშის...
 დამეკარგა ბილიკი და
 დამალამდა კიდევ ტყეში.
 თითქოს ამას უცდიდაო,
 ჩამომძაბა ხიდან ჭოტმა,
 წვევტილი და უცნაური,
 თაყზარს მცემდა იმის მოთქმა.
 ჯირკები და ბუჩქნარები
 ავსულებად მომეჩვენა;
 შეფმა ჭინკამ ცეცხლისფერი
 გამომიყო, ვხედავ, ენა.
 ფეხმობრეცილ ბებრუხუნას
 ისე გავდა ერთი ჯაგი,
 შევხედე და შიშისაგან
 ამივარდა მე ძაგძაგი.
 „მიშველეთო“, — დავიძახე,
 რაღა შექნა,
 დავიბენი...
 უცებ ვხედავ — ჩემდა იღბლად
 ჩემკენ მობრბის პაპათქვენი.
 შორით ვიცან, ანთებული

რომ ეჭირა თედოს კვარი,
 მომემატა მუხლში ძალა,
 გავიქეცი,
 მივეკარი...
 გვერდით მედგა ჩემი მხსნელი,
 დაწყნარდით, გოგო ანა...
 ბოლოს ხელი ჩამკიდა და
 სამშვიდობოს გამიყვანა.
 გაკიცხულმა უფროსების
 დარიგება დავიჯერე.
 დავჭკვიანდი,
 ტყეში მარტო
 არ წავსულვარ იმ დღის მერე.
 პაპათქვენს რომ ენა უჭრის —
 ადრეც მწამდა,
 ახლაც მჯერა;
 მაგას სადმე რომ ესწავლა,
 დაჯაბნიდა ყველა მწერალს.
 რა დროს აღქაჯები იყო,
 ჩემო კარგო, ძილის წინო, —
 ტუქსავს პაპას, — ეგ ბაღლები
 როგორ გინდა დავაძინო?!“
 ეფერება უღლის გამწვევს
 და გვიცინის პაპა თედო:
 დაიძინეთ! ზოგი რამეც
 ხვალ-ზევ მინდა მოგიყვეთო.
 მოიხარშა ამ თხრობაში
 დიდი კვაზი გულყვითელა;
 დაიჭრა და დანაწილდა,
 კმაყოფილი დარჩა ყველა.
 ის გაიგებს ამ სიხარულს,
 ოქროს ყრმობა ასსოვს ვისაც;
 მუდამ ტკბილად აგონდება
 კაცს დღეები ბავშვობისა.



ამირან კახიძე
ნოდარ კახიძე



კოლხეთის სამეურნეო იარაღების ისტორიიდან (წალღ.)

უფრონაღ „სოვეტსკაია არქეოლოგიის“ 1986 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა ნ. ლიაშუკის მოკლე პუბლიკაცია. მასში საუბარია უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და ყირიმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ გვიანსკვითური ხანის ნამოსანლარზე (სოფ. დობროვ, სიმფეროპოლის რაიონი), მეგარიონის ტიპის ნაგებობის იატაკზე კერამიკულ ნაწარმთან ერთად აღმოჩენილ რკინის იარაღზე, რომელიც ახ. წ. III საუკუნით თარიღდება. ავტორი ამ იარაღს დანას უწოდებს და თვლის, რომ იგი გამოიყენებოდა მებაღეობა-მევენახეობაში. აქვე მიუთითებს რკინის ანალოგიურ ნივთზე, რომელიც გვიანსკვითური ხანის (ახ. წ. III ს. II-III მეოთხედი) ალმა-ქერმენის ნაქალაქარის გათხრებისას აღმოუჩენიათ. ნ. ლიაშუკის აზრით, ორივე იარაღი ადგილობრივ ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული. ამავე დროს არ გამოირიცხავს რომაული ტრადიციების გავლენასაც ამ იარაღების წარმოშობაზე.¹

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ძველი კოლხეთის, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით განსხვავებული დასკვნების გაკეთება შეიძლება ამ ტიპის იარაღის გენეზისის, ქრონოლოგიური ჩარჩოების, გავრცელების არეალის, ფუნქციონალური დანიშნულებისა თუ სახელწოდების შესახებ.

საკაცობრიო ცივილიზაციაში ამ მეტად საინტერესო იარაღის შექმნა დასავლურ-ქართულ (კოლხურ) კულტურასთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენდა ე. წ. კოლხური კულტურა, რომელმაც განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „ჭოროხის აუზში არის საძებნი გვიანბრინჯაოს განთქმული კოლხური კულტურის სამშობლო, მისი უმთავრესი სამრეწველო რაიონი. ძველი კოლხური სამეფო, უმჯველია, ამ კულტურის შემოქმედი მოსახლეობის გაერთიანება იყო“.² სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრე დაწინაურება განპირობებული იყო აგრეთვე წინააზიურ ქვეყნებთან სიახლოვითა და ახლო კონტაქტებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში ბრინჯაოს ინდუსტრიაში ტექნიკურ სიახლეთა დამწერგავი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, კერძოდ, ჭოროხის აუზი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მხარეში არსებობდა მეტალურგიისათვის აუცილებელი სპილენძის მადნის ბუდეები და დიდი რაოდენობით ე. წ. მდნობელთა განძებიც აქ არის აღმოჩენილი.³ კოლხური კულტურის გავრცელების არცერთ სხვა მიკრორაიონში არ არის წარმოდგენილი ისე სრულად ბრინჯაოს უძველესი იარაღები, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. პროფ.

მ. ჭაფარიძე წერს, რომ გვიანბრინჯაოს პერიოდში, ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანებისათვის. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში უკვე სავსებით ჩამოყალიბდა სამეურნეო იარაღის თითქმის ყველა ძირითადი განმსაზღვრელი ტიპი.⁴ როგორც ცნობილია, დასავლურ-ქართული კოლხური კულტურის ძირითადი კომპონენტებია ე. წ. კოლხური ცული, თოხი, ნამგალი, სეგმენტისებური იარაღი და შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო წალდი. წაღებები გავრცელებული ყოფილა კოლხურ კულტურის სამხრეთ ზონასა (აჭარა-გურია) და ქვემო იმერეთში. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წაღებები ყველაზე დიდი რაოდენობით დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მოპოვებული. როგორც ჩანს, იარაღის ამ ფორმის შექმნა-ჩამოყალიბება ამ რეგიონთანაა დაკავშირებული. ამ ტიპის იარაღების გავრცელების ტოპოგრაფიკული შემდეგში ფართოვდება. სახელდობრ, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში შემოდის სამხრეთ მდებარე ოლქების საქმადი და დი ნაწილი. სადღეისოდ კოლხური კულტურის სამხრეთ-დასავლეთ გავრცელების უკიდურესი საზღვარი ქ. ორდუმდე აღწევს.⁵ ორდუს მახლობლად გამოქვაბულში (მდ. მღეთის ხეობა) სხვა იარაღებთან ერთად აღმოჩენილა ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს წალდი.⁶ აჭარის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წაღებები აღმოჩენილია შემდეგ პუნქტებში: ხიხაძირი,⁷ ერგე, განთადგურ, მახინჯაური, ზენითი, ჩაისუბანი, ბობოყვათი, მახუნცეთი.⁸ რკინის წაღდის ერთი ეგზემპლარი მთლიანად დაცული სახით ამას წინათ აღმოჩნდა ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარის ახლოს ისპანში.⁹

ისპანის მონაპოვარის უშუალო ანალოგებს წარმოადგენს ურეკსა და ბობოყვათში აღმოჩენილი წაღებები. ისპანის წალდი ძვ. წ. XII-XI სს უნდა დათარიღდეს. დ. ქორიძე ტანთან სატარე ზვრელის მიმართების მიხედვით გამოყოფს წაღდების ორ სახეობას ისპანის წაღდის მსგავსად პირველი სახეობის წაღდების ყუა ტანის მიმართ დახრილია ხოლო მეორე სახეობის წაღდებზე კი — ვერტიკალურად მიმართული. არსებობს ამ ტიპის იარაღების სახესხვაობანი, ე. წ. ჩუგლუგისებური იარაღები, რომლებსაც აქვს მაღალი ახიმეტრიული გორდა პირი და წაღდის მსგავსი ოდნავ გამოყოფილი ნისკარტი და სატარე ზვრელი.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წაღებები გავრცელებული ჩანს აჭარის მოსაზღვრე გურიის ტერიტორიაზეც — მელექედური, სევი, ურევი,¹⁰ ვაკიჯვარი.¹¹ ამ იარაღთა ორი ეგზემპლარი აღმოჩენილა იმერეთში (სიმონეთი, დაბლაგოში)¹².

კოლხური კულტურის სხვა რაიონებიდან გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წაღებები ჯერჯერობით უცნობია.

ანტიკური ხანიდან იწარმოება რკინის წაღებები. მისი უძველესი ნიმუშიც მოპოვებულია აჭარის ტერიტორიაზე (აჭარისწყლის ხეობა, სოფ. კვაშტა) ძვ. წ. V ს. ნამოსახლარზე. დაცულია იარაღის მოკაუჭებული ნიღრი (ლინგი) და ტანის ნაწილი.¹³ რამდენიმე რკინის წალდი აღმოჩნდა სუხუმის მთაზე ძვ. წ. V-III სს. დათარიღებულ კულტურულ ფენებში,¹⁴ ორი ეგზემპლარი კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — ხაშურის რაიონის სოფელ მცხეთიჯვარში (არქეოლოგ ჯ. ნადირაძის ცნობა) და სოფ. ალაიანში (კასპის რაიონი).¹⁵ საქართველოს ფარგლებს გარეთ რკინის წალდი სრული სახით ნაპოვნია არმავირში (სომხეთის სსრ), ძვ. წ. III-I საუკუნეების კულტურულ ფენაში.¹⁶

ჩვენზე აზრით, სუხუმის პირველი ტიპის, მცხეთისჯვარის, ალაიანის და არმავირის წაღებებთან გენეტიკურ კავშირში უნდა განვიხილოთ ყირიმში აღმოჩენილი ზემოთ აღნიშნული წაღებები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ დობროვს წაღებები

ლდი დიდ სახსლოვს ამჟღავნებს თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებულ რკინის წალღებთანაც.

თუ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისათვის სამეურნეო იარაღის ეს ტიპი დამახასიათებელი იყო კოლხური კულტურის განსაზღვრული რაიონისათვის (უპირატესად სამხრეთ-დასავლეთ საქართველო), ყირიმის აღმოჩენით დასტურდება, რომ შემდეგ გვიან-ანტიკური ხანიდან მისი გავრცელების არეალი ყირიმამდე აღწევს. გარდა ამისა, ყირიმში აღმოჩენილი რკინის წალღები აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის კიდევ ერთი მორიგი ნივთიერი დადასტურებაა. როგორც ცნობილია, ამ ორ რეგიონს შორის მსგავს ურთიერთობას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია (გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა). ამ კონტაქტებს უფრო სისტემატური, რეგულარული ხასიათი ანტიკურ ხანაში ეძლევა. ელინისტური ხანისათვის შეინიშნება შავი ზღვისპირეთის სხვა რაიონების მსგავსად კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობების აქტივიზაცია.

თანამედროვე ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც წალღის გავრცელების არეალი ერთობ ფართო ჩანს. იგი მოიცავს როგორც დასავლეთ (აჭარა,¹⁷ გურია, სამეგრელო,¹⁸ იმერეთი, რაჭა,¹⁹ აფხაზეთი²⁰), ისე აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლი, კახეთი²¹). დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ იგი გვხვდება თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ ქართულ რაიონებში (ლაზეთი, ლივანა, შავშეთი, იმერხევი), აზერბაიჯანის ქართველ მოსახლეობაში (საინგილო),²² აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ხალხებში (ჩერქეზები, შაფსულღები, ადიღეები)²³ და სხვ.

სამეურნეო ყოფაში წალღის გამოყენების ინტენსივობით მაინც სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთი საქართველო გამოირჩევა. ამ მონაცემების მიხედვითაც სარწმუნო ხდება, რომ წალდი დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის მონაპოვარია. კერძოდ, მის თავდაპირველ სამშობლოდ კი, როგორც ითქვა, ჯორჯიის აუზია მიჩნეული. საიდანაც კულტურის ეს ელემენტი შემდეგ მის ფარგლებს გარეთ გავრცელდა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს წალღის ადიღური სახელწოდება „სალდა“, რომელიც აკად. გ. ჩიტაიას ქართული „წალღის“ სახენაცვალ ფორმად მიაჩნდა.

წალდი უნიკალური კომპლექსური სამეურნეო-სამიწათმოქმედო იარაღია, რომელიც გამოირჩევა როგორც კონსტრუქციული აღნაგობით, ისე ფუნქციონალური დანიშნულებით. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, წალდი ფიქსის საკაფი იარაღია.²⁴ მაგრამ ამგვარი განმარტება სრულად ვერ წარმოგვიდგენს მის მრავალმხრივ ფუნქციას. განხილული რეგიონების, პირველ რიგში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გონივრული სამეურნეო ცხოვრება წალღის გარეშე თითქმის წარმოუდგენელიც კი ჩანს. ცულ-ნაჯახებთან ერთად წალდი გამოიყენებოდა სახალე მიწათმოქმედებაში როგორც ბუჩქნარისა და ეკალ-ბარდის საკაფი იარაღი,²⁵ ფართოდ ხმარობდნენ სხვა სამიწათმოქმედო საქმიანობაშიც — ნათესების სარეველა მცენარეების გასაწმენდად, ღობიოს, კიტრის, კვანძის, ახანვევი ჯოხების (ხაშარი, ღჯა) მოსაჭრელად, რიგ შემთხვევაში სიმინდის ჩაღის სამეკლად.

წალღის ერთ-ერთი ადრინდელი ფუნქცია მევენახეობა-მეხილეობას უკავშირდება. იგი დღესაც ითვლება ვენახისა და ხეხილის სახსლავ ძირითად იარაღად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. სხვა სახის ტრადიციული იარაღის გამოყენება ამ მიზნით აქ არ დასტურდება.

წალღს ძალზე დიდი გამოყენება ჰქონდა მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. აჭარაში, ისე როგორც მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, ზამთრის პერიოდში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ერთ-ერთ ძირითად

მცენარეულ საკვებს ცაცხვის, თხმელის ნეკერი, წყავის ფოთოლი რტოებიანად, ძმერ-
ხლი, თელის ან ცაცხვის გამხმარი ფოთოლი შეადგენს. ამ სახის საკვების მოსაძოვებ-
ლადაც, ურომლისოდაც საქონლის ბაგურ კვებაზე შენახვა თითქმის შეუძლებელი იყო,
მხოლოდ წალდი (და მასთან ერთად ნაწილობრივ მოზრდილი ნამგალი) გამოიყენებოდა.
წალდი მწყემსის ყოველდღიური განუშორებელი იარაღი იყო წელიწადის ყველა დროს.

წალდი სახელოსნო იარაღის ფუნქციასაც ასრულებდა. მხოლოდ წალდით მოიპო-
ვებდნენ წნული ნაკეთობის (გოღორი, გიდელო, კალათა, ლასტი და სხვ.) დასამზადე-
ბელ საჭირო მასალას. სხვა დამხმარე იარაღებთან ერთად წალდითვე ამუშავებდნენ
წნულის საქსელავ და მისაქსველ ტკეჩს.

წალდს მასობრივად იყენებდნენ წვრილი შეშისა და ღობის მასალის (კვენდლი)
დასამზადებლად. წალდს, ისე როგორც რკინის სხვა ნაკეთობას (ცულო, დანა, ხანჯალი,
ნალი), გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში. კერძოდ,
ავადმყოფს განკურნებამდე და მიცვალებულს გახვეწებამდე წალდს შემოუღებდნენ,
როგორც ავი სულებისაგან დაცვის საშუალებას.

თანამედროვე ყოფაში გავრცელებულმა წალდმა მთლიანობაში ძირითადად შეინა-
რჩუნა არქეოლოგიური ბრინჯაოსა და რკინის წალდების ფორმა და ფუნქციონალუ-
რი დანიშნულება. თავის მხრივ, თანამედროვე წალდები კონსტრუქციული თვალსაზრი-
სით შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ. წალდების ერთი ტიპისათვის დამახასია-
თებელია მაღალი, საფეხურიანი ცხვირი (ხალხური ტერმინოლოგიით ღინკი), რომე-
ლიც წალდის არსებითი ნაწილია და კომპლექსურ ფუნქციას ასრულებს. ერთი მხრივ,
იგი მუშაობის პროცესში წალდის პირს იცავს დაჩლუნგებისაგან, მეორე მხრივ, კაფვის
ან ზეხალ-ვენახის გასხვლის დროს კავის დანიშნულებასაც ასრულებს, როგორც რტოს
მოსაწევი საშუალება. ყოფაში დასტურდება წალდის ცხვირის საჩიჩქნად გამოყენებაც,
რაც ძველი წესი უნდა იყოს.

აქარულ წალდებს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. მათი პირი წინა ნაწილ-
ში ხშირ შემთხვევაში „თავდაქნულია“ და ფართოა. პირის ამგვარი აღნაგობა განპირო-
ბებულია ორი გარემოებით. პირველ შემთხვევაში იგი ხელს უწყობს წალდის სიმძიმეს
და შესაბამისად აძლიერებს დარტყმის ძალას. მეორე შემთხვევაში ფართო პირი ახან-
გრძლივებს იარაღის ხმარებას, რამდენადაც მუშაობის სიმძიმე ძირითადად წინა და
შუა ნაწილზე მოდის. და დაჩლუნგებისას გაღვსვის შემდეგ ინარჩუნებს პროპორციას.

წალდები განირჩევა ერთმანეთისაგან მუშაობის ხასიათის მიხედვითაც: საკვავად
მოზრდილი და მძიმე წალდები გამოიყენებოდა. მაჭახლის ზეობის ეთნოგრაფიული მა-
სალებით ყოფაში მოწმდება ე. წ. შავშურა წალდები, რომლებიც ჩვეულებრივი წალდ-
ებისაგან განსხვავებით დიდები იყო და ხასიათდებოდა სქელი და გრძელი პირით. რო-
გორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამგვარი წალდები შავშეთში მზადდებოდა. მაგრამ მი-
ბაძვით ასეთს მაჭახლეში მჭედლებიც ქედავდნენ.²⁶ შავშურა წალდით მოზრდილი ზე-
ების მოჭრაც შეიძლებოდა.

ხეხილისა და ვენახის, ნეკერის, წყავის, ძმერხლის, უცერის სასხლავად
შედარებით პატარა და მსუბუქ წალდებს ხმარობდნენ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, წალდები აჭარის თითქმის ყველა სამხედლოში
მზადდებოდა როგორც დაკვეთით, ისე თავისუფალი გაყიდვისათვის. გამძლე, ხარისხია-
ნი და მჭრელი წალდის გაქცევაში ბევრ მჭედელს კარგი სახელიც მქონდა მოხვეჭილი.

წალდის მჭედლობამ თავისი კვალი კარგად დატოვა ქართულ ონომასტიკაში. კერ-
ძოდ, ამ იარაღის მჭედლობას უკავშირდება გვარი ბურჭულაძე. ბურჭული წალდის ზა-
ნური (ლაზურ-მეგრული) სახელწოდებაა. ამავე რიგისაა გვარი წალდაძე (წალდენი),
რომელიც ფიქსირებულია ადიგენის რაიონის სოფელ უდეში.

მჭედლობასთან და, საერთოდ, ხელოსნობასთან დაკავშირებული ქართული, რუსული და უცხო გვარები საკმაოდ ბევრია. ასე მაგალითად, მჭედლობიდან მომდინარეობს გვარები ქართულში მჭედლიძე და მჭედლიშვილი, რუსულში — კუზნეცოვი, ინგლისურში — სმიტი, გერმანულში — შმიდტი, ჩეხურში — კოვარუი, უნგრულში — კოვაჩი, პოლონურში — კოვალევსკი და ა. შ.

დასასრულად, ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტს. წალდის არამარტო რუსულ, არამედ უცხო ენებზეც თარგმნისას ამ იარაღს ძველი ქართული სახელწოდება უნდა შევუნარჩუნოთ. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ძველ ქართულში (ათონის ივერიის მონასტრის მეათე საუკუნის ქართული კოლექციის ხელნაწერები) წალდის აღმნიშვნელ ტერმინად „წალთი“ გვხვდება.²⁸ „წალდი“ და „წალთი“ ერთი და იგივე ძირი-სიტყვის სახენაცვალი ფორმები ჩანს.

ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემებით ცხადი ხდება, რომ წალდი გენეტიკურად დასავლურ-ქართულ (კოლხურ) კულტურას უკავშირდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ბრინჯაოს წალდები ვრცელდება ამ კულტურის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. ანტიკურ ხანაში ფართოვდება რკინის წალდების წარმოება და, შესაბამისად, მისი ტერიტორიული გავრცელების საზღვრები (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი). გვიანანტიკური ხანიდან ამ სამეურნეო იარაღის გავრცელების არეალში ექცევა ჩრდილო შავიზღვისპირეთი.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, მომდევნო ეპოქებისათვის რკინის წალდების ყოფაში გამოყენება დასტურდება თითქმის მთელ საქართველოში, უპირატესად მის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთ რაიონში, აგრეთვე იმ ქართულ პროვინციებში, რომლებიც ამჟამად მოქცეულია თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში.

წალდი დღესაც შეუცვლელი შრომის იარაღია საქართველოს მოსახლეობის ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაში და მას მრავალმხრივი გამოყენება აქვს.

წალდის, ისე როგორც ბრინჯაოსა და რკინის სხვა იარაღების შექმნით, რაც იმ დროისათვის მოასწავებდა მნიშვნელოვან ტექნიკურ პროგრესს სამეურნეო ცხოვრებაში, კოლხმა ტომებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, მისი მეშვეობით კი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ლიტერატურა

1. Ляшук Н. М. Нож из позднескифского поселения Доброе. СА. 1986, № 3. с. 233.

2. ო. ჯაფარიძე. დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში. მაენე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია). 1982, № 1, გვ. 63, 64; ა. რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974, გვ. 50.

3. გ. მელიქიშვილი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანება. საქართველოს ისტორიის უძველესი საკითხები. I, თბ., 1970, გვ. 390.

4. ო. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 63, 66.

5. იქვე, გვ. 72.

6. დ. ქორიძე. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 28; ა. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 34.

7. ა. კახიძე, შ. მამულაძე. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი სოფელ ხიხაძირიდან. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. თბილისი, 1971, X, გვ. 95.

8. დ. ქორიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 20, 22, 28, 47, 160; ა. რამიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 9, 11, 12, 17, 20-22, 24.

9. წალდი იოვია აქაურმა მცხოვრებმა მ. ვერულიძემ, რომელმაც იგი ბათუმის სა-მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიურ ექსპედიციას გადმოსცა. ამჟამად იგი ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

10. დ. ქორიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 13, 35, 159; ა. რამიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 25, 27, 30.

11. ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 49, თბ., 1953, გვ. 60.

12. დ. ქორიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 24, 96.

13. ა. კახიძე. შ. მამულაძე. კვანძის ანტიკური ხანის ნამოსახლარი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVII, 1988.

14. ა. კალანდაძე. სუხუმის შთის არქეოლოგიური ძეგლები. სუხუმი, 1954, გვ. 42, 43.

15. ნ. მირიანაშვილი. შიდა ქართლის მატერიალური კულტურა, თბ., 1973, გვ. 42, 71.

16. Г. Тирациян. Культура древней Армении. Ереван, 1988, с. 137-138.

17. ნ. კახიძე. მკვდლობა აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1976, გვ. 79.

18. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. ტფილისი, 1934, გვ. 330-381.

19. ნ. რეხვიაშვილი. მკვდლობა აჭარაში. თბ., 1953, გვ. 150-151.

20. Ш. Д. Инал-ипа. Абхазы (историко-этнографические очерки). Сухуми, 1965, с. 234.

21. ნ. რეხვიაშვილი. რკინის სამეურნეო იარაღები აფხაზეთიდან. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX და XXV. თბ., 1957, გვ. 326.

22. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. 5 ტომად, ტ. IV, ნაწილი II, თბ., 1987, გვ. 88, 91.

23. Р. К. Чанба. Земледелие и земельные отношения в дореволюционной Абхазии, Тб., с. 64-65.

24. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა. თბ., 1949, გვ. 442.

25. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95-96.

26. ნ. კახიძე, აჭარის მთიანი ზეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ზეობა). საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1964, გვ. 95 (მანქანაზე ნაბეჭდი).

27. А. Д. Дриздо, Л. М. Минц, Люди и обычаи. М., 1976, с. 41-43.

28. ი. აბულაძე. ძველი ქართული ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 53.



თ ე ღ ო რ ე

სად არის გმირი...

ი ლ ი ა

საქართველოს სატელევიზიო თეატრმა შემოგვთავაზა ტელესპექტაკლი „თედორე“. იგი ოთარ ჩხეიძის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით გადაიღო რეჟისორმა მანანა იმედაძემ.

ისტორიულ თემაზე შექმნილი ეს თანადროული ტელესპექტაკლი შესანიშნავია, როგორც რეჟისორული თვალთახედვით, ასევე მსახიობთა მაღალი პროფესიონალიზმითაც. სადაც და უზრალოდ გადმოცემული მოქმედ პირთა მძაფრი სულიერი განცდები. ასეთივე სადა მოქმედების ფონი: უძველეს ციხეთა ნანგრევები, მინდვრები... ყველაფერი უაღრესად გასაგები და ამაღელვებელია. მაგრამ ჩემი მიზანი არ არის სპექტაკლზე, როგორც რეჟისორულ და აქტიორულ ნამუშევარზე ლაპარაკი, თუმცა იგი ამ მხრივ ზავანტებო განსჯას უთუოდ იმსახურებს. ამჟამად უფრო მაინტერესებს პიესა „თედორე“ როგორც მასალა და ისტორიული თედორე, როგორც პირველწყარო ამ სპექტაკლისა.

ოთარ ჩხეიძემ შემოთხსენებული პიესა მესხეთის განახლებულ თეატრს უძღვნა. ამავე თეატრში მიიღო მან პირველი სცენური სახე. ქვეშაირთად ქართული ტკივილითა და საფიქრალით აღსავსე ეროვნული ღრამა იმთავითვე იპურობს ყურადღებას მწერლისათვის დამახასიათებელი თავისთავადი პოეტური ხერხებით, თანამედროვე სატოვან ქართულთან ერთად ძველი არქაული საღებესო ფორმით, რომელიც აწმყოს წარსულთან დამაკავშირებელი იდუმალი ძარღვია. მიუხედავად იმისა, პიესა მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიულ ფაქტზეა დაფუძნებული, იგი ამ კონკრეტული დროის კუთვნილებას როდი შეაღგენს. წარსულის ფესვებზე აღმოცენებული საქართველოს ეროვნული ტრადიცია ყველა დროში გადაზრდილა და გათავისებულა. ბერი თედორე, ქართული გენიის ეს უბრწყინვალესი გამონაშუქი — ეროვნული ტკივილის მატარებელი მარადიული გმირია. დროისმიერი სატკივართი მისი წარსულიდან გადმოხმომა კი აწმყოს და მომავლის ასლებური ჭერტაა. ამით უფრო გვხმბლავს იგი, უფრო გვაღელვებს.

მოქმედების არე — საქართველო.

დრო — როცა ძმურად მოსული მტერი უკიდურესად ავიწროებს ერს. თითქმის დაღუპვამდე მიჰყავს იგი. მოქმედნი პირნი: ერის საეკლესიო ოა საერო მსახურნი, რომლებიც ერთი მიზნისთვის — სამშობლოს სულისკრად განწყობილნი, ამაღლება-გამაღლებებისათვის იბრძვიან.

ქვეყნის უკიდურესი გასაჭირის დროს ერთმანეთს ეჭახება ორი სრულიად საწინააღმდეგო აზრი, იდეა.

ერთი — სამშობლოს ფიზიკური გადარჩენა, ეროვნული განპის გაღება მშვიდობის საფასურად.

მეორე — საქართველოს სულიერი გადარჩენა — მტრისთვის განძის არ დათმობა, რამეთუ ეს ერის საბოლოო გადაშენებას ნიშნავს.

პიესაში ნათლად იკვეთება მანგლისის ეპისკოპოსისა და გმირი თედორეს ერთობ განსხვავებული და საინტერესო სახეები. ერთი ოფიციალური, მეორე სულიერი წინამძღოლი ერისა.

ყველასათვის ცნობილი ლეგენდარული თედორე, თავისი განუყოფელი ტრაგიკულობით მხოლოდ ისტორიული ფაქტი როდია. იგი უდიდეს ზეგავლენას ახდენს შემდგომ თაობებზე, როგორც სამშობლოსათვის გამოჩენილი სულიერი სიმტკიცისა და სიმამლის უიშვიათესი მაგალითი. საბედნიეროდ, ამგვარი მაგალითები სხვაც მრავალა და ჩვენს ისტორიაში: „ვისთა სახელთაც ამჟამად წარმოსთქვამს შთამომავლობა“. აღბათ, სწორედ ამიტომ განიზრახა მწერალმა კიდევ ერთხელ, სრულიად ახლებური გაზრებით დაეხატა ჩვენთვის ისტორიული გმირის სახე.

გაორებული სამშობლოში თედორე ერთადერთია, ვინც ბრძოლისა და თავგანწირვის გზა აირჩია. ყველასათვის საყვარელმა ხალხის მოძღვარმა ბერის სამოსი გაიხადა, რომ თანამედრობრივ ბარიერს ხელი არ შეეშალა მისთვის სამშობლოს სხნისათვის ბრძოლაში. თუმცა ამგვარმა საქციელმა მისდამი ბევრი უნდობლადაც განაწყო. თედორე მაინც ურევია, რადგან გრძნობს, ქვეყანაში არ არის მტკიცე აზრი — რეალური გამოსატყულება იქნეული ფაქტებისა და პატრონი ერის უმთავრესი საუნჯისა. კანონით ეს საქმე მანგლელს უნდა ეკისროს, რაკილა ხალხმა იგი თავის წინამძღოლად აირჩია, მაგრამ ეპისკოპოსი სამშობლოზედ მოსული მტრის მორჩილი მონაა და სიამოვნებით იღებს მათგან ერთგულებისათვის ნაბოძებ ჯილდოებს.

ბრძენი, შორსმჭვრეტელი ეპისკოპოსი, წარმოუდგენელია, ვერ ხედავდეს, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ქვეყანა. შემოსული მტრები — თათარხანები ისე გაკადნიერდნენ, რომ ერის უმთავრესი სიმდიდრე — განძი შოითხოვეს — ეს კი ერის საბოლოო დაღუპვას მოასწავებს.

მანგლელი ხალხის რჩეულია, მაგრამ მასში არ ჩანს ხალხისთვის თავდადების, გმირობის სურვილი. თუმცაღა სამშობლოს გადარჩენისთვის სხვაზე მეტი შანსიც გაჩნია და კვლავ-გონებაც მოსდევს. იგი უარს ამბობს მამა-პაპათაგან დანატოვარ საუნჯეზე, რომელიც მოსაგლეშ-საპატრონებლად სწორედ მას ჩააბარა ხალხმა... მაშ, რისთვისღა სჭირდება ერს ისეთი წინამძღოლი, ვისაც არ შესწევს ძალა ყველასა და ყველაფერზე მაღლა დაყენის საერო ინტერესები?..

ეპისკოპოსს გამოუვალი მდგომარეობაც აიძულებს დაჰყვეს მტრის ნებას — „გვპატრონობს ხარბი, უძლომედი, შეუბრალები და აღარ ვიცით რა ვიღოთ, როგორ გადავრჩეთ, მივცეთ. თუ რაც გვაქვს? მერე რა გქნათ. ჩვენ რილათ დავრჩეთ? არ მივცეთ? მერე მოგვსპობენ და ვის რაღა დარჩეს?“.. რა გზას დაადგეს? დასთმოს ერის სიმდიდრე, სიმამლე, ძალმოხილება და მიჰყვეს ცხოვრების უმიზნო მართონს თუ სამშობლოს სამერმისო ბედნიერებისათვის სისხლში ამოავლოს საუფლო კვერთხი. ეს უკანასკნელი რისკს მოითხოვს. რისკს, რომლის გაწევაც უბრალო მოკვდავთ კი არა, მხოლოდ გმირებს შეუძლიათ.

სწორეთ ამგვარი გმირია თედორე. თუმცა იგი ფანატურად მეოცნება. ურყევი, შეუვალი რწმენის გარდა არავითარი გზა, გეგმა სამშობლოს სხნისა მას არ გაჩნია, მაგრამ რწმენა ხომ ის საოცრებაა, რომელიც ოცნების შორეული ლაჟვარდებიდან ვარსკვლავებს ჩამოგახსენებებს, შეუძლებელს შეგძლებინებს!

მაინც ვინ არის თედორე, რომელი ეპოქის რომელი შვილი? იქნებ ის ანაფორიანად აკუწული ბერია, საქართველოში შემოსულ მტერს გზა-კვალი რომ აუბნია? ან იქნებ ილიას მიერ ნაოცნებარი ბაზალეთის ყრმა, „ვისაც ღვინადამ მნატრულობს ჩუმის

ნატვრითა ქართველი“? ამგვარი გმირი სამშობლოს მომავალშიც შეიძლება წარმოვა-
სახოთ, რადგან ყოველი დრო, ეპოქა თავის გმირებს შობს. გმირებს, რომლებიც
თავიანთი იდეებითა და მრწამსით ყველაზე ახლოს დგანან ხალხთან და მათ მოუწოდებენ
გვარი მსხრველების გაღება შეუძლიათ მაღალი იდეალებისათვის. ნებისმიერი ეპოქა
ამგვარი გმირების გარეშე ხალხისა და ისტორიისათვის არაფრისმთქმელი, არაფრისმო-
ტანია, ამიტომაც მათ უნდა ვეძებდეთ და პატივს მივაგებდეთ არა მხოლოდ წარსულში,
ამჟამად და მომავალშიც.

ბიესაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრისა და პიროვნების ჭილილში მებრძოლ
საინტერესოდ ისტება თვით ხალხის სახეც. მას უყვარს თედორე, სჯერა, ენდობა,
რადგან იგი საეპისკოპოსოს ინტერესების გამომხატველია, მაგრამ როცა გმირი, საქი-
როების გამო, საზოგადოებისათვის მიღებულ წეს-ადათებს არღვევს, მაშინვე ურწმუ-
ნობის ჭია ცოცხლდება. თედორეს უდიდესი თავგანწირვა სამშობლოსადმი ეპისის ქვეშ
დგება. რა იწვევს ამგვარ უნდობლობას? ალბათ, ერთადერთი რამ... თედორეს აკლია
სიღაღის იარაღი. ამ „ღირსების“ მატარებელი მანგლელი კი, პირიქით, სიყალბის
მაცდუნებელ გზაზე აყენებს ხალხს. „ჩვენ მორჩილებით გავანდოთ რისხვა ღვთისური,
სული მორჩილი ნეტარიაო,“ — მოძღვრავს მრევლს, თუმცა კარგად უწყის, მორჩი-
ლება რომ ის ბოკილია, რომლის ქვეშ თავისუფლებას დანატრული სული გმინავს.

თედორემ უმძიმესი მსხვერპლი გაიღო, სახანოს გზას უკვე გაუყენებს მისი ორი
შვილი, ორი მძევალი. ეპისკოპოსმა თითქოს განგებ ჩააბარა თათარხანებს გმირი წინა-
პრის (თედორეს მამაც ხომ ნამძევლები და მტრისაგან თვალდებათხრილი გმირია!) შთა-
მომავალნი, რომელშიც სამშობლოს მომავალი უნდა ვიკულისხმეთ... და სახეზეა უდი-
დესი სისასტიკის ნაყოფიც — ყრმათა მოკვითილი თავები, რომლებიც უსხეულოდ დაგ-
ვიბრუნეს. ეს ხომ სიმბოლური გამოხატულებაა იმ მიზნისა, რომლისკენაც თათარხანე-
ბი მიისწრაფვიან.

აქ თითქო ყველაფერი გათავდა, მაგრამ მთავარი მაინც წინ არის, თედორეს უმარჯ-
ვია, შორეული მწვერვალებისაკენ მიჰყავს მტერი. განძის პოვნას დახარბებული თათარ-
ხანები ჭიუხებიდან იჩიებებიან, თოვლიანი კლდეების ნაპრალებში ცვივიან... მაინც წინ,
იქ, სადაც ყველაზე მკაცრი მთაა, სადაც ზეგები ჩაჩუმქრავს უკანასკნელ მტარვალს.

„სად შენახულა განძი ერისა?“ კითხულობენ გამძვინვარებული თათარხანები. იმავ
კიბნავს უმეორებს მტერთან პირშეკრული ეპისკოპოსი ქართველ დედას — თედორეს
მეუღლეს — ნენოს. და განა ძნელი გამოსაცნობია ამ კითხვის ერთადერთი პასუხი.
განა რა განძის გადარჩენისათვის იბრძოდა გმირი თედორე, იგივე (კოტნე, იგივე ჭეთე-
ვან, იგივე ძმები მხეიძენი, ხერხეულიძენი? ერის ყველაზე დიდი განძი ხომ მის- უკვდა-
ვებაშია.

მაგრამ სრულიად სხვაგვარი და უდიდესი სევდის მომგვრელია ამ კითხვაზე ნე-
ნოს პასუხი: „მე ვიცი, სადაც შენახულა განძი ერისა... ზევით მთებშია, მწვერვალებში.
ქვევით მდებარეობს, ჩანჩქერებშია, ყვავილებში, ტყეში და ზვრებში, ჩვენს ძარღვებშია.
ჩვენს სულშია, აგერ, აქ არის, ყოველ მარცვალში ჩვენი მიწის, ჩვენი მად-
ლია, ჩვენში ჩაწულა უხილავად და სახილველად. იგი გვაშენივებს, გვახალკლდეივებს.
გვქმნის უძლეველად, ჩვენია იგი მხოლოდ ჩვენი, არ წაირთმევის, არც გაჩუქება შეგ-
ვიძლიან და არც გაცემა“...

საოცარი ქალური სიწრფელითა და უშუალობითაა აღბეჭდილი ქართველი დედის
ეს სიტყვები. მშობლიურობის გრძნობა მართლაც ერთადერთია, რომელიც თავისთავად
მოკვიბობა, გვაჩუქა ბუნებამ, როგორც უცვლელბელი რამ საარსებო პირობა და იგი
უპირველესად არ ეთმობა ქალს. რადგან სამშობლო გვირგვინია ქალისა, თვით ქალი კი
შარადიული უკვდავება ერისა. რადგან მის სხეულსა და სისხლ-ძარღვებში ყველაზე

მეტად განივთებული-გაზავებულა თავისთავადობის მაღლი და ყოველი ღირსება ერისა.

იგივე შეიძლება ითქვას თედორეს მოხუც დედაზე — სორეშანზე. ჭირთა თმენით გასაღლდევებული, წმინდა გიორგის ხატს რომ ევედრება, „ჩემთვის არა გთხოვ, ჩემს ბებერ ძველებს არ შეგავედრებ, მიიღე ჩემი ძვალიც, სორციც, რაიც გენებოს, ოღონდ დაიხსენ ჩემი ხალხი“.

სამშობლოს ღალატში თედორეზე ექვემიტანილი ბრბო ქვებით ჩაჰქოლავს სორეშანს. აი, მაგალითი სულისშემძვრელი სისასტიკისა, მაგალითი, რომელიც არაერთხელ გაიფლავებს ქართულ სახიათში და რომელიც ათქმევინებს ქართველ კაცს, „დავსტირი საქართველოს სირცხვილს“.

სულთმოპოვადი თედორე ტაძარში შეჰყავთ, სადაც თავისუფლების სადიდებელი გუგუნივს. „ჰო, გადაგვიჩა სამლოცველო, დიდი ტაძარი... ილოცეთ მარად!“ — მიმართავს იგი ნენოს.

„ვიდამ ილოცოს, თუ გასწირე შეილიც, მშობელიც, და უახლოეს მეგობარსაც წარსტაცე ქეუა“. — უპასუხებს ნენო.

— „ტაძარი გვქონდეს, მლოცველები გამოჩნდებიან!“ — გაისმის თედორეს უკანასკნელი სიტყვები. დიას, გადარჩა ტაძარი, გადარჩა იგი თედორესა და სორეშანის დაღუწილი სხეულების, ყრმათა სისხლის ფასად. და მლოცველებიც გამოჩნდნენ — თედორეს გუშინდელი მოწინააღმდეგენი, მოსულან, რათა ტაძარი ჩაიბარონ და გმირის სუფევა აღავლინონ!

— გმირობა შენი საარაკოდ გარდაიცემის. — აცხადებს მანგლელი, რომელმაც ესესაა აიყარა კირთების ჯაჭვი და ფეხქვეშ გათელა „უცხო ჯილდო“.

— „ვინ ჩავგინერგოს მაღალი რწმენა, ვინ შეგვაყვაროს მიწაი ჩვენი. შენი სიკვდილი ბრალა...“ — ლოცულობენ ბერნი და მათ ლოცვაში გამოიხატება რაღაც საოცარი მოწინება გუშინდელი „უციხი გონების“ ჭაბუკისადმი.

თედორე ერის ზნეობრივი სახის გამოიმხატველია. მისი თავგანწირვა არ არის უჩვეულო გამოჩაყლისი ქართული ბუნებისათვის. მომავლის რწმენა და იმედიც გმირის თანამდევი ძალაა, რომლის გარეშე შეუძლებელია შეეჭიდო მამულიშვილობის ღვთიურ საქმეს.

თედორე ზოგადი სახეა ეროვნული გმირისა, მაგრამ იგი ამავე დროს უაღრესად კონკრეტული და თანამედროვეა. სწორედ თედორეს სახის ძიებისთვის დაიწერა ეს დრამა, რომელიც მკითხველმა შეიძლება პესიმისტურ დრამა-ტრაგედიადაც გაიაროს, რამეთუ ერის სიმაღლე და სიწმინდე, გმირული სული, მოძალადე მტრის მძლავრობას შეეწირა. მართალია, სამშობლო და ხალხი გადარჩა, მაგრამ სამომავლოდ მას უთედოროდ ცხოვრება გაუჭირდება.

თუ მის ადგილს ზვალ ახალი გმირი არ დაიჭერს, მაშინ ერის საქმე წამხდარია და მას ვერარა აქიმობა უშველის. მაგრამ თედორე, უფრო მეტად ოპტიმისტური ტრაგედიაა. თუკი გენი მეგვიდრეობითი ცნებაა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თედორეს გმირული სული თავის პირმშოს შობს — ცხელი გულითა და ბრძოლის სულისკვეთებით დამუხტულს. მართალია, სამშობლოს თავისუფალ სუფრას ერის გულშემტყვირის ნიღბით მამულის მოღალატეც მიუჭდება, მაგრამ აუცილებლად, გმირიც მის გვერდითაა, ძალიან ჩვეულებრივი, სადა, ადამიანური, თუმცა მას ღარიბული სამოსით ვერ შევიცნობთ, მხოლოდ თვალეში გამჟღავნებენ ღვთაებრივ შუქს ერისკაცისა...



უკეთ, კლბათ, ვერკვინ...

ამ რამდენიმე წლის წინათ საზოგადოება „ცოდნამ“ შუახვევის რაიონის წყაროთს კოლმეურნეობის სათიბებში გასვლითი ლექტორიუმი მოაწყო. ბევრი ვიარეთ მთა-ში, მაგრამ წინ ისეთი დაკიდული ბილიკი გამოჩნდა, რომ მძღოლმა მიკრავტობუსი გააჩერა.

— აქედან ფეხით უნდა წავიდეთ! — თქვა მან.

თავდაპირველად ყველანი ხალისით გავიქერით წინ, მაგრამ გზა არ ილეოდა და ენთუზიაზმი თანდათან ჩაგვიცხრა. ზოგიერთმა ჩვენგანმა ფეხი აიბრია.

— აბა, მომევეით, ბიჭებო! — მოგვადგა ვლადიმერ გელაგამ და წინ წავიდა.

ბატონი ვლადიმერი ჩვენს შორის ყველაზე უფროსი იყო — ოთხმოცს უახლოვ-დებოდა და მისი სიყრისაღი გვიკვირდა.

— ასეა, ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო, — შეეხმინა საზოგადოება „ცოდნის“ აქარის რეკსუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი შოთა სირაძე, ვადაშასწრო და სანამ ვლადიმერ გელაგამ მხარს უსწორებდა, მითხრა:

— ბატონი ვლადიმერი ძალიან კარგად იცნობს აქაურობას.

გავიჭირვე და ვლადიმერ გელაგამ მხარში ამოვუდექი.

— 12 წელიწადს ვიმუშავე აქარის მაღალმთიანეთში, — მითხრა მან, — აქაურობა სულ ფეხით დამივიდა.

სიმაართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ გეგეტკორის რაიონის სოფელ ლეხანდრაოში დაბადებულ და გაზრდილ კაცს ზემო აქარასთან ასეთი კავშირი ექნებოდა...

ნებტორ და ნატო გელაგების ოჯახში შვიდი შვილი იზრდებოდა. მათი რჩენა უჭი-რდა ღარიბ გლეხს. ლეხანდრაოში მარტო სიმინდი და ღობიო მოდიოდა და ისიც ხამ-ყოფი არ ჰქონდათ.

1922 წელს ვლადიმერმა შვიდეკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა. ეს მაშინ ხაყ-მაოდ კარგი განათლება იყო. მის ამხანაგს სერგო ესენკიას ბათუმში შორეული ნა-თესავი ჰყავდა და აქით წამოსვლა, ზღვასთან დამეგობრება განიზრახეს. მატარებელში გაიცინეს ჩაქვში მომავალი შალვა კორძასია, რომელიც მათზე ოდნავ იყო უფროსი. მან აქო და აღიდა ჩქვი, ზღაპრული სილამაზის ადგილიაო. ყოფილ საუფლისწულო მამულში საბჭოთა მეურნეობა დავაარეთ და ენერგიულად მოვკიდეთ ხელი ჩაის კულტურის სამრეწველო გაშენებას, მუშახელი ბლომად გვჭირდებოდა.

ამან გადაწყვიტა ბიჭების არჩევანი: ერთხანს წავიმუშავეთ და ზღვა საღ წაგვივაო. მაგრამ ეს არჩევანი სანგრძლივი გამოდგა.

ისინი ვასო ხოჭავს ბრიგადაში ჩარიცხეს. მთელი ბრიგადა ამხნევებდა, პირველ დღეს სტატორით რომ გამოვიდნენ სამუშაოდ. კარგად ახსოვს, იმ დღეს 40-40 ბუჩქი გახსდეს. ნუ გეშინიათ, მალე გაიწაფებით და მეტს მიაღწევთო, ეუბნებოდნენ მუშებო და, მართლაც, ორივემ ადვილად აუღო აღლო ჩაის ბუჩქის მოვლა-პატრონობას. შრომა-ში გაეჩვივნენ და დღეში ას-ას ბუჩქსაც სსლავდნენ.

ჩაქვის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში ვლადიმერ გელავა გაეცნო და დაუმეგობრდა დახვეწილ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს. მალე ვლადიმერი კომკავშირში მიიღეს და კომკავშირული საგზურით სამუშაოდ ჩაის ფაბრიკაში მიაგზავნეს. ადგილი საქმე როდი იყო, მაგრამ შრომობდა და ღვაწლსა და შესაძლებლობას ხელს უშარბავდა. სოფელში რომ ჩავიდოდა, ყველას რაღაც საჩუქარს ჩაუტანდა.

ახალგაზრდობის საყვარელი ადგილი საბჭოთა მეურნეობის კლუბი იყო, რომელიც 250 მაცურებელს იტევდა. აქ უჩვენებდნენ პირველ ქართულ კინოფილმებს. მეურნეობის სცენისმოყვარენი, ღვათ გოგუაძის რეჟისორობით, წარმოდგენებს მართავდნენ. ხშირი იყო ლიტერატურული გასამართლებაც. ამ ღონისძიებებში ვლადიმერ გელავაც მონაწილეობდა.

შრომასა და გარჯაში გაღის სამი წელი. ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. 1927 წლის შემოდგომაზე ჩაქვის პარტუზარდმა ვლადიმერ გელავა სასწავლებლად ბათუმის პარტიულ სკოლაში გამოგზავნა, სადაც მან ორი წელი დაჰყო. 1928 წლის აგვისტოდან იგი ბოლშევიკური პარტიის წევრია. მომდევნო წელს პარტიული სკოლა წარმატებით დაამთავრა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურში კულტმუშაკად დაინიშნა. სულ მალე პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა ვიქტორ მაჭაცარიას, ღვათ დავითაძესა და კიდევ ექვს ახალგაზრდასთან ერთად ვლადიმერი თბილისში, ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში პროზაგანდისტთა სამწლიან კურსებზე მიაგზავნა.

კომუნისტური უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ვლადიმერ გელავამ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში პროზაგანდისტად დაიწყო მუშაობა, მალე კი „საქნაგოების“ სისტემაში გადავიდა. საგარეო კვალი დატოვა ხობის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების საქმიანობაში.

1935 წელს გეგეჭკორის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის“ პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცეს.

რაიონულ გაზეთებს ახლა რა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, მაშინ რომ ჰქონოდა. არ ჰყოფნიდათ შემოქმედებითი მუშაკები, არ ჰყავდათ ტრანსპორტი. ამის გამო ჰირდა სოფლკორებთან შეხვედრა, საგუშაგოების შექმნა და მუშაობაში ჩაბმა. მაგრამ ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, დამეგბს ათევდნენ, რომ გაზეთები ღრეზე და გამართული გამოსულიყო.

1939 წელს, როცა კასპის რაიონულ რადიორედაქციას განაგებდა, ვლადიმერ გელავას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილებაში სამუშაოდ მისცეს რეკომენდაცია.

ბევრი, ძალიან ბევრი მოგონება აკავშირებს ჩეკისტურ ცხოვრებასთან. ეს ხომ მისი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი წლები იყო. მრავალი სიძნელე უნახავს, მრავალი განსაცდელი გამოუვლია, მაგრამ ვალის კეთილსინდისიერი მოხდით მოგვრილი სისარული მეტი ახსოვს.

სამამულო ომის ქარცეცხლიან წლებში ვლადიმერ გელავამ სახელმწიფო უშიშროების სკოლა დაამთავრა და თავის კოლეგებთან ერთად საბჭოთა სამხედრო ემელონებს შეჰყვა უკრაინაში. ახლაც თვალწინ უდგას ახალგანათავისუფლებული, ნანგრევებად შეპყვა უკრაინაში. ახლაც თვალწინ უდგას ახალგანათავისუფლებული, ნანგრევებად შეპყვა უკრაინაში. ახლაც თვალწინ უდგას ახალგანათავისუფლებული, ნანგრევებად შეპყვა უკრაინაში. ახლაც თვალწინ უდგას ახალგანათავისუფლებული, ნანგრევებად შეპყვა უკრაინაში.

რომ პეტიონთ, ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდეს იმ დროიდან, არც კი დაფიქრდება, ისე გიპასუხებთ: სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა იალტის კონფერენცია. შემდეგ გატაცებით ვიამბობთ, როგორ მონაწილეობდა დიდადის ჯაჭვბრუნებაში.

ჩემი მართალი გული, ნათელი გონება და სუფთა ხედვები უნდა პიკონდეს, ამბობდა ძერუინსკი, და ვლადიმერ გელაგას ამ მოთხოვნისათვის არასოდეს უღალატია. 1944 წლის გაზაფხულზე საქართველოში გადმოიყვანეს, სახელმწიფო უშიშროების სულის რაიონული კომიტეტის ობერწმუნებულად დანიშნეს. მას შემდეგ იმუშავა სულსა და შუაზევის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების უფროსად, ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ. ყველგან პირდაპირი და მართალი კაცის სანელი დატოვა.

თითქმის ოცი წელია ბენაზა, მაგრამ უსაქმოდ რა გააჩერებს. წერს მოგონებებს განვლილ გზაზე, ახალგაზრდული შემართებით ემსახურება იგი, როგორც საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, მშრომელთა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის იდეურ აღზრდას.

საზოგადოება „ცოდნის“ აქარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობამ დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით გულთბილი შეხვედრა მოუწყო და ფასიანი სანუქრებით დააჩუქმდო.

გასულ ზაფხულს ვლადიმერ გელაგას ღენინური პარტიაში ყოფნის 60 წლისთავი შეუსრულდა, ათი წელია ზღუდმდგანელობს იგი პარტიის ვეტერანთა აქარის საოლქო საბჭოს. მოუხვედრარი სულის აღმიაწვები, ახალგაზრდების ქვემარტი მებრძოლები არიან ისინი, ამიტომ ნახევრად მათ ასე ხშირად ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, კომბინატებში, კლუბებსა თუ ბიბლიოთეკებში. ახალგაზრდობას უზიარებენ თავიანთ მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

წიგნიერი შენაძენი, მატერიალური სიკეთე არასოდეს არ იზიდავდა ვლადიმერს. ყველაზე დიდი ქონება, რაც მის ოჯახს შეუძენია, ვლადიმერისა და მისი ერთგული მეუღლის ქალბატონ მარიაშის ერთად გატარებული, სიყვარულითა და ურთიერთობითვისცემით გამოზარი თითქმის 60 წელიწადია, კიდევ ორი შეილი და შეილთაშვილები...

როდესაც ვ. გელაგას საზოგადოებრივ საქმიანობაზე ვაპრობაქობთ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ბათუმის საქალაქო საბჭოს დებუტატია, მიღებული აქვს მრავალი მედალი. სამეგრეო წიგნი, სამატო სიგელები.

საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატიაში გამოფენილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მილოცვა პარტიის ვეტერანებისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით: „თქვენ სამტოა აღმიაწვების იმ თაობას ეკუთვნით, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რევოლუცია მოახდინა, შენაურ და გარეშე მტრებთან სახტიკ ბრძოლებში დაიცვა ოქტომბრის მოწოდება, პირველი, ყველაზე ძნელი ნაბიჯები გადადგა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. ღრმად გემადლიერებით ხალხის უანგარო სამსახურისათვის. ღენინური პარტიის საქმის, კომუნისტური იდეალების ერთგულებისათვის“.

ამაზე უკეთ, აღმათ, ვერავინ შეაფასებდა კომუნისტისა და მოქალაქის ცხოვრების არსს.

ლადო შარაშიძე

მსატკბის გზა

ქართველი საზოგადოებრიობა გულის წუხილით გამოემშვიდობა დიდებულ მოქალაქესა და ხელოვანს უჩა ჯაფარიძეს. იგი იყო სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

ეს აღიარება ნიჭიერმა ხელოვანმა მუყაითი შრომით, ხელოვნების დაუცხრომელი სიყვარულით, მაღალი მოქალაქეობრივი იდეების განსახიერებით მოიპოვა.

უჩა ჯაფარიძე ზემო რაჭის სოფელ ღარში დაიბადა. ამ ულამაზესი კუთხის სოფელში გაატარა თავისი ბავშვობა და პირველდაწყებითი სწავლის წლები. პატარაობიდანვე დაეწაუა იგი ხატვას. ხატავდა თავის ანბანს, კარ-მიდამოს, ხშირად ნატურად იყენებდა ოჯახურ საგნებსა და ნივთებს.

დღემდის მთელ რაჭაში ყველამ იცის და პატივს სცემს ღარელი ინტელიგენტის მალაქია ჯაფარიძის ოჯახს. რაჭაში მოგზაურობის დროს აკაკი წერეთელმა მალაქიას ოჯახში დაიღო ბინა. სასიქადლოდ მგოსანს მალაქიას უფროსი ვაჟიშვილის მიერ დასატული შოთა რუსთაველის პორტრეტი მიართვეს. ეს პორტრეტი აკაკის ძლიერ მოეწონა. მისი რეპროდუქცია შემდეგ ჟურნალმა „თეატრი და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა.

1922 წელს უ. ჯაფარიძემ სწავლა განაგრძო თბილისის სახალხო სამხატვრო სტუდიაში. ამ სტუდიის ხელმძღვანელი — გამოჩენილი ქართველი მხატვარი მოსე თოიძე მწრფე ნერვოზობას იჩენდა ყველა სტუდენტისადმი. სტუდიაში ყოფნა უჩასათვის იყო მომადლებელი ბუნებრივი ნიჭის გაფურჩქვნის პირველი ნაბიჯები. 1924 წელს იგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩაირიცხა.

აკადემიაში უჩა სწავლობდა ფერწერის კლასში (ხელმძღვანელი ე. ლანსერე), მაგრამ მამის გარდაცვალების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა აკადემია და კვლავ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა... 1928 წელს ისევ გააგრძელა სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ უჩა ჯაფარიძე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუშაობა დაიწყო საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მხატვრის შემოქმედება განუწყვეტლივ საზრდოობს რეალური სინამდვილის მიერ ნაკარნახევი იდეებით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ უჩა ჯაფარიძის გატაცება მშობლიური კუთხის დამახასიათებელი მასალების შეგროვებითა და ამ კუთხის ტიპაჟების შეწავლით. მან შესანიშნავად აღმოაჩინა ტილოზე თავისი კუთხის მრავალფეროვანი პეიზაჟი და ნაცნობი ტიპები. დინჯი, გამრგე რაჭველი გლეხის შრომისა და ყოფის სახეატი საშუალებებით ჩვენების მებატონე გახდა.

უჩა ჯაფარიძე ფერწერასა და გრაფიკაში ერთნაირი ოსტატობით მუშაობდა. ფერწერაში მის სტიქიას ხან უნარულად რთული, ხან კიდევ ერთი თუ ორ-სამფიგურიანი კომპოზიციები წარმოადგენდა, მაგრამ პეიზაჟები, როგორც სურათის აუცილებელი კომპონენტი, თითქმის ყოველგან გვხვდება. ამ სერიის ნაწარმოებებიდან უნდა დავასახელოთ „შესვედრა“, „კოლმეურნე უწერიდან“, „ქალი ჩაფით“, „სიყრმის მეგობარი“, „საკოლმეურნეო ბაზრობა“, „ბაბუას სიხარული“, „მგზავრების შესვენება“, „დედა“, „ღარელი კოლმეურნე ქალი“ და მრავალი სხვა.

უჩა ჯაფარიძის ფერწერისათვის დამახასიათებელია კოლორიტისა და კომპოზიციური აგების მეტად ოსტატური შერწყმა, შუქჩრდილების ჰაეროვანი გადახვედები, მკვეთრი და ინტენსიური მრავალფეროვანი ტონალობა, ნაწი და მელოდიური გამეხი.

ყურადღებას იქცევს ისტორიულ-რევოლუციურ სიუჟეტებზე განხორციელებული მხატვრის მრავალფეროვანი ტილოები. ამ დარგში პირველი ცდები იყო მოსკოვში მუშაობის დროს შექმნილი „გლეხთა აჯანყება გურიაში“. შთამბეჭდავია აგრეთვე „პარიზის კონფერენციაზე“, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია „თბილისის 1901 წლის საპირველმართო დემონსტრაცია“. საშუალო ზომის მრავალფიგურიანი კომპოზიცია, უპირველეს ყოვლისა. ყურადღებას იქცევს 30-იან წლებში რევოლუციურ თემათა ჩვენების შტამბად დადგენილი ტრადიციის დარღვევით.

უჩა ჯაფარიძის მრავალფეროვან შემოქმედებაში პორტრეტულ უნარს თვალსაჩინოდ ადგილი უკავია. პირველი პორტრეტი მამის გამოსახულებით მხატვარმა 1922 წელს შეასრულა. მომცრო ზომის ქაღალდზე ფანქრით პროფილში გამოსახული საყვარელი მამის სახეში, მსგავსებასთან ერთად, გამომჟღავნებულია შინაგანი ხასიათის გადმოცემის უნარიც.

იშვიათად შეგვხვდებათ ისეთი მხატვარი, ვისაც დიდი რუდუნებით არ შეექმნას საყვარელი დედის პორტრეტი, მაგრამ სხვა უჩას ქმნილებები: „დედის ფიქრები“, „დედა“. ისინი გვხიბლავენ არა მარტო ფერთა სიუხვით, კომპოზიციური გადაწყვეტით, არამედ, უმთავრესად, მოდელის გააზრებით. მხატვრის დედა ყველგან ჩაფიქრებულია, შეწუხებულია, მომავალი ამბების მოლოდინშია. ქართველი დედის ეს ნიშანდობლივი თვისებები მხატვარმა დიდი ოსტატობით გადმოსცა.

პორტრეტის თემაზე მუშაობისას მხატვარი მოდელში ყოველთვის ეძებს ნიუანსებს, მიმართავს დეტალების კონკრეტიზაციას, რათა ერთმანეთისაგან განსხვავებულად გადმოგვეცეს ადამიანების მიდრეკილებები, განცდები, შინაგანი ფსიქოლოგია და ხასიათები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ზ. ფალიაშვილის, ი. იმედაშვილის, უ. ჩხეიძის, ვ. ანჯაფარიძის, გ. ტაბიძის, კ. კეკელიძის, ვ. ბერიძის, შ. ამირანაშვილის, საბჭოთა კავშირის ღმირის მ. გახოციძისა და სხვათა პორტრეტები, ცალკე აღნიშნავს იმსახურებს ვ. ი. ლენინის გრაფიკული პორტრეტი. მხატვარმა მოახერხა დიდი ბელადის იერსახის ორიგინალურად გადმოცემა. მეტად მდიდარ მხატვრულ ლენინიანაში უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებულ პორტრეტს თვალსაჩინოდ ადგილი აქვს მიკუთვნებული.

უ. ჯაფარიძემ თავი გამოიჩინა ლიტერატურულ ნაწარმოებთა ილუსტრაციების სფეროშიც. ილია ჭავჭავაძის „აკაკი ყაჩაღის“ დასურათება კომპოზიციური აგებულებით, ნახატის სიძლიერითა და გამოსახული გმირების შინაგანი განწყობილების გადმოცემით დამოუკიდებელ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება. მხატვარმა თავისი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაში. ხელოვანი მიიღროვის, რუსთაველის ეპოქისათვის დამახასიათებელი დეტალების მეტად თავისებური გამოყენებით ჩვენს წინაშე გააცოცხლოს ყველა ქართველი ადამიანისათვის ძვირფასი პერსონაჟები და პოემის სიუჟეტის ცალკეული ფრაგმენტები.

უჩა ჯაფარიძის შემოქმედებას კარგად იცნობენ მთელ საბჭოთა კავშირში და სა-

ზღვარგარეთაც. 1933-1936 წლებში მხატვარი მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მან სსრ კავშირის ხალხთა მუზეუმის დაკვეთით რამდენიმე ნაწარმოები შექმნა. ჩვენს სამშობლოს დედაქალაქში მოწუხილ საკავშირო გამოფენებზე უჩას ხელოვნების ნიმუშებს ბევრჯერ მოუწიბლავს დამთვალიერებლები. მისი შემოქმედების საუკეთესო ნაწარმოებთა კოლექცია მოძრავი გამოფენის სახით ნაჩვენები იყო მოძმე რესპუბლიკებში. 1953 წელს კი მხატვრის ერთი საუკეთესო ნაწარმოები „შეხვედრა“ ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე აღინიშნა საპატიო ჯილდოთი. მხატვრის შვიდი ნამუშევარი ამჟამინდელ ალმასავლეთის ხალხთა ხელოვნების მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმისა და ტრეტიაკოვის გალერეის ექსპოზიციებს. მისი ნაწარმოებები სხვა რესპუბლიკების მუზეუმებშიც გვხვდება.

1954 წელს ბათუმის რევოლუციური მუზეუმის ახალი შენობის აგებასთან დაკავშირებით მე დამევალა მომეწყო განახლებული ექსპოზიცია. ამ მიზნით გავემგზავრე თბილისში, მოვინახულე უჩა ჯაფარიძე და ვთხოვე საქართველოს რევოლუციური წარსულის თემაზე შესრულებული რომელიმე ნაწარმოების გადმოცემა. მან დიდი სიამოვნებით მომისმინა და მითხრა: სამი წელი დამჭირდა შემექმნა მრავალფეროვანი კომპოზიციის „საპირველმისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს“ ორი ვარიანტი. ერთი მათგანი, შესრულებული მონუმენტური ფერწერის ტექნიკით, შეიძინა საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა. მეორე ვარიანტი, განხორციელებული დაზგური ფერწერის სტილით, შემიძლია გადმოგცეთ თქვენ უსასყიდლოდ, რადგან მე ძლიერ მოწიბვებული ვარ ბათუმით... მე ეს ნაწარმოები წამოვიღე. აქედან ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ნაცნობობას, რაც მალე ახლო მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა.

უჩა ჯაფარიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს კუთხესთან. იგი აჭარას აფასებდა არა მარტო ეკონომიკური მიღწევებით, არამედ პატივს ცემდა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოპოვებულ წარმატებებსაც. მისი ინიციატივით 1971 წელს (პირველად საქართველოში) მხატვართა კავშირის პრეზიდენტი გამსვლელი სესია ბათუმში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის მხატვართა გაერთიანებების წარმომადგენლები. მან, როგორც მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, შეაჯამა შედეგები და აღნიშნა: სასიამოვნოა, რომ აჭარის მხატვართა კავშირი გაიზარდა, როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად. მოვიდა ახალი თაობა, რომელიც მაცოცხლებელ ნაკადად შეიჭრა ძირითადს ბირთვში, მოიტანა საკუთარი ხელწერა, ზედვა.

1972 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩატარდა საქართველოს მხატვართა VIII ყრილობა, მისი გამგეობის თავმჯდომარემ უჩა ჯაფარიძემ ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა სტატია „მხატვარი და დრო“, რომელშიც აღნიშნა: „რაიონებში მომუშავე მხატვართა შორის ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან აჭარაში მ. ბოლონძე, შ. ზამთარაძე, დ. და ხ. ინაიშვილები, შ. ხოლუაშვილი, ა. ფილიპოვი, ხელოვნებათმცოდნე ვ. შარაშიძე“. უჩა ჯაფარიძე ყოველთვის დიდ მწრუნველობას იჩენდა აჭარის მხატვართა კავშირის საქმიანობისადმი. მის სახელთან არის დაკავშირებული ბათუმში 1970 წელს საგამოფენო დარბაზის გახსნა.

როგორც ცნობილია, 1986 წლის 24 იანვარს ქართველ კომუნისტთა ფორუმს უჩა ჯაფარიძემ გაუგზავნა წერილი. მან ყრილობის მონაწილეებს მიმართა თხოვნით, რომ იგი მის ბინა-სახელოსნოს, მთელ თავის შემოქმედებით მემკვიდრეობას გადასცემს მშობლიურ ხალხს, საყვარელ თბილისს. ამ წერილმა დიდად ააღელვა ყრილობის დელეგატები, რესპუბლიკის ყველა მშრომელი. 26 იანვარს, კვირადღეს, უჩა ჯაფარიძეს ეწვივნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები. მათ მხცოვან მხატვარს უთხრეს, რომ მის-

მა გადაწყვეტილებამ — საჩუქრად გადასცეს მშობლიურ ხალხს თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა — წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და დიდი მადლობა გადაუხადეს მას.

1982 წელს მოსკოვში რუსულ და ინგლისურ ენებზე რუბრიკით „სსრკ კავშირის სამხატვრო აკადემიის ოსტატები“ დიდი ტირაჟით დაიბეჭდა მოზრდილი ზომის ალბომი „უჩა ჭაფარიძე“, რომელსაც წამძღვარებული აქვს აკადემიკოსის, ხელოვნებათმცოდნე ლეხედევის შესავალი წერილი, სადაც ვრცლად არის მიმოხილული დიდი მხატვრის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ალბომში მოთავსებულია უჩა ჭაფარიძის 107 ნამუშევარის რეპროდუქცია და ოჯახური ცხოვრების ამსახველი 6 ფოტოსურათი.

მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი სუდოუნიკმა“ ორჯერ (1968 და 1978 წლებში) დაბეჭდა ღია ბარათების კომპლექტები, სადაც მოთავსებულია უჩა ჭაფარიძის ნამუშევრების რეპროდუქციები.

უჩა ჭაფარიძე სიამაყით ამბობდა, ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვიყი ხალხის სიყვარულს და აღიარებას...

ხალხის სიყვარული და აღიარება წაშყვა მას თავისი ცხოვრების უკანასკნელ გზაზე.



ფოტო აურთი

სასიათის შესახებ

მაქსიმ გორკი ლიტერატურას ადამიანთმცოდნეობას უწოდებდა. ამისათვის მას სრული საფუძველი ჰქონდა. ხელოვანი ისე ვერ ასახავს სინამდვილეს, ცხოვრებას. თუ არ გვიჩვენა ადამიანები, მათი ზრახვები და გრძნობები, ინდივიდუალური ფსიქიკური თვისებები, პრაქტიკული საქმიანობა.

საქმე ის არის, რომ ყოველ კონკრეტულ ადამიანს აქვს თავისი ცხოვრებისეული კრედიტო, რომლის შესაბამისადაც იგი მოქმედებს, ამყარებს ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენისადმი. ეს კრედიტო გამოხატავს მის ხასიათს, ანუ ზრახვებისა და გრძნობების, დამახასიათებელ ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობას. თუ მწერალმა ვერ გამოკვეთა ლიტერატურული პერსონაჟის ხასიათი, ამაოდ დაშვდება — ვერ მოგვცემს სინამდვილის მართალ სურათს, ღრმად ვერ ჩაგვახედებს ადამიანების სულიერ სამყაროში და, მაშასადამე, ვერც ასახული დროის პრობლემებში გაგვარკვევს. ამით აიხსნება, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებებს, უპირველეს ყოვლისა, იმიტოვანვს საზღვრავთ, თუ რაოდენ სრულად გამოიხატა მასში ადამიანების ხასიათი.

შემთხვევითი როლი იყო, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის კრიტიკა საგანგებო ყურადღებას უთმობდა ხასიათებს და მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ცნობილი მწერალი და კრიტიკოსი ანტონ ფურცელაძე, მაგალითად, ერთ-ერთ სტატიაში საზგასმით აღნიშნავდა, რომ მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირთა ხასიათები „შეადგენს თვითქმის თხზულების პირველს ღირსებას და საჭიროებს: ყოველს თხზულებაში ყოველი მომქმედი პირი უნდა იყოს თავი ინდივიდუალის ორიგინალურობის მარტივის ხასიათით... ამ ხასიათებში უნდა ვხედავდეთ იმათაგანის ხაზის წარმომადგენელს პირს“. საგულისხმოა, რომ გიორგი ერისთავის პიესების უმთავრეს ნაკლად კრიტიკოსს სწორედ ამ მოთხოვნის უკმაყოფილება მიაჩნდა და წერდა: „აქ ზედმეტ თქვენ პირთ, სხვადასხვა აზრებისა და მიზანობის ბატონთ გუამთ, მაგრამ ხასიათს ამათსას კი ვერ არჩევთ, რომ ჰქონდეს რომელიმე მომქმედ პირს თავისი კერძოებითი ხასიათი...“

ესოდენ დიდ მნიშვნელობას რომ განიჭებთ ლიტერატურული პერსონაჟის ხასიათი გამოკვეთას, ბუნებრივია ვიკითხოთ: მაინც სად იღებს სათავეს პიროვნების ხასიათი როგორ ყალიბდება იგი, რა განაპირობებს ადამიანთა დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, საზოგადოებრივ მოვლენებთან?

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ხასიათი ადამიანს დედის საშოდან დაჰყვება, თავიდანვე დაპროგრამებულია და საზოგადოება, გარემო აქ არაფერ შუაშია — მას ვერანაირად

ვერ შეცვლის, ვერ გარდაქმნის. რა თქმა უნდა, ბევრი მოაზროვნე არ იზიარებს სასია-
თის ბიოლოგიურ წარმომადგენლობას და მის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებს
საზოგადოებას, გარემოს. ისინი ფიქრობენ, რომ საზოგადოების ღირსება-ნაყოფიანება-
ნი მეტ-ნაკლებად აისახება ცალკეულ პიროვნებათა ხასიათში.

სასიათის ფორმირებაში საზოგადოებას ანიჭებს პრიორიტეტს მარქსისტულ-ლენინ-
ისტური ეთიკაც. კერძოდ, პიროვნების ზრახვებსა და გრძნობებს რომ განიხილადა, ვ. ი.
ლენინი მიგვითითებდა, რომ ისინი „აუცილებლად გამომდინარეობენ ამა თუ იმ საზოგა-
დოებრივი წრიდან, რომელიც წარმოადგენს პიროვნების სულიერი ცხოვრების მასალას,
ობიექტს და რომელიც დადებითი თუ უარყოფითი მხრით იხატება მის „ზრახვებსა და
გრძნობებში“, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენლობაში“. ამრიგად,
ადამიანის ხასიათს საცხებიან ობიექტური საფუძველი აქვს და არსებითად წარმოადგენს
საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტს.

და რა საამაყოა, რომ ჩვენს დიდ წინაპრებს — ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს
და სხვებს ამ საკითხში მატერიალისტური, საცხებიან სწორი პოზიცია ეკავათ და მიაჩნ-
დათ, რომ თითოეულის ხასიათი უთუოდ ყალიბდება საზოგადოების ზეგავლენით. ეს
აზრი ჩვეულებრივ სიცხადით განავითარა ილია ჭავჭავაძემ. მისი სიტყვით, ყველა დრო,
ყველა საზოგადოება თავის დღეს ასვამს ადამიანს, ზემოქმედებს მისი ხასიათის ფორმი-
რებაზე და თითოეული ნამდვილი მწერლის უპირველესი ამოცანა გვიჩვენოს, თუ
„აი ამ დროს რა შეძლებია, რა კაცები შეუქმნია, რა ავ-კარგიანობა, მეტ-ნაკლებობა
ჰქონია, აი მაშინდელი კაცი რა აზრით, რა გრძნობით, რა ძლიერებით თუ უბედურე-
ბით შებნია თავის საკუთარს თუ საქვეყნო საქმეს და რა ზნე-ჩვეულება უტარებია
დროთა ვითარების გზაზე“.

და მართლაც, განა დრომ არ შექმნა, დროის პროდუქტი არ არის, ვთქვათ, ლუარ-
საბ თათქარიძე, ეს „ბრწყინვალე თავადი“? განა იგი უქნარა და საზოგადოების პარა-
ზიტი გახდებოდა, უშრომელი შემოსავალი რომ არ ჰქონოდა? თავისთავად ცხადია,
არა — თვით ცხოვრება აიძულებდა ოფლი ეღვარა და ისე მოეპოვებინა პური არსო-
ბისა, როგორც ამას მისი ყმები აკეთებდნენ. ამ ღებულებას საფუძველს ვერ გამოა-
ცვლის ის ფაქტი, რომ არჩილსაც და კესოსაც („ოთარანთ ქვრივი“) ჰქონდათ უშრო-
მელი შემოსავალი, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ დაცემულა პირუტყვის დო-
ნემდე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინდივიდის ფორმირებაზე მოქმედებს არა ერთი
რომელიმე ფაქტორი (ამ შემთხვევაში ეკონომიკური), არამედ მათი მთელი კომპლექსი,
მათ შორის აღზრდა, განათლება, ამხანაგ-მეგობრების წრე, ასაკი, ტემპერამენტი და
ა. შ. ამით აიხსნება, რომ არათუ საზოგადოებაში, არამედ ერთ ოჯახშიც კი იზრდება
სრულიად განსხვავებული ხასიათის პიროვნებანი — ერთი პატიოსანი, ალაღია,
მეორე კი ქურდი და თაღლითი. არ შეიძლება არც ხასიათის თვითაღზრდის დაფიქსე-
ბა, როტა ადამიანი თავად ხდება მოქმედების ბატონ-პატრონი და შეგნებულად აწეს-
რიგებს თავის ქცევას. ამის შესაძლებლობა ყველას აქვს. დიდი გერმანელი ფილოსო-
ფოსი ჰეგელი წერდა: „ადამიანს მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შეუძლია იზრუ-
ნოს ინტელექტუალური და მორალური სრულყოფისათვის“.

აქ ზედმეტი არ იქნება ისიც ვთქვათ, რომ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა წლე-
ბის მანძილზე მხოლოდ კლასობრიობის პრინციპს ეყრდნობოდა და ფაქტობრივად
უგულებელყოფდა სხვა გარემოებებს, რასაც არაერთი უმართებულო დასკვნა და
შეფასება მოჰყვა. არ შეიძლება ადამიანი მხოლოდ სოციალურ ერთეულად მივიჩნიოთ
და ამის მიხედვით ვიმსჯელოთ მასზე — თუ იგი გლენია ან მუშა, უსათუოდ ყოველი
ღირსებით შემკული უნდა იყოს, ხოლო თუ მემამულე ან კაპიტალისტია, პირიქით;

არ უნდა ჰქონდეს არც ერთი დადებითი თვისება, რაიმე ღირსება. ანტიკური სამყაროს უდიდესი მოაზროვნე არისტოტელე წერდა, რომ „ხასიათში ყველა ადამიანი განსხვავდება სიავით და სათნოებით“. რაკი ასეა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ავი ან სათნო, ბოროტი ან კეთილი მუშაც შეიძლება იყოს და კაპიტალისტიც. კონკრეტულ ადამიანზე კონკრეტულად უნდა ვიმსჯელოთ, რადგან, როგორც რუსული დემოკრატიული რევოლუციური აზროვნების კორიფე ნ. გ. ჩერნიშევსკი შენიშნავდა, ზემოხსენებული კონკრეტულია.

ამრიგად, ადამიანის ხასიათი ყალიბდება საზოგადოებაში გარემოებათა მთელი კომპლექსის ზემოქმედებით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქმის ადამიანი საზოგადოების სრული მორჩილი და პასიური არსება იყოს — ადამიანებსაც ძალუძთ უკუგავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე, თუ, რა თქმა უნდა, საჭირო სოციალურ აქტიურობას გამოიჩინენ. მარქსი და ენგელსი მიგვითითებდნენ, რომ გარემოებანი ისევე ქმნიან ადამიანებს, როგორც ადამიანები — გარემოებებს, ე. ი. მათ შორის დიალექტიკური კავშირია. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: თუ გვინდა ზღბის წინააღმდეგობრივი სრულყოფა, უკუგავლენა უნდა მოვახდინოთ საზოგადოებაზე, რათა გავაჩანსალოთ იგი. ეს ზემოხსენებული უცხო როლი იყო ჩვენი წინაპრებისათვის. კერძოდ, ცნობილი მუშლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე ამის თაობაზე წერდა: „საზოგადოების წინააღმდეგობრივი საზოგადოების მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსდევს და უამისოდ სრულიად შეუძლებელია“. ამას ადასტურებს ჩვენი დღევანდელიც. გარდაქმნა, რომელიც ახლა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში და მიზნად ისახავს სოციალიზმის დეფორმაციის, საზოგადოებრივ მანკიერებათა დაძლევის, განაპირობებს ადამიანთა წინააღმდეგობის, ხოლო საზოგადოების თითოეული წევრის მორალური ხასის სრულყოფა აჩქარებს გარდაქმნის პროცესს.

ერთი სიტყვით, ადამიანის ხასიათის ფორმირებაზე დიდია საზოგადოების ზეგავლენა, მაგრამ სად, როგორ ავლინებს ესა თუ ის პიროვნება თავის ხასიათს, რა ნიშნების მიხედვით შეგვიძლია მისი სულიერი ზრახვების, გრძნობების შეფასება? ე. ი. ლენინს მაინც, რომ „ასეთი ნიშანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ პიროვნებათა მოქმედება“. მაშასადამე, ადამიანი თავის ხასიათს ავლინებს პრაქტიკულ საქმიანობაში და სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობა უნდა შეფასდეს არა სიტყვის, არამედ საქმის მიხედვით. ცხოვრება თითოეული ჩვენგანის წინაშე აყენებს მთელ რიგ პრობლემებს და გვაძულებს გავაკეთოთ არჩევანი, თავად გადაწყვიტოთ, რა გზას დავადგეთ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა ადამიანებთან თუ საზოგადოებრივ მოვლენებთან დამოკიდებულებაში. აი ამიტომ წერდა თავის „პოეტიკაში“ არისტოტელე: „ხასიათი არის ის, რაც განსაზღვრავს, თუ როგორია გადაწყვეტილება“. გოგია უიშვილიც შეუბრაძეს ყვეს (ოჯახი აუწიოკეს, საჯაროდ გაროზგეს) და სიმონა ძალაძეც (ქურდობა დასწამეს, ცოლი გაუბანეს), მაგრამ მათი საბასუნო საქციელი, ე. ი. გადაწყვეტილება სულ სხვადასხვანაირი აღმოჩნდა — ერთმა თავი მოიკლა, ხოლო მეორემ შური იძია, მოძალადე სიცოცხლეს გამოასალმა. ორივე შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ხასიათმა განსაზღვრა გადაწყვეტილება და ჩვენც იმის მიხედვით ვაფასებთ თითოეული მათგანის საქციელს, თუ როგორი იყო მათი არჩევანი. ამის გამო, არისტოტელეს აზრით, მწერალმა ლიტერატურულ პერსონაჟს არ უნდა წარმოატქმევინოს „ის სიტყვები, საიდანაც არ ხდება ცხადი, თუ რას ირჩევს ვინმე, ან რას გაურბის იგი. ან ისეთები, სადაც სრულად არ არის მოცემული, თუ რას ირჩევს ან რას გაურბის მოქმელი“.

რამდენადაც ადამიანი თავის ხასიათს ავლინებს მოქმედებაში, გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თვით ამ მოქმედების სრული სიმართლით, უტყუარად და დამა-

ჭერებლად ასახვა. ლიტერატურული პერსონაჟი უნდა მოქმედებდეს სასიათის სრულ-
ლი შესაბამისობით და არა ავტორის სურვილისამებრ. „ყველა მოქმედი პირი, — წერ-
და ერთ-ერთ სტატიაში ანტონ ფურცელაძე, — უნდა იყოს თავის სასიათთან შესაბამისად
ავის თუ კარგის ზნით, თავისი აზრით, თავისი გუგეით; ყველა პირი უნდა მოქმედებდეს
ვამდეს საზოგადოებისა, განა საზოგადოების პირთ, რომელსამე მხარესა... ეს პირნი
უნდა იყვნენ ცოცხალნი, რომელნიც თავისი სინანდლით შესაძლებელნი იყვნენ და
არსაილამ ჩამოტაცებულნი, ან ავტორის ოცნებით განსპეტაკებულნი“. ფრად სა-
გულისხმოა, რომ ამ მოთხროვის დაუცველობისათვის კრიტიკოსმა თავისი თავიც კი არ
დაინდო და ავტორტეცენზიაში, ხადაც საკუთარი მოთხოვნის „სამის თავდასაყალი“-
აგ-კარგი მიმოიხილა, განაცხადა, რომ ამ ნაწარმოების გმირი სვიმონ ბაღლაძე „არ არის
შეფლი ჩვენი საზოგადოებისა“, ე. ი. „ავტორის ოცნებით განსპეტაკებული“ და საიდა-
ნდაც „ჩამოტაცებულია“.

როგორც წესი, ასე ემართებათ იმ მწერლებს, რომლებიც ლიტერატურულ პერ-
სონაჟს თავს ანგევენ საკუთარ ზრახვებს, საკუთარ გრძნობებს და აქცევენ მას უზრალო
რეზონანსად, ტიკინად. სუბიექტივისტ სოციოლოგებს ე. ი. ლენინი სწორედ იმისათ-
ვის აკრიტიკებდა, რომ ისინი ანგარიშს არ უწყევდნენ რეალურ პიროვნებებს, რეალურ
ფაქტებს, თქვენ, მიმართავდა იგი მათ, „გამოსავალ წერტილად იღებთ არა „ცოცხალ
პიროვნებას“ იმ „ზრახვებითა და გრძნობებით“, რომლებიც მართლა იქმნებიან მისი
ცხოვრების პირობებით, წარმოებითი ურთიერთობის ამა თუ იმ სისტემით, არამედ
ტიკინას, და საკუთარი „ზრახვებითა და გრძნობებით“ უტენით მას თავს. ცხოვრება
განზე გრჩებათ, თქვენ კი ცხოვრებას განზე რჩებით“. ასე რომ არ მოხდეს, მწერა-
ლმა უნდა გვიჩვენოს რეალური პიროვნება თავისი რეალური სასიათით და არა
გამოგონილი და შეთხზული.

არც ის არის მოსაწონი, როცა მწერალი მოქმედების აუხსავად ცდილობს ლიტერ-
ატურული პერსონაჟის სასიათის ჩვენებას. ხვსებით მართალი იყო არისტოტელე-
როცა წერდა, მთავარია წარმოვჩინოთ მოქმედება და მასში სასიათი თავისთავად გამო-
იყვებოდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ ავსახავთ პიროვნების მოქმედებას, ავსახავთ
მის სასიათსაც. სამწუხაროდ, ზოგიერთი ამას იფიქრებს, ან უნარი არ შესწევს მოქმედო-
ბის მეშვეობით „გამოიჭიროს“ სასიათი. ილია ჭავჭავაძე ასეთ პრაქტიკას მიუტევებდა,
მხატვრული ნაწარმოების დიდ ნაკლად თვლიდა. ქართულ თეატრში წარმოდგენილ
დრამებს რომ განიხილავდა, იგი ერთ-ერთ რეცენზიაში დიდი გულისტკივლით წერდა:
„არც ერთ დრამაში სული და გული აღამიანისა თავისით არ მოქმედობს, თავისდა ბუნე-
ბისამებრ არ იშლება, არ იხსნება მოქმედებაში. თითონ ავტორები მოქმედეთა პირით
გვეუბნებიან, ეს ასეა, ეს ისეა, მაშინ, როდესაც ამაგებს ჩვენ თითონ უნდა ვხედავდეთ,
ჩვენ თითონ უნდა ვგრძნობდეთ საქმით და არა ავტორის სიტყვითა“. ცხადია, ეს
შენიშვნა ეხება არა მარტო დრამას, არამედ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებსაც. მწე-
რალი თვითონ კი არ უნდა ახსიათებდეს ლიტერატურულ პერსონაჟს, თვითონ კი
არ უნდა გვაცნობდეს მის ავ-კარგს — ჩვენ უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას ამ
პერსონაჟის მოქმედებაში თავად „ამოვიკითხოთ“ სასიათი.

სასიათი არც მაშინ იქნება სრული და მართალი, თუ მასში მკაფიოდ, რელიეფო-
რად არ ჩანს ეროვნული. როცა ზაზს ვუსვამთ საზოგადოების პრიმატს პიროვნების სა-
სიათის ფორმირებაში, ვგულისხმობთ მის ეროვნულ გარემოსაც. უდავოა, რომ ამა
თუ იმ ხალხის საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები
უთუოდ თავს იჩენს პიროვნების სასიათში. სამწუხაროდ, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ
გამოჩნდნენ „ინტერნაციონალიზტები“, რომლებიც ურცხვად გვიმტკიცებდნენ, თითქოს

საბჭოთა სინამდვილემ წამალა ყოველგვარი ეროვნული ადამიანთა სასიათში და საბჭოთა ადამიანი არის სრულიად ახალი ფენომენი, რომელიც თავის თავში არ ატარებს არცერთი ეროვნების ნიშან-თვისებას. ასეთ „ინტერნაციონალიზმს“ თვით ტერმინი პრაქტიკა უარყოფს. განა შეიძლება სერიოზულად ვამტკიცოთ, თითქმის რუსულად ვამტკიცოთ, რომ თუ უზბეკში არაფერი ეროვნული აღარ დარჩა? განა მართალი ვიქნებით ვთქვათ, რომ დგორეცის ჩეშეკოვში არ ჩანს რუსი ადამიანი, ხოლო ფანჯიკის სილაშელში — ქართველი? საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგ-ზოგებმა ფაქტობრივად ეროვნულ ლიტერატურათა ლიკვიდაციაც კი მოითხოვეს — ყველამ, რუსია ის, ქართველი თუ სომეხი, რუსულად უნდა წეროს და არა მშობლიურ ენაზე.


ლიტერატურული პერსონაჟის დიდი ღირსებაა და არა ნაკლი, თუ მასში სრულიად გარკვევით ვხედავთ ამა თუ იმ ეროვნების შეილს. ეროვნული ნიშან-თვისება კი არ გამოირიცხავს ზოგადკაცობრიულს, პირიქით, უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს მას. შექსპირის ლირი, დოსტოევსკის კარამაზოვი, სტენდალის სორელი მსოფლიო ტიპები არიან, ზოგადკაცობრიული, მაგრამ ვის ეეჭვება, რომ ერთი ინგლისელია, მეორე — რუსი, ხოლო მესამე — ფრანგი? თუ აქ გავისწავნებთ ილია-აკაკის პაექრობას „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა თაობაზე, პირდაპირ უნდა ვთქვათ: შეიძლება აკაკიმ გადააჭარბა, როცა ტარიელი, ავთანდილი თუ ფრიდონი საქართველოს ცალკეული კუთხეების წარმომადგენლებად მიიჩნია, მაგრამ მათს ქართველობას რომ გაუსვა ხაზი, საცხებით მართალი იყო. დიდი მწერლების მიერ გამოკვეთილი სასიათები სწორედ იმით გვსიბლავს, რომ მათში ჩანს ზოგადკაცობრიულიც და ეროვნულიც.

იხევე, როგორც ზოგადკაცობრიული და ეროვნული, ადამიანის სასიათში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ტიპობრივი და ინდივიდუალური. ფრიდონს ენგელსი შენიშნავდა, რომ მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რას აკეთებს პიროვნება, არამედ იმასაც, თუ როგორ აკეთებს, ე. ი. მწერალმა უნდა გვჩვენოს ლიტერატურული პერსონაჟის მოქმედების შინაარსიც და ფორმაც. ანტონ ფურცელაძე რომ წერდა, ყოველ მოქმედ პირს უნდა ჰქონდეს „თავისი კერძოობითი სასიათი...“, სწორედ ამას გულისხმობდა — სასიათის ინდივიდუალიზაციას. ვინ არ იცის, რომ ადამიანის სასიათი შეიცავს ტიპობრივსაც და ინდივიდუალურსაც და მათი ორგანული მილიანობით წარმოიქმნა ძალზე ძნელი, რთული საქმეა — მოითხოვს ცნობერებისა და ადამიანების ღრმა, ყოველმხრივ ცოდნას. ამიტომ ამბობენ, რომ მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია ისეთი სასიათების გამოკვეთა, რომლებიც არ ჰგვანან ერთმანეთს, არ იმეორებენ ერთი მეორეს. ამ მხრივ გამოირჩევა მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედება. მის „ჩაყოს ზინებში“ რამდენი ლიტერატურული პერსონაჟია, იმდენივე სასიათია. კიდევ მეტი — ბელეტრისტის თითქმის ყოველ თხზულებაში ახალ-ახალი სასიათებია, განსხვავებული არა მარტო მოცემული, არამედ სხვა ნაწარმოებთა პერსონაჟებისაგანაც. ყველას თავისი ინდივიდუალობა, ანუ „კერძოობითი სასიათი“ აქვს.

დასასრულ იხიცი უნდა ვთქვათ, რომ ადამიანთა სასიათი არ არის ერთგულ და სამუდამოდ მოცემული. შეიძლება მან სრულიად სხვა ელფერი მიიღოს საზოგადოებრივი თუ პირადული ფაქტორების ზეგავლენით, ცნობერების პირობების გაუმჯობესების თუ გაუარესების, პირადი ტრავმების შედეგად. სხვათა შორის, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად და ნოვატორული ბუნების უპირველეს ნიშნად ის გარემოება მიაჩნდათ, რომ იგი გვიჩვენებდა არა გაქვავებულ, უცვლელ, არამედ განვითარებად, დინამიურ სასიათებს, რატომღაც ვიფიქრებდით, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა შეცვლასთან ერთად ადამიანის სასიათი ყველგან და ყოველთვის განიცდიდა გარკვეულ ცვლილებას. ასე რომ არ იყოს, კაცობრიობის ზნეობრივ პროგრესზე

დაპირაფიც კი უხერხული იქნებოდა. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ადამიანის
ზასიათი იცვლება არა მარტო საზოგადოებრივი ფაქტორების ზეგავლენით, არამედ
პიოადი უბედურების შედეგადაც. გავიხსენოთ თუნდაც ბახვა ფულავა (გ. წერეთლის
„პირველი ნაბიჯი“), როგორ მკვეთრად შეიცვალა ამ კაცის ცხოვრების წილი და ხასია-
სი ესმას დაღუპვის შემდეგ.

ასე რომ, ზასიათი არის ყოველი მხატვრული ნაწარმოების ღერძი, სული და გუ-
ლი. მხოლოდ მისი მეშვეობით შეგვიძლია ამოვიცნოთ ღრო და ადამიანები, რა ულხინს
და რა აწუხებს პიროვნებას, ანუ, დიდი ილიას სიტყვები რომ გავიმეოროთ, „რა აზრით,
რა გრძნობით, რა ძლიერებით თუ უბედურებით შებმია თავის საკუთარს თუ საქვეყ-
ნო საქმეს და რა ზნე-ჩვეულება უტარებია ღრთა ვითარების გზაზე“. აი ამიტომ,
თუ ზასიათში ვერ გავერკვეით, ვერც მხატვრული ნაწარმოების მიზანდასახულობას
ჩავწვდებით, რამდენადაც ზასიათი არის მისი შინაარსის გამოვლენის ფორმა. რამდენი
მაგალითია იმისა, მკითხველები სხვადასხვანაირად რომ აღიქვამენ და აფასებენ ერთსა
და იმავე ზასიათს. აქ, რა თქმა უნდა, უკანასკნელ როლს არ ასრულებს ის ფაქტი,
რომ ჩვენ ყველას ცხოვრებასა და თუ ადამიანებზე გარკვეული აზრი, შეხედულება
გვაქვს და ამის მიხედვით მოგვწონს ან არ მოგვწონს ამა თუ იმ ლიტერატურული
პერსონაჟის ზასიათი. „როგორც ჩვენ ვართ, — წერდა ამის თაობაზე გამოჩენილი გე-
რმანელი ფილოსოფოსი ფიხტე, — ისეთად მივიჩნევთ ადამიანს საერთოდ და მის და-
ნიშნულებას“. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს არ გვქონდეს პირო-
ვნების ზასიათის შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. ეს კრიტერიუმი შეიძლება იყოს
მხოლოდ ერთი — ხელს უწყობს თუ არა ადამიანთა ურთიერთობის გაჯანსაღებას
და კაცობრიობის პროგრესს, მაღალი ზნეობის დამკვიდრებას.



ენათმეცნიერება ქართულ საზოგადოებაში

ენციკლოპედიაში

დასრულდა ქართული საზოგადოების ენციკლოპედიის გამოცემა. 1987 წელს მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ამ საზოგადოებრივი საქმის დამაგვირგვინებელი ბოლო ტომი. ქართული საზოგადოების ენციკლოპედიის (შემოკლებით ქსე) თერთმეტტომეულის გამოცემას 12 წელი მოუწია (ტომი I, 1975 წ. დაიბეჭდა). მასში მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად საქმით აღიღი უჭირავს ენათმეცნიერებას. ენისა და ლიტერატურის რედაქციის სამეცნიერო საბჭოს ენათმეცნიერების სექცია სავსებით სწორად მოიქცა, როცა ჯერ კიდევ 1970 წელს ცალკე დაიბეჭდა „ენათმეცნიერებას სიტყვანი“, რომელშიც შევიდა სტატიათა მოცულობა და აპარატურის მინიშნება.

ქსე-ში ენათმეცნიერება წარმოდგენილია სულ 9 დარგით — ზოგადი ენათმეცნიერება, ენათმეცნიერების ისტორია, ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია-სემანტიკა-ლოგია, გამოყენებითი ლინგვისტიკა, დამწერლობა-პალეოგრაფია, მსოფლიოს ენები და პერსონალია.

ქსე-ის თერთმეტტომეულის ენათმეცნიერო სტატიები მეტწილად წარმოდგენილი, როგორც ამის შესაძლებლობას ანბანის რიგი იძლეოდა.

ქსე-ში მკითხველი იპოვის მსოფლიოში ამჟამად არსებული 5651 ენიდან ქართული ენათმეცნიერებაში მოღვაწე სისტემატიკით ბევრი ენობრივი ოჯახისა და ქალაქი ენების (ცოცხალი, მკვდარი) შესახებ ცნობებს, აქვე ვრცელდება წარმოდგენილი იბერიულ-კავკასიური ენების ყველა ოცდაცამეტი წევრი (12 სამწერლო და 21 უმწერლო). უაღრესად საყურადღებო ფაქტია, რომ ენციკლოპედიამ უპირატესობა მიანიჭა ტერმინს „იბერიულ-კავკასიური ენები“ და უკუაგდო დღემდე პრაქტიკაში ხმარებული „კავკასიური ენები“. აქვეა ნ. მარსელი ტერმინიც („იბერიული ენები“, V, 64), მაგრამ არ არის „ქართულ-მარომატული ენები“ (რომელიც 1937 წელს ივ. ჯავახიშვილმა იხმარა), და სამართლიანად, რადგან მან ვერ პოვა საყრდენი ალიაზები.

საენათმეცნიერო ტერმინოლოგიიდან სისტემით არის შესული ქართული ენათმეცნიერების წიაღში წარმოშობილი ლინგვისტური ტერმინები, რომლებიც აბრეზებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ენციკლოპედია ლექსიკონის ახალი ტიპია, რომელმაც უნდა დაკმაყოფილოს ქართული მკითხველის ფართო მასების კულტურული მოთხოვნები „ხალხისათვის ყველაზე საჭირო წიგნი მისი ენის ლექსიკონია“ (ვოლტერი).

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქსე-ში ენათმეცნიერული ტერმინოლოგია დიდი მეცნიერული სიფრთხილით არის შერჩეული, ათასჯერ გაზომილ-აწონილია თითოეული მათგანის სემანტიკა, წყაროები ზუსტად, უშეცდომოდ არის მითითებული არა მარტო ქართულ, არამედ სხვა ენებზეც, ტერმინთა დეფინიციისას მაქსიმალურად გათვალისწინებულია ის ჰერმეტიკა, რომ ყოველი სიტყვის სემანტიკის გასაღებს იმ

კონტექსტის ვითარება წარმოგვიდგენს, რომელშიც იგი გვხვდება: ცალკე აღებული სიტყვის ფუნქცია და სემანტიკური ღირებულება ტექსტში, ფრაზაში, წინადადებაში ჩანს. ერთი სიტყვით, „კონტექსტის გარეშე სიტყვის მნიშვნელობა ჩვეულებრივ სემანტიკური და არასარწმუნო ჩანს“ (არნ. ჩიქობავა).

შენიშნება, რომ დეფინიციისას ყურადღებას ცენტრი გადატანილია (და საესეებით მართებულადაც) არსებითზე, დამახასიათებელზე; განმარტება ზუსტია, სხარტი და მარჯვეა; სიტყვის მნიშვნელობა დანაწევრებული არ ჩანს, ცნობები საგნისა და მოვლენის შესახებ დეტალურადაა გადმოცემული. დეფინიციებით სიტყვის სემანტიკას ვეცნობით; გამოყენებულია ნაირფეროვანი წყარო. ზუსტად არის მიგნებული სიტყვის მნიშვნელობა; განმარტებისას წარმოდგენილია სიტყვის მნიშვნელობის არსებითი მხარე, რამაც გამოიწვია მისი სიმოკლე და ფრაზათა ლაკონიურობა.

აქ დაკვირვებული თვალი იპოვის ბევრ ისეთ სტატუსს, რომლებსაც დამოუკიდებელი გამორკვევის ღირსება აქვს; კარგია, რომ ავტორები სიტყვას სხვადასხვა მხრით აღიქვამენ, გაურბიან მრავალსიტყვიანობას, განმარტებას, ლექსიკურ ერთეულებს ნაირნაირი განხილვებით წარმოგვიდგენენ.

ასეთია ჩვენი ზოგადი შთაბეჭდილება ენციკლოპედიის ენათმეცნიერულ ნაწილზე. მის ყოველ სიტყვას, წინადადებას, გვერდს ეტყობა გამოცდილი და უაღრესად ნიჭიერი ლექსიკოლოგების ხელი.

როცა ვესხებით წმინდა ლექსიკოგრაფიულ საკითხს — ენციკლოპედიაში განმარტების მეცნიერულ დონეს — უნდა შევნიშნოთ, რომ იდეალურად ითვლება ისეთი დეფინიცია, როცა ახსნა-განმარტებაში არ არის განმეორებული განსამარტავი ლექსიკური ერთეული. ეს არის განმარტების მნიშვნელოვანი წესი. თანაც მსგეველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ენციკლოპედიაში აღნიშნება უმთავრესად არაენობრივი სიანადვილე: აღამიანება, საგნები, დასახელებული ადგილები, ტოპონიმიკური ერთეულები, სახელმწიფოები, მოვლენები, ამბები, აღამიანთა ხელობა, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგები... იმასაც კი შენიშნავენ, რომ ენციკლოპედია ლექსიკონი არ არის და არა აქვს ურთიერთობა ლექსიკოგრაფიასთან. ერთადერთი, რაც მას ლექსიკონთან ანათესავენ, მასში წარმოდგენილი მასალის ანბანის რიგზე გაწყობაა. (ამ მოსაზრებას ბევრი მომხრე არა ჰყავს), საგნის თუ მოვლენის მეცნიერულ განსაზღვრას ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ პრობლემად სახავენ. რამდენადაც ეს მხარე ენობრივი საშუალებებით გამოიხატება, იგი ენათმეცნიერებას მიეკუთვნება. სპეციალურ ლიტერატურაში ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება ტერმინის დეფინიციას, რაც იძლევა საერთო წარმოდგენას განსამარტავ სიტყვაზე, ათეიდან გვაცილებს ორაზროვნებას, რაც შეიძლება წარმოიშვას მისი გამოყენებისას.

ქსე-ს ყოველი ლინგვისტიკური სტატია, მინი — ნარკვევი თუ მაქსი — წერილი საკითხის დიდი ცოდნით, გამოცდილებით, მეცნიერულ კეთილსინდისიერებით, შესანიშნავი, ლაღი და მომხიზვლელი ლიტერატურული ქართული ენით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონის საფუძველზეა აგებული. ენათმეცნიერების მასალებიდანაც, მაგალითებიდანაც აშკარაა, თუ რა დიდი მიღწევები აქვს ქართულ ლინგვისტიკას სხვა დარგებთან ერთად, როგორ განვითარდა, გაიფუროვნა და პოლივალენტოვანი გახდა ჩვენი სალიტერატურო ენა, რომელიც ქართველი ერის კულტურულ მოთხოვნებს ემსახურება და მისი წინსვლის იარაღია, მისი მეობის ძირითადი ნიშანია.

ქსე-ის 11 ტომის ასეთ მეცნიერულ-პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა ნათლად გვიჩვენებს განვითარების იმ მაღალ დონეს, რომელზედაც ამჟამად დვას საბჭოთა ლექსიკოლოგია საერთოდ და კერძოდ კი ქართული ლექსიკოლოგია.

მაშ, ასე: ჩვენ წინ არის ქსე-ის 11 ტომი, რომლებსაც ამუშავებდა 15 სამეცნიერო-
დარგობლივი რედაქცია (რამდენიმე დამხმარე რედაქცია), სამეცნიერო საბჭოები და
სექციები.

დაკვირვებული მკითხველი და მითუმეტეს სპეციალისტი ადვილად მიხვდება, რა
ღირსებებს: ინფორმაციის მკითხველისათვის მასალის მისაწვდომლობა. მასალის მო-
ცულობის სიფართოვე, სიზუსტე, სტილის სინატიფე.

„ენციკლოპედია“, როგორც სახელწოდება გვაჩვენებს, ისეთი მეცნიერული გამო-
ცემაა, რომელშიც თავმოყრილია არსებითი ხასიათის ცნობები ცოდნის ყველა ან რო-
მელიმე ცალკე დარგიდან. ამ შემთხვევაში ცოდნის ყველა დარგია წარმოდგენილი ფა-
რთოდ და მრავალმხრივად.

ენათმეცნიერული ცნობები ქსე-ში გვხვდება მომჩინავე მეცნიერებისადმი მიძღე-
ნილ სიტყვა-სტატიებში (მაგ., ფილოსოფია, ეთნოგრაფია, ლიტერატურა, ისტორია,
ფილოლოგიური ხასიათის დამხმარე დისციპლინები), ხოლო ფონეტიკური ხასიათის
მასალები ზოგჯერ დასტურდება ანატომია-ფიზიოლოგიისადმი მიძღენილ სიტყვა-სტა-
ტიებში.

ქსე თავიდანვე იხსნება ენათმეცნიერული ინფორმაციით. მხედველობაში გვაქვს
ა ასო-ბგერის დახასიათება. ჩვენ შევადარეთ ქსე-ისა და ქეგლ-ის დახასიათება-
აღწერა ერთმანეთს ა ასო-ბგერასთან დაკავშირებით და, როგორც მოსალოდნელი იყო,
აღმოჩნდა, რომ ქსე უფრო ფართო ინფორმაციას აწვდის მკითხველს, ვინემ ქეგლ-ი,
კერძოდ ის, რომ ქსე-ში ყურადღება გამახვილებულია ა-ს წარმოთქმის რავგარობაზე
(„აღნიშნავს შუა რიგის დაბალ, ნეიტრალურ-არალაბიალიზებულ — ხმოვანს“). აგრე-
თვე, თუ როგორ იწერებოდა იგი ასომთავრულში, ნუსხურში; აქვეა ცხრილი, სადაც
ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო ა-ს გრაფიკული მოხაზულობის
დამახასიათებელი ისტორიული ნიმუშები (ქართული დამწერლობის სამივე სახისა —
ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა). ისინი ამოკრებილია მე-15-17 სს. ეპი-
გრაფიული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან. აი, ამ ერთი, შედარებით პატარა დეტა-
ლიდანაც, ნათლად ჩანს ენციკლოპედიური განმარტების, ახსნის თავისებურება სხვა
ხასიათის ლექსიკონებში მოცემულ დეფინიციებთან შედარებით.

ქართული ენის დიალექტები ყველა ერთადაა სტატიასთან ქართული ენა
(ტ. მე-10, გვ. 475-480). აჯობებდა ცალ-ცალკე ყოფილიყო კილოები (ქართული კილო,
კახური კილო, იმერული კილო...); კარგია, რომ ენციკლოპედიაში შევიდა უდეტრე-
ბი, მაგრამ მას (და აგრეთვე სხვა ლინგვისტურ ტერმინებსაც, რომლებიც ცნობილია)
უნდა დამატებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ტერმინი ეკუთვნის აკად.
ა. შანიძეს. ასევე უმლაუტთან უნდა აღნიშნულიყო, რომ იგი ეკუთვნის ი. გრიშს.
უზბეკურ ენასთან დაკავშირებით წერია, რომ იგი განეკუთვნება ალთაურ ენათა
ოჯახს (ტ. 10, 114), მართებულია ალთაური (და არა ალთაურ). რატომღაც არ
არის შეტანილი ტერმინი „სიმფონია-ლექსიკონი“, რომელიც აკად. ა. შანიძემ იხმარა
ჯერ კიდევ 1949 წ. ივ. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის“
სარედაქციო წერილში (იხ. გვ. 05).

ქსე-ის მე-10 ტომში მოთავსებულია სტატია „ტრანსფორმირებული გრამატიკა“
(ტ. 10, 39). ბოლოში ლიტერატურა დასახელებულია რუსულადაც. მითითებულია
ხომსკის ნაშრომი, მაგრამ ინიციალში არის მ. (უნდა იყოს ნ. ნაუმი).

ენციკლოპედიაში ცალკე სტატია არ არის შეტანილი „სამი სტილის
თეორია“, სვანიშვილი. უმჯობესი იყო, დაინომრათ (როგორც ეს ქეგლ-შია) ბგერა-

თად ერთნაირი, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული ტერმინი — სტატუბი (მაგ., სემიოტიკა და სხვა).

ფერდინანდ დე სოსიურის წიგნს ჰქვია „ზოგადი ლინგვისტიკის კურობი“. ქსე-ში კი წერია „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“. რატომ? აქ ზედმეტ პურიზმს სომ არ ვიხიენთ?

ქსე-ში არ არის შეტანილი ქართველოლოგიური ჟურნალი „გეორგია“, (გამოდის 1970 წლიდან).

I ტომში წარმოდგენილია სტატია აბაევის ვასილ ივანეს ძე, რომელიც იძლევა საერთო წარმოდგენას ამ დიდი ირანისტის შესახებ, ოღონდ აქვე მოკრძალებით გამოთქვამ ზოგიერთ სურვილსაც: კარგი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ 1935 წ. ე. აბაევს დაუცველად მიანიჭეს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, გარდა ამისა, ქსე-ში სწორად არის აღნიშნული, რომ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მას მიანიჭეს 1963 წ., მაგრამ სასურველი იყო, აქვე მითითებულიყო, რომ ამ დროისათვის ავტორს გამოქვეყნებული ჰქონდა 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და ეს ხარისხიც (დოქტორის სამეცნიერო ხარისხი) მას აგრეთვე დაუცველად მიენიჭა: აუცილებლად მიმაჩნია აქვე ყოფილიყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ე. აბაევის განსაკუთრებული დამსახურებაა დამუშავება კავკასიური სუბსტრატისა ოსურში (მაგ., კავკასიურის გავლენა ოსურზე, როცა მორფოლოგიაში აგლუტინაციური ბრუნვა გაბატონდა ძველი ირანულის ფლექსიურის ნაცვლად), და ისიც, რომ ე. აბაევს „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ გარკვეული აზრით უნიკალური ლექსიკოლოგიური ნაშრომია. მასში ავტორი მასალებს იმოწმებს მსოფლიოს 190 ენიდან და დიალექტიდან.

აქვე ლიტერატურაში მითითებულია მ. ი. ისაევის დიდი ხნის წინანდელი სტატია ძალიან ხელმოუწვდენელი გამოცემიდან მაშინ, როდესაც შეიძლებოდა უფრო ახალი ლიტერატურის აღნიშვნა (მაგ., ირანული და ზოგადი ფილოლოგიის საკითხები, კრებული, რომელიც მიეძღვნა ე. აბაევის დაბადების 70 წლისთავს. გამოვიდა თბილისში, 1977 წ., რუს. ენაზე).

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ენციკლოპედიის ყოველი სტატია-ტერმინი ლიმიტირებულია, წინასწარ არის განსაზღვრული, რამდენი სასტამბო ნაშანი უნდა დაიხარჯოს მასზე, მაგრამ ის ცნობებია, რომლებიც აქ წარმოვადგინეთ, ვფიქრობთ, აუცილებელია.

კარგად არის წარმოდგენილი ცნობები, აბაზური ენის შესახებ, აგრეთვე აბლაღური, აბრევიატურა, აბრუპტივი, აბსოლუტივი და სხვა.

ილია აბულაძისადმი მძღვნელი სტატია მთლიანობაში წარმოგვიდგენს ამ ენოჩენილი არმენისტისა და ქართველოლოგის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას; შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: სტატიაში მითითებულია, რომ „შუშანიკის წამება“ გამოიცა 1938 წელს და შემოკლებით აღნიშნულია ასე: თბ., (ე. ი. თბილისი) უნდა იყოს ტფ., (რადგან „შუშანიკის წამების“ სატიტულო ფურცელს აწერია ტფილისი); სტატიის ბოლოს თხზულებათა დასახელებაში უნდა შესულიყო: „მამათა სწავლანი მე-9-10 ს-თა ხელნაწერების მიხედვით“ („ძველი ქართული ენის ძეგლები“, 8), იოანე მოსხი — „ლიონარა“ (ტექსტი, გამოკლევა და ლექსიკონი, 1960), „ძველი სომხური ენა“ (სახელმძღვანელო, 1935), „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (გამოდის 1934 წ-დან, ერთ-ერთი შემდგენელია), „ქართული ენა სომხური სკოლებისათვის“ (გამოდის 1942 წლიდან) და სხვა.

მდიდრად არის წარმოდგენილი პროფ. იუსტინე აბულაძის — ცნობილი ირანისტისა და რუსთველოლოგის — ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

დამატებით, ვფიქრობთ, საჭირო იყო აღნიშვნა იმისა, რომ 1938 წ. იუსტინე აბულაძემ შეადგინა „ვიკიპედია“ II გამოცემის ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია 1500-მდე სიტყვა. მეცნიერებაში გამოთქმულია ავტორიტეტული მოსაზრება, რომ იგი „დღემდე არსებულ ლექსიკონებს შორის ყველაზე ვრცელ და სანდო ლექსიკონად ითვლება“ (დ. კობიძე); გარდა ამისა, იუსტინე აბულაძემ სტუდენტებისათვის შექმნა სახელმძღვანელო „ირანული ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“, რომელიც ორჯერ გამოიცა (1934, 1950)].

ქსე-ს I ტომში შესულია აგრეთვე სხვა ტერმინები: აგლუტინაცია, ადილეური, ენები, ადიშის ოთხთავი... კნ. გ. აღონციასადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშვნის ღირსი იყო შემდეგი ფაქტები: რომ იგი 1904 წ. აირჩიეს რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრად; მისი ნაშრომი „სომხეთი იუსტინიანეს ეპოქაში“ 1970 წ. გამოიცა ინგლისურად (II-დ დაიბეჭდა ერევანში 1971 წ.); მასვე ეკუთვნის ნაშრომი დიონისე თრაკიელი და სომეხი კომენტატორები“ (1915).

ზუსტად, ნათლად და ამომწურავადაა გაშუქებული შინაარსი ისეთი სტატიებისა, როგორიცაა: ავსტროაზიური ენები, აზერბაიჯანული ენები, აზროვნება და მეტყველება, ათაბასკური ენები, ათინის კრებული, ალბანური დამწერლობა, ალგორითმული ენები, ალტერნაცია, ანალოგია, ანბანი, ანომალია...

ანტონ პირველთან დაკავშირებით, რომელიც ერთ-ერთი ვრცელი სტატიაა ლექსიკონში, შევნიშნავ შემდეგს: ბოლოში, სადაც ავტორის თხზულებანია მითითებული, აღნიშნულია ასე: „მზა-მეტყველება, პ. კარბელაშვილის რედ., ტფ., 1892“ (იხ. გვ. 498), უნდა იყოს კი ასე: „მზა-მეტყველება, ქმნილი ანტონ პირველი საქართველოს კათოლიკოზისაგან გამოცემული ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით და მღლ. პ. კარბელაშვილის რედაქტორობით“.

თავისი მდიდარი შინაარსითა და მეცნიერულ-ტიქნიკური გაფორმებით საყურადღებო სტატიებია: აპოლონიოს დისკოლო, არაბული დამწერლობა, არაბული ენა, არამეული დამწერლობა, არამეული ენა, არგოტიზმი, არმაზის ბლინგვა, არმაზული დამწერლობა, არმენისტიკა, არსებითი სახელი და სხვა.

ენციკლოპედიის I ტომში ვკითხულობთ: „ზოგიერთ ენაში (მაგ., ჩინურში) არსებითი სახელი ფორმაცვლილია“ (გვ. 584). ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ ქართული ენციკლოპედიისათვის ხომ უკეთესი იქნებოდა, აქვე დაგვემატებინა უფრო ახლობელი და ნაცნობი მაგალითი, რომ აფხაზურ ენაში, განსხვავებით სხვა იბერულ-კავკასიური ენებისაგან, არსებითი სახელები არ იბრუნვის. მოკლედ, ჩინურთან ერთად მიგვეთითებინა აფხაზურიც.

სამეთაურო სიტყვის შემდეგ, რომელიც განსხვავებული შრიფტით, შავი მთავრულით არის აწყობილი, ენციკლოპედიაში ყველგან მძიმეა დასმული. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში მძიმე (.) ზედმეტია; არც დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, არც მცირეში, არც ო. ს. ახმანოვას ლექსიკონში, არც უ. მარუშოსთან, დ. როზენტალსა და მ. ტელენკოვასთან, არც საბას ლექსიკონში (ა. შანიძის გამოცემა (1928), ს. იორდანიშვილის გამოცემა (1949)... არ არის მძიმე დასმული სამეთაურო სიტყვასთან (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი რამ შეინიშნება საბას ლექსიკონის რაფიელ ერისთავისეულ გამოცემაში (1884.).

ვფიქრობთ, დასაზუსტებელია შემდეგი წინადადება არტიკლთან დაკავშირებით: არტიკლი „...მას ანიჭებს განსაზღვრულობის ან განუსაზღვრელობის „კატეგორიას““ (გვ. 589) (ხაზი ჩვენია რ. შ.) აქ სიტყვის („კატეგორიას“) ნაცვლად აჯობებდა

„შინაარსს“ იმიტომ, რომ არის საშიშროება კრიოს ზავგასმული სიტყვა ი. წ. გრა. მატყულა კატეგორიის ცნებაში.

ქსე-ში წარმოდგენილი საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმრავლესობა შინაარსით სწორედ ენციკლოპედიური ხასიათისაა. ენციკლოპედიური სტატიები გამოირჩევა განმარტებითს ლექსიკონში ფიქსირებული იმავე სახელწოდების სტატიებისაგან არა მარტო მოცულობით, არამედ შინაარსითაც. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ენციკლოპედიურ სტატიაში მოცემული უნდა იყოს 1. არა მარტო საგნის დეფინიცია, არამედ მისი მეცნიერული აღწერა, ილუსტრირებული სათანადო მაგალითებით; 2. უნდა შეიცავდეს საგნის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის ინფორმაციას; 3. გვაძლევდეს საკითხის მოკლე ისტორიისა და მისი შემდგომი დამუშავების პერსპექტივებს; 4. მიუთითებდეს რაც შეიძლება ახალ და სრულ ბიბლიოგრაფიაზე. ენციკლოპედიას, განმარტებითი ლექსიკონისაგან განსხვავებით უმთავრესად აინტერესებს არა სიტყვა, არამედ მის იქით მდგარი საგანი.

განმარტებამ უნდა მოგვცეს იმის არსი, რაც უნდა განიმარტოს, უნდა დაიცვას გვარისა და სახის ურთიერთმიმართება. არ უნდა ახსნას ობიექტი თვით ამ ობიექტის დახმარებით.

ამ წინამძღვრების გათვალისწინებით შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ ქსე-ში მოთავსებული საენათმეცნიერო სტატიების აბსოლუტური უმრავლესობა როგორც თავიანთი ფორმით, ასევე შინაარსით უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც საერთოდ უყენებენ ენციკლოპედიურ ლექსიკონებს; ამ თვალსაზრისით მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებს, სხვებთან ერთად, ისეთი სტატიები, როგორიცაა: არქაიზმი, არჩიბული ენა, ასიროლოგია, ასო, ასომთავრული, ასონანსი, ასპექტი, ასურული ენა და ბევრი სხვა. ყოველი სტატია შეიცავს ზუსტად საჭირო და სასარგებლო მეცნიერულ ინფორმაციას.

ასიმილაციასთან დაკავშირებით, სადაც ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც ეს ტერმინი განმარტებული, აღნიშნულია, რომ ასიმილაციის თავისებურია სახეობაა სინპარმონიზმი. „უმლაუტი“ (გვ. 631). მართალია, ეს ორი ტერმინი განსხვავებული შრიფტითაა აწეობილი, მაგრამ მათ შემდეგ საჭირო იყო აღნიშვნა (იხ.), რადგან ეს სიტყვები, მომდევნო ტომებში სათანადო ასოებთან არის განმარტებული.

ქსე-ს I ტომიდან სპეციალურად უნდა შევჩერდეთ ორ სტატიაზე. ესენია: ალფაბეტი და ალფა და ომეგა. სტატია ალფაბეტი ძალიან ღარიბად გამოყურება. აქ აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ეს ბერძნული სახელებია და იგივეა. რაც ანბანი. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ინგლისელ მკვლევარს დ. დირინგენს აქვს 656-გვერდიანი წიგნი სწორედ ასეთი სახელწოდებით „ალფაბეტი“ (თარგმნილია რუსულად, 1963); ამჟამად წერის შესახებ მეცნიერებას გრაფიკულ ლინგვისტიკას უწოდებენ და ალფაბეტის საკითხიც მასში განიხილება, ამის შესახებ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, რომელსაც კარგად ასახავს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ III გამოცემა, სადაც ჩვენთვის საინტერესო სტატია სათანადო სისრულითაა წარმოდგენილი.

ერთა მეტი გვაქვს სათქმელი სტატიაზე „ალფა და ომეგა“, რომლის შესახებაც ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „ბერძ. ანბანის პირველი და ბოლო“ ასოები, ვალტანით რისიმე თავი და ბოლო (გვ. 342). რა თქმა უნდა, ეს ძალიან ლაკონური, სწორი და მისაღები განმარტებაა. მაგრამ ამ დეფინიციას იძლევა და მას აშინაარსებს არა განმარტებითი ლექსიკონი, არამედ ენციკლოპედიური. თვით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც კი ამ საკითხზე მეტ ინფორმაციას გვაწვდის. სხვას რომ ყველაფერს

თავი დავანებოთ, ენციკლოპედიისათვის მეტად ძვირფასი იქნებოდა ამ სტატიასთან დაკავშირებით იმ მასალის გამოყენება, რომელიც გამოაქვეყნა აკად. ა. შანიძემ ჟურნალში „დროში“ (1973 წ. № 10).

ქსე-ს II ტომში და მომდევნო ტომებში შესულია ბევრი ენათმეცნიერული ტერმინი. ისინი დაწერილია საქმის ცოდნით, კეთილსინდისიერებით, მეცნიერების თანამედროვე დონეზე; ძალიან შეკუმშულად არის გადმოცემული, ტერმინის შინაარსი, პოპულარულად, ცოცხლად, მარტივად ენით, ძირითადი პრობლემის გამოყოფით. ისინი თითქმის არ იწვევენ შენიშვნებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

რამდენიმე სტატიის შესახებ გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას; უპირველეს ყოვლისა, შევხვები ე. წ. „პერსონალიას“.

1. აჭარია აჩია აკოფის ძე (გვ. 77). აქ რაჩია კი არა ჰრჩია უნდა: სწორედ ასეა ფიქსირებული ეს სახელი 1970 წ. გამოცემულ „ენათმეცნიერების სიტყვაში“. (გვ. 17). გარდა ამისა, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ იგი არის ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი (1933), უნდა დამატებოდა — მიენიჭა დაუცველად; ასევე არ ჩანს სტატიაში, რომ იგი იყო პარიზის ლინგვისტიკური საზოგადოების წევრი. აღსანიშნავია, რომ ჰრჩია აჭარიანს ეკუთვნის სომხური დიალექტის მეცნიერული კლასიფიკაცია (არც ესაა აღნიშნული).

2. ემილ ბენვენისტი (გვ. 305. ენციკლოპედიაში წარმოდგენილია, როგორც ცოცხალი. სინამდვილეში იგი გარდაიცვალა 1976 წ.) (ქსე-ის II ტომი გამოქვეყნებულია 1977 წელს). თვით სტატიას კი უნდა დაემატოს შემდეგი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელი, კომპარტივისტი, სემიოტიკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის სპეციალისტი; ე. ბენვენისტი 18 მონოგრაფიის, 291 სტატიისა და 300 რეცენზიის ავტორია; იგი იკვლევდა ზოგად ენათმეცნიერებას (მიეძღვნა 50-მდე ნაშრომი), ინდოევროპულ ენათმეცნიერებას (ხეთურს, ტოქარულს, ინდოირანულს, ირანულს, სომხურს, ბერძნულს, ლათინურს, კელტურს, გერმანულს, სლავურს); ქსე-ში სწორად არის აღნიშნული, რომ 1966 წ. პარიზში გამოქვეყნდა ე. ბენვენისტის „ზოგადი ლინგვისტიკა“, რომელიც 1974 წ. ითარგმნა და რუსულად დაიბეჭდა. აქვე უნდა მითითებულიყო ის, რომ 1974 წ. პარიზში გამოვიდა ამის II ტომიც. პროფ. ვ. ი. აბაევმა გამოაქვეყნა მშვენიერი ნაშრომი ამ გველევარის შესახებ (იხ. B Я, 1977, № 3).

3. თედორ ბენფაი (გვ. 310). სტატიის ენციკლოპედიურობა მოითხოვს დამატებას: შედარებითი მითოლოგიისა და ლინგვისტიკური პალეონტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (იყო თ. ბენფაი); თ. ბენფაიმ აღზარდა ენათმეცნიერთა მთელი პლეადა ინდოევროპეისტიკაში, ბალტიკურ ენებში. ეს ინფორმაცია უფრო გაამდიდრებდა და სრულყოფილს გახდიდა სტატიას.

4. რობერტ ბლეიკს (გვ. 428) აკლია ცნობები: 1918-1920 წწ. იყო პროფესორი ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტისა, ნ. მარის მოწადე; სპეციალურად სწავლობდა კიმენურ ტექსტებს. მიუთითებდა, რომ ტექსტის კომენტარები ეფრემ მცირეს ეკუთვნისო, მაგრამ ეს მოსაზრება სპეციალისტებმა არ გაიზარეს.

5. კარლ ბრუგმანს (გვ. 537) უნდა დაემატოს: ეკამათებოდა პოტებნიას გრამატიკული სქესის საკითხებში. უყოყმანოდ აღიარებდა ისტორიულ პრინციპს; უარყოფითი აზრისა იყო წინარეგნის რეკონსტრუქციის საკითხებზე; 1885 წ. მან გამოსცა „ბერძნული გრამატიკა“, რომელშიც პირველადაა განხილული ბერძნული ენის განვითარება ამ გრამატიკის მე-4 გამოცემა გადასამუშავებლად მიანდო თავის მოწაფეს.

6. ჯულიანო ბონფანტე (გვ. 466). ამ სტატიას სულ დათმობილი აქვს 7

სტრიქონი, მის თხუთსეულებსა და მასზე ლიტერატურას — 10 სტრიქონი (პირიქით რომ ყოფილიყო, აჯობებდა). ენციკლოპედიაში მართებულად არის აღნიშნული, რომ ჯ. ბონფანტე ნეოლინგვისტიკის წარმომადგენელია, იქვე უნდა თქმულიყო, რომ ამ მიმართულების ზოგადთეორიული დებულებები გადმოცემულია ჯ. ბონფანტეს ნაშრომში „ნეოლინგვისტიკის პოზიტივიზმი“ (1947). ჯ. ბონფანტე მთელი პრინციპული ებრძოდა ნეოგრამატიკოსების დოგმატიზმს. ეს ნათლად ჩანს მის ნაშრომში „არეალური ლინგვისტიკის შესახებ“ (1946).

7. როდესაც ორი ან მეტი ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის, მაგრამ სხვადასხვა შინაარსის ტერმინია წარმოდგენილი, აჯობებდა ისინი დანომრილიყო, როგორც ეს ქეგლ-შია მიღებული.

8. სტატიას „აბლაუტი“ ლიტერატურაში მითითებული არა აქვს თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ფუძემდებელი წიგნი „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში“ (თბ., 1965).

აქ შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ზოგიერთი მეტად აუცილებელი და უეჭველად საენციკლოპედიო ლინგვისტური სტატია რატომღაც არ არის შეტანილი III ტომში. ჩვენ ასეთებად მიგვაჩნია: „დამაკვირდი“ (ბრძნული გამოთქმების კრებული), დატივი, დეეტიმოლოგიზაცია, დიალექტოგრაფია, გერმანიზმები, გრეციზმები და სხვ. ენათმეცნიერების ისტორიიდან — „დოკლადი ი სოლზმენია ინსტიტუტა იაზიკოზნანა“. ფონეტიკიდან: გემინაცია (ძირისა), დამხმარე ენა. რატომღაც არ ჩანან: მორის გრამონი (ეს უკანასკნელი ფრანგი ენათმეცნიერია, 1866-1947) ვფიქრობთ, შესატანი იყვნენ ენციკლოპედიაში: ცნობილი პედაგოგი, წიგნების ავტორი კ. რ. გაგუა (1885-1947), კონსტანტინე ივანეს ძე გვარამაძე, ქეთევან დათიკაშვილი (1898-1978) — ლექსიკოლოგია და სხვა.

9. ერთი პრინციპული შენიშვნაც. ენციკლოპედიის თერთმეტივე ტომში ქართული ანბანის სახელწოდებების მითითებისას, ვფიქრობთ, დაუშვებელია უზუსტობანი. აღნიშნულია ასე: ბანი, განი, ღონი... უნდა იყოს ასე: ბან, გან, ღონ... ან არადა: ბან-ი, გან-ი, ღონ-ი ისე, როგორც ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონშია მიღებული (სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოყოფით). ეს იმიტომ, რომ, ვთქვათ, ა ასო-ბგერის სახელწოდებაა არა ანი, არამედ ან, ბ-სი — ბან და არა ბანი და ა. შ.

ქსე-ის თერთმეტივე ტომის გულდასმითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგიდან მასალები საკმაოდ არის წარმოდგენილი. ისინი უბასუხებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე მოითხოვს.

სპეციალური ლიტერატურის მონაცემთა გათვალისწინება, ენციკლოპედიურ ლექსიკონებში შესატანი მასალის ხასიათი, სხვა რესპუბლიკების ენციკლოპედიების გაცნობა და სპეციფიკა, წინასწარ დასახული გეგმის მხედველობაში მიღება, ქსე-ს ენათმეცნიერული მასალის გულდასმითი ანალიზი მიბიძგებს აქვე წარმოვადგინოთ ის მასალაც (სტატიებიც), რომლებიც, ჩვენი აზრით, სარეცენზიო ენციკლოპედიის თერთმეტტომეულში ენათმეცნიერებიდან უნდა შესულიყო ბგერითი სიმბოლიზმი; ა და პ ტ ა ც ი ა კარგადაა განხილული მრავალი განზომილებით, მაგრამ ეს ტერმინი ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაშიც იხმარება. ა) ა და პ ტ ა ც ი ა ერთი ენის ბგერათა სისტემის შეგუება მეორე ენის ბგერათა სისტემასთან (მაგ., სამხრეთ ოსეთში უკვე ოსურად ამბობენ: პიტნა, პეტრე...); ბ) ა და პ ტ ა ც ი ა რომელიმე ნაწარმოების გამარტივებული ტექსტის შედგენა (ამიტომ იგი უნდა შევიდეს ქსე-ში). უნდა შესულიყო: ა დ ს ტ რ ა ტ ი, ავტოგრაფიული გამოცემა. არაბიზმი, არმენისტიკა არის, მაგრამ

არმენოლოგია არაა, ბატოლოგია (ენაბულების ერთ-ერთი სახე, როცა მთქმელი იმეორებს გამონათქვამის ერთ ელემენტს), ბრძანებითი წინადადება, ბრჭყალები (როგორც სასვენი ნიშნის ერთ-ერთი სახე), გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვა, (გერმანიის) ანგლუტინაციის თეორია. ანგლიციზმი, ალათაური ენები, ამორფული ენები, ანალიტიკური ენები, ბერძნობა, ბიოლინგვისტიკა...

ცალკე უნდა შევჩერდეთ ე. წ. „პერსონალიზმზე“. ვფიქრობთ, მასში უნდა შესულიყვნენ ენათმეცნიერების ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიც არიან: თ. ს. ახმანოვა (დ. 1908), რუბენ აბრამიანი (1881-1951), რ. ი. ავანესოვი (დ. 1902), ა. პ. ბარნიკოვი (1890-1952), ი. კ. ბელოდელი (დ. 1906), რ. ა. ბუდაგოვი (დ. 1910), ნიკოლა ბოზე (1717-1789), ა. ს. ბუდილოვიჩი (1846-1908).

ასეთი ჩვენი მოკრძალებული სურვილები ქსე-ს თერთმეტ ტომთან დაკავშირებით. ეს სურვილები აბსოლუტურად არ ამცირებენ ამ კაპიტალური, უნივერსალური საცნობარო წიგნების მეცნიერულ ღონესა და შესრულების ხარისხს. სრულყოფილი და ყოველმხრივ უნაკლო ენციკლოპედია, კაცმა რომ თქვას, არც არსებობს, ამიტომ იყო, დიდებული საბა ამბობდა: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, — სრული გვიან საპოვნელია“. კარგად ამბობს აკად. არნ. ჩიქობავა: „ლექსიკონის ყოველი ნაკლი ან თვალს ახარებს, მაგრამ ლექსიკონში კეთილი თვალიც ჩაიხედავს ხოლმე და თავისი შენიშვნებით ნაკლის გამოსწორებას, ხარვეზის ამოვსებას ხელს შეუწყობს“. ჩვენც კეთილი თვალით ჩაიხედეთ ჩვენი ერის ამ დიდ საუნჯეში და დავინახეთ იმ კოლოსალური შრომის შესანიშნავი შედეგი, რომლითაც ყოველთვის იამაყებს რუსთაველის საქართველო, ამიტომ მთელი არსებით, სულითა და გულით ვუერთდები იმ მაღალ შეფასებას, რომელიც ქსე-მ დაიმსახურა.



მოვალეობის ესთეტიკა

ცხოვრება რომ რთული სინამდვილეა, ამის თქმა ორიგინალობად არც კრიტიკოსს ჩაეთვლება და მით უმეტეს არც მწერალს, მაგრამ ცხოვრების ამ ტიპიურ და რეალისტურ სახე-სახიათებში ჩვენება ისე, რომ მკითხველს საფიქრალს, სააზროვნოს, საკამათოს გაუჩენს, ეს კი მწერლობის მთავარ მისიად იყო აღიარებული მუდამ. თავის ღრმე ამ თემას დიდმა ილია ჭავჭავაძემ წყევლა-კრულვიანი საკითხი უწოდა და ამით პირველ რიგში იმაზე მიგვანიშნა, რომ ის, რაც თვალის ერთი გადავლებით სავსებით ცხად სამართლივ მოგვჩვენებს, სინამდვილეში შეიძლება შორს იყოს რეალობისაგან. სიმართლე ცხოვრების შესახებ ადვილი სათქმელი არ არის, იგი უმძიმესი ტვირთია, რომელიც გაბედულად უნდა წიღოს მწერალმა.

ასეთ გაბედულ პოზიციაზე დგას მწერალი კარგო ტაბატაძე თავის რომანში „თეთრად აფეთქებული საფლავი“. რომანი მრავალმანიაა. მასში ერთმანეთს ერწყმის და ერთმანეთს განაპირობებს სოციალური და ეთიკური პრობლემატიკა, პიროვნული და ნოქალაქეობრივი ინტერესები. მათ შორის წამყვან და მაგისტრალურ გამსჭოლსაზს, ჩვენი აზრით, ეთიკურ-მორალური პრობლემატიკა წარმოადგენს, რომელიც ცხოვრებაში ადამიანის მოვალეობის, პასუხისმგებლობის კანონის სახითაა დაკონკრეტებული. მწერალი ყოველივე ამას ღრმა მეტაფორული შინაარსით წარმოგვიდგენს, სადაც ბევრი რამ მსატყრფელი სიმბოლოს აზრითაა განსახიერებული. სიმბოლოურია თავად სათაური რომანისა „თეთრად აფეთქებული საფლავები“, რომლისაღმის დამოკიდებულებაში ვლინდება რომანის მთავარი გმირის მოქალაქეობრივი პოზიციები.

ჭაბუკობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი ანდროს და მაიას. გულწრფელი, სალასი, უმწიკვლო იყო ეს სიყვარული, ისევე მართალი და ბუნებრივი, როგორც ცხოვრება. მწერალი სწორედ ცხოვრების სიმბოლოდ იღებს სიყვარულის თემას და ამიტომ იგი იკითხება არა როგორც სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანი, არამედ ცხოვრებაში კაცის მოვალეობის რთული პერიპეტეიების ბუნებაზე მწერლის დაკვირვება, მკითხველის საფიქრება, თითქმის არაფერი უშლიდა ხელს ანდროსა და მაიას სიყვარულის დავგირგვინებას. ორივეს სურდა ერთმანეთი. ორივე გრძნობდა ერთმანეთს, მაგრამ მოხდა ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სწავლობენ, შესაბამისად სხვადასხვანაირად წარმართა მათი ცხოვრებაც. ანდრო დაუფრტყვლად სწავლობს და თან სავალდებულო სამხედრო სამსახურშიც გაიწვიებს მალე. ხოლო მაია, რომელიც ისე მიაშიტი და გულუბრყვილო იყო დედაქალაქში პირველად ჩამოსვლას, რომ ტაქსში ჩაქდომისაც კი ეშინოდა — „რა ვიცი, სად წაგვიყვანო“, მალე აუღებს ადღოს ქალაქური ცხოვრების სტილს, თავისი მიმზიდველი გარეგნობითა და გონიერებით ერთბაშად აღმოჩნდება ქალაქელი ახალგაზრდების ყურადღების ცენტრში და სულ უფრო დაშორდება ერთმანეთს მაიასა და ანდროს წარმოდგენები ცხოვრებაზე, ქცევაზე, ურთიერთობებზე ამ დაშორებას ორი ადამიანის თვალსაზრისებს შორის, — მიგვანიშნებს მწერალი, — ყოველთვის გააჩნია რეალური საფუძვლები. იმის მიხედვით, თუ როგორ წარემართავთ ჩვენს ურთიერთო-

ბეზს მხოლოდ ადამიანთან, დამოკიდებულია დაახლოებისა და დაშორების ტენდენციების ხარისხიც. შემდგომი ურთიერთობა ანდროსა და მაიას შორის ისე განვითარდა, რომ მათ შორის სიყვარულმა ცალმხრივი ხასიათი შეიძინა. მაიას ცხოვრებაში გზა გართულდა, ანდრო კი კვლავ ერთგული და უცვლელი დარჩა, ესოდენ ერთგული, რომ მისი წარმოდგენა გულწრფელ გაკვირვებას იწვევს მაიაში. სასიკვდილო სარცემზე მიჯაჭვულ მაიას ერთადერთ პატრონად და ერთგულ მოსიყვარულედ ისევ ანდროს გამოცნადა. მაია იტყვის: „შეუძლებელია, შეუძლებელია, ასე არ ხდება“. მართლაც არ ხდება ასე, ამ გრძნობაში ანდრო იშვიათ ერთგულებას იჩენს, მაგრამ მწერალი აქ არ ამთავრებს თავის სათქმელს, და არ ცდილობს სუსტი ნერვების მქონე მკითხველის აღტაცების გამოწვევას. ამ სიმბოლურ თემაში იგი ანახიერებს თავად ცხოვრებას, მისი რთული ურთიერთობებით და მათში ადამიანის პირად პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი და მორალური მოვალეობის რეალობებს. არ კმარა ის, რომ ჩვენს გარშემო ცხოვრება ბედკეთილობით მიმდინარეობს, რომ ჩვენ არ განვიცდით სულიერი თუ სოციალური კატაკლიზმების ტრაგედიას, არ კმარა რადგან ასე მხოლოდ მოჩვენებითი შეიძლება იყოს ჩვენი ჰარმონიული ურთიერთობა ცხოვრებასთან. ცხოვრება, კი, რაღა გორც იღია იტყვია, უღმობელია, თუ ერთი წუთით თვალი მოუხუჭე ისე გაგთელავს, როგორც დიდოვლი ღვკი ნაბადს. ანდრომ სწორედ ასეთი შეცდომა დაუშვა თავის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრებაში. ამიტომ ტრაგიკულად დამთავრდა მისი სიყვარული, მაგრამ აქ საინტერესოა არა მხოლოდ ამ ტრაგედიის საბოლოო სახე, არამედ შინაარსი და მიზეზები. მწერალი გვიჩვენებს თვითმხილვების სერის გამოყვანებით გვისურათებს ამ ტრაგედიის შინაარსს: — „რად არ დამიცავი, ბიჭო, ანდრო, რად?“ — სრულებით ცხადად და გარკვევით ჩაესმა მაიას ხმა, გაიტრუნა, თავი გააქნია და მდინარე გონჯოურას სეომახს ვადაბედა.

აბა, როგორ მაია, პირველსავე გამოქომაგებისას დავმარცხდი! — გამოებასუნა გუნებაში ანდრო, — გახსოვს, ჰენრიხას რომ მოვარტყი, დამემღურე, ჩემს საქმეებში ნუ ერევი...

„მაინც არ უნდა მიგეტოვებინე!“

მერე რომ უნივერსიტეტიდანაც გამაგდე, აქ ნუ მოდიხარ, მარცხენო!

„რად დამიჭერე, რად?“

ვფიქრობთ, ამ დეტალში გამოიკვეთა თანამედროვე გვირის ის ერთ-ერთი პოზიცია, რომელზეც იგი უნდა იდგეს თანამედროვე ცხოვრებაში. ეს არის ის, რასაც სოციალოგები აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას უწოდებენ. ადამიანი იმდენად იმსახურებს პატივისცემას და დაფასებას, რამდენად აქტიურად და პასუხისმგებლურად გრძნობთ არის ის გამორჩეული ცხოვრებაში, რამდენად ღრმად და გონიერად ისელება ის ცხოვრებისეულ ურთიერთობებში. ცხოვრება კი თავის საიდუმლო მხოლოდ გონიერს უმზღვს. რომანის დადებით გვირს, რომელიც პატიოსნების თანამედროვე ეტალონად შეგვიძლია დავისახოთ ყოველგვარ დამოკიდებულებებში — აკლია ეს გონიერება. ამას ხედავს მის გარშემო მყოფი და მასთან დაახლოებული თითო-ადამიანი და მათ შორის ყველა თავისებურად იყენებს ანდროს ამ თვისებას. მისდამი ერთგული ნინო კი ასე ეტყვის: „შენი ჰირომი, შენ გენაცვალე, რატომ ხარ ასეთი სათრიანი, ასეთი მორიდებული კაცი? — ეტყოდა ხოლმე ხშირად ნინო, რაზედაც ანდროს გული მოსდიოდა, უცბად იფეთქებდა, რატომ ვარ სათრიანი, მორიდებული?! ისე, ქესეტად, თვითონაც კარგად იცოდა, რომ მორიდებული კაცი იყო, მორიდებული კი არა — პატიოსანი! აღრე ამით ამაყობდა და გულში ხშირად დაიტრახებდა: სხვას არც მინდა რომ ვგავდეო, მე ჩემი სასწორი მაქვს და იმით ვწონი და ვზომავო, ხშირად იმასაც დახედნდა:

მე ჩემი ურმით ვიჩოჩილებ და ჩემი სიკეთე, პატიოსნება არ დამეკარგებაო. მაგრამ ამ პატიოსნებით ვერც კოლმეურნეობის საქმე წასწია წინ, როგორც თავმჯდომარემ და ვერც პირადი ცხოვრება, როგორც მოქალაქემ. „თავისი განვლილი ცხოვრების გზა ძაგდა ახლა. გვიან მიხვდა, თვალის გადავლებაც აღარ უნდოდა, რაც გაიხსენა, რაც მოგონებათა ზღვიდან ამოტივტივდა, ისიც საკმარისი იყო, ისიც სულს უხუთავდა და ტანში მარწუხებად ჰქონდა ჩაჭედებული“. — ასე შეჯამდა ანდროს ცხოვრების გზის ერთი დიდი მონაკვეთის გაკვეთილები და მწერალმა თანამედროვე ლიტერატურული გემოვნების დონეზე დახატა დადებითი გმირის სახე, რომელსაც სერიოზული ნაკლიც ახლავს თან. კარლო ტაბატაძე ღრმად იხედება ადამიანის ხასიათში და უარყოფს მის დახასიათებას მხოლოდ ორი ფერის — თეთრი და შავი ფერების მომარჯვებით. ადამიანი, მისი თვალსაზრისით, ურთულესი მოვლენაა, მისი ბუნება და ხასიათი ფერთა გამაა, წინააღმდეგობათა ერთობლიობაა — დამოკიდებული დროსა და სივრცისაგან. ეს დრო და სივრცე კი უოველთვის კონკრეტულია. მწერალი არ ერიდება ამ კონკრეტულობას და ამაშია მის მიერ დახატული სახე — ხასიათების დამაჭერებლობის საიდუმლოებაც. რატომ გაუჭირდა ანდროსთან პატიოსნებით აღსავსე თავმჯდომარეს სოფლის მართვა, რატომ გაურთულდა მისთანა უანგარო ადამიანს ადამიანებთან ურთიერთობა? — აი, კითხვა, რომელიც ბუნებრივად ისმება ჩვენს წინაშე. ნუთუ ხელმძღვანელი მგლის მადითა და ვეშაპის ეშვებით უნდა იყოს შეიარაღებული, რომ შესძლოს ხალხის დამორჩილება? რა თქმა უნდა ეს არ გამოხატავს ჩვენი სინამდვილის სოციალურ ბუნებას, ეს კარგად იცის იმანაც, ვისაც მართავენ და იმანაც ვინც მართავს. მაგრამ მაინც ვერ აეწყო ურთიერთობა ისე, როგორც ეს ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი. და ამაში გარკვეულად ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი დროებითი მოვლენაა ბრალდებული. საკოლმეურნეო შრომის არასწორმა ორგანიზაციამ, ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების თანაფარდობისადმი ვოლუნტარისტულმა დამოკიდებულებამ, წლების მანძილზე მართვის ბიუროკრატიულმა სტილმა, რაზეც ვრცლად და გასაგებად ითქვა ამ ბოლო დროს, — სოფლის მშრომელს გული გაუტეხა სამართლიანობაზე, საკოლმეურნეო შრომაზე, საზოგადოებრივ მოვალეობაზე. თანამედროვე მშრომელი გულწრფელია, როცა ამბობს „ტკბილია ეს ცხოვრება, ტკბილი, მარა საიდანღაც ბაღლაში ერევა, ბაღლაში წვეთ-წვეთად“. ამას იგი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის დემურის სიტყვებით ასე გამოთქვამს უფრო დეტალურად: „კაცმა, რომ იმუშავებ, რომ დაიღლები და ოფლის გემოს გახინჯავ, გვარიანი ანაზღაურებით უნდა გაიხარო. მამუშავე, რამდენიც გინდა! მხოლოდ მომეცი რამდენიც მეკუთვნის. ნახევარი კილო სიმინდისათვის ვიმუშაო?... ცოცხალი კაცი ვარ, ენერგიით სავსე და ღღეს მინდა ცხოვრება, ღღეს!... კაცი, რომელიც ასე გულწრფელად მოითხოვს ღღეს ცხოვრებას, არ ერიდება იმას, რომ ღორების რიგში ჩაწერონ სიმინდის ულუფის განაწილების დროს. „ამასწინათ მეღორეობის ფერმის დასათვალისწინებლად ამევიდა რაიონიდან კაცი, — ყვება ირონიულ ამბად ლაფრია. — რას დამსგავსებთან თქვენი ღორები, გამხდარანო. მე ვუთხარი, მჭლე ზორცი გვიყვარს ჩვენ-თქო, ასეთ გამომხედა აა, — დაიელამა თვალი ლაფრია — მერე თავმჯდომარეს მიუბრუნდა და უთხრა, ღორებს ორ-ორი კილო სიმინდი გამოუყავით ღღეში, და მიეცითო, სირცხვილია, დაწყებდნენ და ერთი ამბავი ატყდებაო!

— არ შეიძლება, მეც იმ ღორების სიაში შემიტანოთ-მეთქი, — ვუთხარი, იმ კაცს. — ახლა შემოდგომაზე ნახევარ კილო სიმინდს მაძლევთ, თუ მაგ ღორების სიაში ჩამწერ, ქე მივიღებ ორ კილოს!...

— რა გექვს ღორებში ჩასაწერი ცოცხალ ადამიანს?! იმუშავე კარგად და მტებს მიიღებ! — შეეპასუხა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანდრო.

— ამაშია საქმე! — შემართა ხელი ლავრიამ, მერე დაიხარა, ბელტი აიღო, ერთ-
ხანს დასჩერებოდა, — ესაა, მიწა ჩვენი გამოშვებავიც და ჩვენი შემშემელიც, საბოლოო-
ოდ ამას უნდა მივებაროთ, მაგრამ ვიდრე სული გვიდგას, უნდა ველოლიაფოთ და ვეშ-
სახუროთ! ერთგულება უყვარს მიწას, ერთგულება! როგორც კი ორგულობას შეგვამჩ-
ნევს, საზრდოს შეგვიწყვეტს, ასეა, ასე — ორად გაყოფილი კაცი არავის უყვარს.
მიწის მუშა, მიწის მუშა უნდა იყოს!“.

ამ მოვალეობის პრობლემას წამოჭრის მწერალი. ვიღაცას ევალება მიწისადმი მი-
წის მუშის ერთგულების განმტკიცება და ვერ ან არ აკეთებს, ვერ ან არ ასრულებს
ჯეროვნად თავის მოვალეობას. ამიტომაც გაიყო მშრომელის წარმოდგენა პირადსა და
საერთოზე. „ჩვენსას, მოგცეს ღმერთმა, კი ვუვლით, მაგრამ საერთოს? ერთი თუ მუ-
შაობს, მეორე მოხმარების მაგივრად ხელს უშლის, არ მუშაობს, მესამე იპარავს...“

აქ მართლაც წყევლა-კრულვიან საკითხზე ახლა გაცხარებული სჯა-ბაასია გამარ-
თული ჩვენში. მწერლობას იგი არასოდეს გამოჩენია მხედველობიდან, ამის საუკე-
თესო დადასტურებას წარმოადგენს კარლო ტაბატაძის რომანი „თეთრად აფეთქებული
საფლაო“. მისი გამოქვეყნებით გამომცემლობა „მერანი“ სასარგებლო სამსახურს
უწევს ყველას, ვინც დაინტერესებულია ხალხის ცხოვრებით, ადამიანების აღზრდით
და პიროვნების ბედნიერებით.



პიპსის «დღიური»

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ XVIII საუკუნის განმანათლებლური რომანის როლი დასავლეთ ევროპული ლიტერატურის განვითარებაში. იმდროინდელი მკითხველი... სათვის იგი არა მარტო გასართობს, არამედ მრავალფეროვანი ცოდნის წყაროსაც წარმოადგენდა.

მაშინდელ საზოგადოებას დოკუმენტური სიმართლე ერჩივნა მხატვრულ მონაგონს, ამიტომ განმანათლებლური რომანების ავტორები მარჯვედ იყენებდნენ XVIII საუკუნის დოკუმენტურ წყარებს — დღიურებს და მემუარებს და ორიგინალურ მხატვრულ-დოკუმენტურ ფორმებს ქმნიდნენ. (დ. დეფოს „რობიზონ კრუზო“, „კავადერის მემუარები“, „პირიანა წყლის დღიურები“, ჯ. სვიფტის „გულფსტრის მოგზაურობა“, „დღიური სტელასათვის“, ლ. სტერნის „დღიური ელიზასათვის“).

აღმნიშვნელოვანია, სხვადასხვა მიზეზის გამო, იწყებენ დღიურის წერას: ერთი საკუთარი თავის წინაშე აღსარების თქმის სურვილის გამო. ასეთ დღიურებს, რომელთაც რელიგიური ვარჯიშის კვალი ატყვია, წერდა, მაგალითად, ჯონ უესლი, XVIII საუკუნის ცნობილი ინგლისელი მოქადაგე; სხვები დღიურს მიმართავდნენ საქმიანი ანგარიშების, ოპერაციების, შეთანხმებების ჩასაწერად, რომლებიც თანდათან პირადი სასიათის ჩანაწერებით შეივსებოდა და უკვე ლიტერატურულ ინტერესს შეადგენდა, მესამენი დღიურის წერას იწყებდნენ შთამომავლობისათვის სულიერი მემკვიდრეობის დატოვების მიზნით. მაგრამ ისიც ხდებოდა, რომ დღიურის წარმოების სურვილი თვითგამოვლენის მოთხოვნილებით იყო გამოწვეული და შემდეგ უკვე ჩვევად იქცეოდა. თუ მომავალ მწერლებს შემოქმედების წყურვილი განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ უჩნდებოდა და ისინი იწყებენ წერას, თან ნებით თუ უნებლიედ ბაძვენ წაკითხული წიგნის სტილსა და მანერას, — დღიურების ავტორები იმ უარის შემოქმედნი არიან, რომელიც ბუნებრივ ორიგინალობას გულისხმობს და საგნებით გამოირიცხავს მიმზაველობას.

ინგლისში ყველაზე უფრო ცნობილი „დღიურის“ ავტორია ს. პიპსი ანუ პეპსი (1633-1703), პიპსი ლიტერატორი არ იყო, მაგრამ მან შექმნა წიგნი, რომელმაც სათავე დაუდო დასავლეთევროპულ ლიტერატურაში დღიურის, როგორც უარის, ისტორიას.

თანამედროვეთათვის ს. პიპსი ცნობილი იყო როგორც საადმირალო უწყების ერთერთი საუკეთესო მოხელე, სამხედრო საზღვაო სამინისტროს მუშაობის ორგანიზატორი ინგლის-ჰოლანდიის ომის პერიოდში. ეს იყო დახვეწილი მუსიკალური გემოვნების ადამიანი, უნიკალური ბიბლიოთეკის პატრონი, სამეფო კარზე მიღებული პირი. მაგრამ გარდაცვალება პიპსი და მისი სახელიც დავიწყებას მიეცა. საუკუნეზე მეტი ხანი გავიდა და იგი არაღეს გასხვებოდა, სანამ სრულიად შემთხვევით XIX ს. დასაწყისში (1819-1822) მაგალინას კოლეჯის ბიბლიოთეკაში სხვა წიგნების გვერდით, არ აღმოაჩინეს ვინმე ს. პიპსის ხელნაწერი დღიურის ექვსტომეული.

პიპსის „დღიური“ ნაწილობრივ 1825 წელს გამოქვეყნდა, სრული გამოცემა კი 1848 წელს დაიბეჭდა. იგი მოიცავს 1660-1669 წლებს, ნაწარმოებია განსაკუთრებული

სტენოგრაფიული სისტემით (1641 წელს გამოქვეყნებული შედგონის სისტემა), გარ-
თულებულია უცხო სიტყვებითა და ავტორისეული გამოგონებათა კომბინაციებით
როგორც ჩანს, პიპსის დღიური გარეშე ადამიანის თვალისათვის არ იყო განკუთვნილი.
იგი გულმოდგინედ უმაღავდა დღიურს მეგობრებს, განსაკუთრებით კი მეგობრებს.
მაგრამ, როგორც სოკრატე ამბობდა, უმაღ ენაზე მუგუზაღს გააჩერებ, ვინემ საიდუმ-
ლოსო. ერთხელ პიპსმა დღიურის წერის საიდუმლო ვინემ უილიამ კონვენტრის გაან-
ლო, შემდეგ კი ჩაწერა: „ეს ერთადერთი ადამიანია, ვისაც ამის შესახებ მოგუყუვი და
თითქმის ვნაობა, რომ ვუთხარი, ამის საჭიროება არ იყო და იქნებ უხერხულიც კია,
რომ ეს ცნობილი გახდეს“.

ს. პიპსმა შექმნა დღიური, რომელიც განიხილება როგორც დღიურის ჟანრის კანო-
ნიკური ფორმა. აქ გათვალისწინებულია შემდეგი კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორი-
გინალურ ლიტერატურულ ჟანრს ახასიათებს: სუბიექტურობა, ე. ი. თბილბა ყოველთვის
პირველ პირში მიმდინარეობს; ეგოცენტრიზმი, ე. ი. აღწერილი ამბების მთავარი გმი-
რი ავტორია; მოვლენათა სიმწვავე, ე. ი. ავტორისათვის არსებითია მხოლოდ ის ამბები,
რომლებიც იმ დღისა თუ დამის განმავლობაში მოხდა: დღიურის უმნიშვნელოვანეს
ელემენტს მისი ქრონოლოგიურობა, ე. ი. ყოველდღიური ჩანაწერები წარმოადგენს.
პიპსი პრაქტიკულად ყოველდღიურ ჩანაწერებს აწარმოებდა, გამოცოცხებული აქვს
მხოლოდ 1668 წლის ორი კვირა. ხანდახან იგი ცალკეულ ფურცლებზე წერდა, რათა
შემდეგ სუფთად გადაეტანა დღიურში. პიპსი ზედმიწევნით დისციპლინირებული ადა-
მიანი იყო და რეგულარული ჩანაწერებით დღიურის მეტად მნიშვნელოვან მომენტს
მიაღწია: დღის შთაბეჭდილებანი მით უფრო მწვავე, უშუალო და ძვირფასია, რაც
აღრე იქნება ისინი შეტანილი დღიურში. რეგულარული ჩანაწერებიდან ცხოვრების
ბუნებრივი გაურკვევლობის სპეციფიკური ატმოსფერო გამოსჭვივის, რადგანაც ავ-
ტორმა არ იცის, ზვალ რა ელის, ისევე როგორც ეს არავინ არ იცის. მსგავსი ატმოსფე-
როს აღმოჩენა არც ერთ სხვა ლიტერატურულ ჟანრში არ შეიძლება, მაგრამ პიპსის
„დღიური“ იმითაა უნიკალური, რომ მისი წერისას ავტორი არავითარ მიზანს არ ისახა-
ვდა, რადგან მკითხველი მისთვის გამორიცხული იყო. იგი წერდა იმისათვის, რომ წერა
უბრალოდ სიამოვნებას გვრიდა.

შინაარსის მიხედვით პიპსის „დღიური“ წარმოადგენს ლონდონის ცხოვრების
თვალწარმტაც აღწერას რესტავრაციის ეპოქის პირველ ათწლეულში, თუმცა „დღიუ-
რი“ არ გამოირჩევა დაზვეწილი ლიტერატურული სტილით და გრამატიკული შეცდო-
მებიც ბლომადაა, მაგრამ გვხიბლავს თავისი უშუალოდითა და წესიერებით, რაც, საე-
რთოდ, იშვიათი იყო პროფესიულ მწერალთა დღიურებისათვის.

მაგალითად, ინგლისელმა მწერალმა ქალმა რომანების — „ეველინა“, „ცეცალია“,
„კამილა“, „ყარბი ქალი“ — ავტორმა ფანი ბერნიმ (1782-1840) დაგვიტოვა საინტერე-
სო დღიური, უფრო პროფესიულ დონეზე და წიგნიერად დაწერილი, მაგრამ ეს დღიუ-
რი არაა მიმზიდველი, რადგან ბერნი მას უფრო პოლიგონად იყენებდა, სადაც თავის
შემოქმედებით ნიჭს ძერწავდა. ამიტომ მისი დღიური გადატვირთულია და მამიმელ
აღიქმება. პიპსი კი წერდა მსუბუქად, თავისუფლად, მკითხველის გაუთვალისწინებლად
და დღიურის ჟანრის მწვერვალსაც მიაღწია.

ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ პიპსი თავისი „დღიურის“ გამოქვეყნებას არ
აპირებდა. იქნებ ამიტომაც იგი უკიდურესად გულანდილად წერდა. „დღიურის“ გამო-
ქვეყნებამ გააქარწყლა ჩვენამდე მოღწეულ ოფიციალურ სურათებზე აღბეჭდილი ჭენტ-
ლმენის რამდენადმე ქედმაღლური იერი და საზოგადოებას წარუდგინა პიპსისა და იმ
გარემოს მეორე, უფრო საინტერესო მხარე, რომელიც „დღიურის“ სტრიქონებშია გა-

ცოცხლებული. „დღიურიდან“ ვგებულობთ, რომ პიპს ცოტათი გადაკვრაც უყვარდა და არც ღამაშ მსახიობ ქალებთან დროსტარებაზე ამბობდა უარს, მით უფრო, რომ იგი თეატრის ერთგული მაყურებელი გახლდათ და ხშირად გვიანობამდე რჩებოდა თეატრში, რათა რომელიმე მსახიობის წარმატება აღენიშნათ, ერთხელ ასეთი დაგვიანება კინაღამ უბედურების მიზეზი გახდა. პიპსი ექვნიანი ცოლის მისამართით წერდა: „საბრალო ქმნილებას! მე არ შემძლია მისი ექვნიანობის გაკიცხვა, მაგრამ მეტისმეტად კი მაწვალებს“...

პიპსის „დღიური“ საინტერესო აღმოჩნდა არა მარტო ცნობისმოყვარე მკითხველისათვის, არამედ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ყურადღებითაც. თეატრალური კრიტიკოსები და მუსიკათმცოდნეები ხარბად დაეწაფნენ იმ ეპოქის კულტურული ცხოვრების შესახებ მიღებული ახალი ცნობების შესანიშნავ წყაროს. პიპსი უზვად აჯილდოვებს ყველას. მას ბევრი ჩანაწერი აქვს თავისი სამსახურის შესახებაც, იმ პერიოდში მეტად აქტუალური იყო საზღვაო პოლიტიკისა და ჰოლანდიასთან ომის საკითხები. პიპსი ხშირად სასოწარკვეთილებაში ვარდება სახელმწიფოში გამეფებული არეულ-დარეულობისა და უმეცრების გამო. იორკელი ჰერცოგის რჩევით პარლამენტი დაითხოვა, პიპსმა კრიტიკულად შეაფასა მომხდარი ამბავი, მისი კომენტარები მეცნიერი ისტორიკოსისას არ ჩამოუვარდება.

1885 და 1886 წლებში ლონდონი შეაზანზარა დიდმა ჰირმა და ხანძრებმა. ბუნებრივია, რომ ამ საზარი დღეების აღწერა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს „ეპოქის მდივნის“ — პიპსის დღიურში. აქ გვინდა პარალელი გავავლოთ დ. დეფოს აპოკრიფულ „ჰირიანი წლის დღიურსა“ და პიპსის „დღიურის“ ამ მოვლენებისადმი მიძღვნილ ჩანაწერებს შორის (დ. დეფოს „დღიურის“ შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ჩვენი სტატია „ევროპული რომანის სათავეებთან“, „ჭორონი“ № 5, 1985 წ.). არსებობის შეცვლილი პირობებისადმი ადამიანის ადაპტაციის შესანიშნავი ილუსტრაცია ადვილად და ბუნებრივად წარმოჩინდება პიპსის ჩანაწერებში, რომელსაც იგი ამ პერიოდში აკეთებდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პიპსი პროფესიული ლიტერატორი არ იყო, მაგრამ შეეძლო ოსტატურად დაეხატა როგორც XVII საუკუნის ზნე-ჩვეულებათა საერთო სურათი, ასევე თანამედროვეთა ცოცხალი პორტრეტები, მეფეთა და მაღალი წრის ადამიანებიდან დაწყებული, ლონდონის ქუჩებში შემხვედრი ჩვეულებრივი გამგლელებით დამთავრებული. პიპსის მეგობართა შორის იყვნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორიცაა ჯონ დრაიდენი, კრისტოფერ რენი, ისააკ ნიუტონი, მაგრამ პიპსი განსაკუთრებით კარგად ხატავდა უბრალო ადამიანთა პორტრეტებს.

მკითხველთა ყურადღებას იპყრობს პიპსის მიერ დღიურის წარმოების მანერა. როგორც უკვე ვთქვით, იგი დღიურს რეგულარულად აწარმოებდა, მაგრამ ამა თუ იმ დღის ჩანაწერების ზომები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. პოლიტიკური მოვლენების ან გართობის აღწერას ავტორი მთელ გვერდებს უთმობს, ხანდახან კი თავის განწყობას ერთ სტრიქონში გადმოგვცემს.

თავისი ცხოვრების ამ პერიოდში პიპსი იშვიათად ტოვებდა დედაქალაქს, ამიტომ მას დღიურს სამართლიანად უწოდებენ ლონდონის დღიურს. პიპსმა გენიალური უშუალობით შეძლო იმ ეპოქის ატმოსფეროს გადმოცემა.

მხედველობის მკვეთრი დასუსტების გამო პიპსმა შეწყვიტა წერა თავისი „დღიურის“ რომელმაც უკვდავყო მისი სახელი.



საზემო სხდომა ბათუმში

იუბილეს მიმდევარ

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა აჭარის დელასამშობლოსთან დაბრუნების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო საზეიმო სხდომა. იგი გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ემირიძე.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ხახუტაიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი გ. ფანჯიკიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი პროფესორი მ. გოგოლიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი ფრ. ხალვაში, ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი ა. სამსონია, მწერალი ლ. სანიკიძე, პოეტი ზ. გორგილაძე.

ზეიმის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკის მხატვრული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

აჭარის რესპუბლიკური ბიბლიოთეკაში გაიმართა აჭარის დელასამშობლოსთან დაბრუნების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. იგი გახსნა რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა ე. ცივაძემ.

მოხსენება „აჭარის წარსულის ზოგიერთი ასპექტი“ წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ხახუტაიშვილმა.

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში“ — ასეთი იყო დოცენტ ა. სურგულაძის გამოსვლის თემა. მოხსენება „მე-10 საუკუნის საზოგადო მოღვაწეები აჭარის შესახებ“ გააკეთა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა რ. სურმანიძემ, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა თემაზე „აჭარის წარსული და დღევანდელი“ წაიკითხა ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგემ ც. ჩანტლაძემ.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აჭარის რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ხალვაში, მკითხველები ი. გუდუნიშვილი, ლ. სულავა, მ. გუგუშვილი და სხვები.

შეხვედრები, საღამოები

მაღალმთიანი ხულოს რაიონის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყვეს პოეტ მორის ფოცხიშვილს.

სარაიონო კულტურის სახლში ასობით პოეზიის თავჯანსიყმემლა მოიყარა ჯი. საღამო გახსნა ხულოს რაიონის მდივანმა ე. დეკანაძემ. შემდეგ სცენათეობა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლების მოსწავლეებს. მათ შეასრულეს მორის ფოცნიშვილის ლექსებზე დაწერილი სიმღერები, წაიკითხეს მისი ლექსები.

თანამოკალმე პოეტს მიესალმა აჭარის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ფ. ხაღვაში.

დასასრულ სტუმარმა წაიკითხა რამდენიმე ახალი ლექსი, უპასუხა მკითხველთა შეკითხვებს.

შუაღმის რაიონის სოფელ ჭვანაში კოლმეურნეებმა და საშუალო სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივებმა მოსწავლე აზლგაზრობასთან ერთად შესვედრა მოუწყვეს ბათუმელ მწერლებს.

მოსწავლეებმა და პედაგოგებმა წაიკითხეს სტუმარი მწერლების ნაწარმოებები, შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. სტუმრებს მიესალმა ჭვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ცინცაძე.

შემოქმედებით გეგმებზე ისაუბრეს და ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს მწერლებმა მამია ვარშანიძემ, რამაზ ხურმაიძემ, ჯემალ ქათამაძემ, შოთა ზოიძემ.

სიტყვით გამოვიდა ლა სტუმრებს მადლობა გადაუხადა შუაღმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. მამულაძემ.

* * *

განათლების მუშაკთა საოლქო სახლის გამგეობამ და ბიბლიოთეკის საბჭომ შეხვედრა მოუწყვეს პოეტ მამია ვარშანიძეს.

პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრა მწერალმა ნ. მოდუბაძემ.

პოეტის ლექსები წაიკითხეს და სიმღერები შეასრულეს განათლების მუშაკთა საოლქო სახლის ნორჩმა ლექლამატორებმა.

პოეტმა მ. ვარშანიძემ მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის და უპასუხა შეკითხვებს.

დასასრულ საბჭოთა ეკონომიკური კუთხის გოგონათა ანსამბლმა (ხელმძღვანელი გ. გრეცოვი) გამართა კონცერტი.

გიორგიშვილი

* * *

აჭარის მხატვართა კავშირის საგამოცემო ღარბაშში მოეწყო ცნობილი სომეხი მხატვრის, მცენი ქალაქის მკვიდრის ვ. ღარიბიანის ნამუშევრების გამოფენა.

ვ. ღარიბიანი მან წლისა და უმცირესობა ნახატი შექმნა. მან ბათუმის მე-12 სომხური საშუალო სკოლა და სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა. ათი წელია ერევანში ცხოვრობს და მოღვაწეობს.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო შეხვედრა სომეხ მხატვართან, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. ახვლედიანმა.

მოსტენება გააცნო მუზეუმის სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილების ექსკურსიამდლოლმა ნ. სულაბერიძემ.

მხატვარს მიესალმნენ გაზეთ „სოვეტკან ვრახტანის“ კორესპონდენტი აჭარაში გ. ეტიმიანი, ხელოვნებათმცოდნე, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი ა. ვაზაგაშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ვ. სიჭინავა.

ბათუმის № 6 საშუალო სკოლის სომხური სექტორის დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ გ. დანელიანის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი.

ვ. ღარიბიანმა მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის. დასწრეთ ვადაცო თავისი შემოქმედებითი გეგმები და მუზეუმს საჩუქრად გადასცა საკუთარი ნამუშევარი ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის მომდგრის საიანოვას ცხოვრების თემაზე.

აჭარის პროფკავშირების კულტურის საოლქო სახლის ლიტერატურულმა გაერთიანებამ და ბიბლიოთეკის საბჭომ მოაწვევს ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „სამშინლოს მომღერალი“. იგი მიეძღვნა პოეტ პარმენ რურუას ღვაწლის 100 წლისთავს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. რუსეიშვილმა.

მოგონებებით გამოვიდნენ პოეტი ქსენია მუჟაია, პარტიის ვეტერანთა აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. გელავა, პოეტის ვაჟი, პროფკავშირის კულტურის სახლის თანამშრომელი ლ. რურუა.

პარმენ რურუას ლექსები წაიკითხეს უფროსმა ბიბლიოთეკარმა დ. ფალავანდშიშვილმა, ლიტერატურული გაერთიანების აღსაზრდელებმა და კულტურის სახალხო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ზელოვნების ფაკულტეტის მსმენელებმა ნ. აბაშიძემ, ხ. გოგუამ, თ. დოლიძემ, ნ. იაშვილმა.

პარმენ რურუას სსოვნას საკუთარი ლექსები უძღვნეს ლიტერატურული გაერთიანების წევრებმა ნ. კუციაშვილმა და პოეტის შვილიშვილმა, სამხატვრო სასწავლებლის მოსწავდემ ი. რურუამ.

ახალგაზრდულ კლუბ „კონტაქტთან“ არსებულმა ვოკალურმა ჯგუფმა პედაგოგ ნ. ცეცხლაძის ხელმძღვანელობით შეასრულეს ქართული სალხური სიმღერები.

რუსთაველის თეატრი ხულოსა და შუახენში

ხულოს რაიონს ხშირად სტუმრობენ რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივები. მშრომელთა დიდი მოწონება ღაბისახურის თბილისის შოთა რუსთაველის სა-

ხელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა.

რუსთაველებმა ხულოელ მაყურებლებს წარუდგინეს ნ. წულუკისკირის და გ. გეგეჭკორის სპექტაკლი „ძველი სამრეკლო“.

მაყურებლები დიდხანს უკრავდნენ ტაშს საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ვ. გეგეჭკორს, მსახიობებს გ. თაღაჯაძეს, ი. ლაღიძეს, ლ. ღაბაშიძეს, დ. უფლისაშვილს, ლ. გაფრინდაშვილს და სხვებს.

მაყურებელს ვერ იტყვია შეახვედრს ხარაიონო კულტურის სახლიც. იქაურმა მაყურებელმა რიონში პირველად იხილა რესპუბლიკის წამყვანი თეატრის სახელოვანი მსახიობები.

„ხელოვნებამ“ გამოსცა

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოუშვა ბათუმელი დრამატურგის შოთა როყვას პიესების კრებული, რომელშიც წარმოდგენილია „მდინარის გაღმა ჩემი სოფელი“, „ცისარტყელას შვიდი ფერი“, „ვოლგა-ქოლგა“, და „კომედია ჭიშკართან“.

აღსანიშნავია, რომ ყველა ეს პიესა ეხება ჩვენი დროის მწვავე სოციალურ პრობლემებს. ისინი იდგმებოდა და იდგმება ქართულ და მოძვე რესპუბლიკების თეატრებში.

გამომცემის რედაქტორია ლ. ჯუღელი, მხატვრულად გააფორმა ზ. გოგოლაძემ.

დამსახურებული პედაგოგის იუბილე

საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებულ პედაგოგს დოდო ჯვარშიშვილს კარგად იცნობს ჩვენი ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობა. მისი აღზრდილები მღერიან თბილისის, ქუთაისის, ლენინგრადის, ერევნისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების საოპერო თეატრებში.

ამას წინათ ზ. ფალიაშვილის სახელო-

ბის ბათუმის სამუსიკო სასწავლებელ-
ში გაიმართა ამაგდარი პედაგოგის შე-
მოქმედებითი საღამო.

დ. ჯვარშიშვილს მიესალმნენ ვ. სარა-
ჯიშვილის სახელობის თბილისის სახელ-
მწიფო კონსერვატორიის პედაგოგები ნ.
ხარაძე, ნ. გოგლიჩიძე, ბათუმის საქალა-
ქო საბჭოს კულტურის განყოფილების
გამგე ნ. ბერიძე, ურესის მუსიკალური
სკოლის დირექტორი ი. ესიტაშვილი,
ი. ჭეჭავაძის სახელობის ბათუმის სახელ-

მწიფო თეატრის მსახიობები ნ. საკანდე-
ლიძე, ბ. ინწკირველი, იუბილარის ყო-
ფილი მოწაფეები ბ. მელაძე, ზ. ზაშვლაძე
ხიძე, ბათუმის მუსიკალური სასწავლებ-
ლის პედაგოგი ჯ. ბაუჟაძე და სხვები.

დიდი წარმატება სცდა იუბილარის
გამოსვლას, რომელმაც შეასრულა რო-
მანსები (კონცერტმეისტერი საქართველ-
ოს სსრ დამსახურებული პედაგოგი მ.
შერი).



ვარეკანის 1-ლ გვერდზე — „საახალწლო“. მხატვარი ნინო ნიჟარაძე.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.



ՄԱՐԿՆԵՐԱԿ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒՄՆԵՐ